შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის

შუალედური შეფასება - 2024

სტრატეგიული პრიორიტეტები:

- **სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად**
- **ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა**

სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი

2025 წ.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმების ფარგლებში, სსიპ-საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტული ორგანიზაციის, მიერ 2025 წელს.

სარჩევი

შესავალი 3

დოკუმენტის მიზნები 3

შეფასების მიდგომები 4

შეფასების კრიტერიუმები 4

ეკოსისტემის მოდელი 6

მოკლე შეჯამება 7

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად . 7

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა 9

შეფასების მეთოდოლოგია 20

შეფასების დიზაინი 20

მიზნობრივი ჯგუფები და შერჩევის სტრატეგია 20

შეფასების პროცესის აღწერა და ძირითადი წყაროები 22

შეფასების ფარგლებში გამოყენებული კვლევის მეთოდები 25

სახელმწიფო სტრატეგიის ლოგიკა 27

აქტორების ქსელი 27

სტრატეგიული მიზნების და ამოცანების იერარქია 33

აქტივობების კლასტერები 35

შეფასების მიგნებები 36

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად 36

მიზანი 1: სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის (გავლენა, ეფექტურობა და აქტივობები კლასტერების მიხედვით ... 36

მიზანი 2: სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (გავლენა, ეფექტურობა და აქტივობები კლასტერების მიხედვით) 61

პირველი სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების რელევანტურობა 66

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა ... 69

მიზანი 3: განათლების მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა განათლების ყველა დონეზე (გავლენა, ეფექტურობა და აქტივობები კლასტერების მიხედვით) 69

მიზანი 4: ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს წახალისება (გავლენა, ეფექტურობა და აქტივობები კლასტერების მიხედვით) 90

მეორე პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების რელევანტურობა 96

მიგნებები და რეკომენდაციები 102

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად 102

ძირითადი მიგნებები 102

რეკომენდაციები 106

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა . 108

ძირითადი მიგნებები 108

რეკომენდაციები 109

გამოყენებული წყაროები 113

დანართი 1: თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია და მონაწილეები 115

შესავალი

დოკუმენტის მიზნები

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკას სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დანერგვის გზით.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიით, რომელიც საქართველოს მთავრობამ №356 დადგენილებით, 13.06.2021 წელს დაამტკიცა და შესაბამისი სამოქმედო გეგმა განსაზღვრა, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების განხორციელება და მიზნების მიღწევა, რაც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის მრავალეთნიკური საზოგადოების ეფექტურ ინტეგრაციას.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის შუალედური (2021-2024 წწ.) შეფასების ანგარიშს. შეფასების დოკუმენტი ფარავს სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრულ ორ სტრატეგიულ პრიორიტეტს:

I. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
II. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა.

და ამ სტრატეგიული პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრულ 8 ამოცანასა და 102 აქტივობას.[1]

მოცემული ანგარიში სტრატეგიის პირველი საკვანძო შეფასებაა და ასახავს, რამდენად ეფექტიანად გარდაიქმნება სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება რეალურ, გაზომვად პროგრესში ამოცანების დონეზე, რა გავლენა მოახდინა პოლიტიკის განხორციელებამ სამიზნე სეგმენტის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, როგორია დაგეგმილ და რეალურ შედეგებს შორის შესაბამისობა, რომელი ამოცანების თუ აქტივობების კორექტირებაა საჭირო ოთხი წლის თავზე.

ანგარიში დაინტერესებულ მხარეებს აწვდის ინფორმაციას მიღწეული პროგრესის შესახებ, ხოლო გადაწყვეტილების მიმღებ და განმახორციელებელ პირებს - უწყებების ეფექტიანობის, არსებული გამოწვევებისა და შესაძლო ჩარევების საჭიროების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური, მდგრადი და თანმიმდევრული განვითარების პროცესს.

[1] 102 აქტივობა წარმოადგენს ოთხწლიანი ციკლის (2021-2022 და 2023-2024 წლების) სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების ჯამს.

შეფასების მიდგომები

შეფასების კრიტერიუმები

სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხუთი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით განხორციელდა, რომლებიც დაფუძნებულია OECD/DAC შეფასების პრინციპებზე[2] და შესაბამისობაშია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესთან."[3]

სტრატეგიის განხორციელების შეფასების კრიტერიუმებია: 1) გავლენა; 2) ეფექტურობა; 3) ეფექტიანობა; 4) შესაბამისობა (რელევანტურობა); და 5) მდგრადობა.

- **გავლენის კრიტერიუმის** ფარგლებში შეფასებისთვის საინტერესოა გეგმით გათვალისწინებული ინტერვენციების გრძელვადიანი ზეგავლენა მიზნობრივ ჯგუფებზე. ამ კრიტერიუმის ფარგლებში დგინდება, როგორია ჩარევის შედეგები: პირდაპირი/არაპირდაპირი, გამიზნული/დაუგეგმავი, პოზიტიური /ნეგატიური, მთავარი/მეორადი;
- **ეფექტურობის კრიტერიუმის** ფარგლებში აქცენტი კეთდება გეგმის შედეგებზე– რამდენად მიღწეულია გეგმით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები;
- **ეფექტიანობის კრიტერიუმის** ფარგლებში საინტერესო ასპექტს წარმოადგენს რესურსების ათვისება გეგმის მიზნების მისაღწევად – რამდენად სწორად იხარჯება გეგმით გათვალისწინებული რესურსები, შესაძლებელი იყო თუ არა უკეთესი შედეგის მიღწევა იმავე შენატანით და რა შეიძლება გაკეთდეს არსებული რესურსების პირობებში ამონაგების გასაუმჯობესებლად;
- **შესაბამისობის კრიტერიუმის** ფოკუსს წარმოადგენს გეგმის კონცეფციისა და შედეგების მიზნობრივი ჯგუფების მოლოდინებთან და ცვალებად კონტექსტთან თავსებადობა– როგორ შეიძლება უკეთ მოვარგოთ პროგრამა კონტექსტის გამოწვევებსა და მიზნობრივი ჯგუფების სპეციფიურ საჭიროებებს;
- **მდგრადობის კრიტერიუმი** პროგრამის შედეგების გაძლიერებისა და შენარჩუნების მიდგომებზე ამახვილებს ყურადღებას – როგორია ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი სიკეთეების გაგრძელების ალბათობა, როგორ შეიძლება ეკოსისტემის იმგვარად განვითარება, რომ გრძელვადიან შედეგებს საფრთხე არ შეექმნას.

[2] OECD (2020). Better criteria for better evaluation. The OECD Development Assistance Committee (DAC) Network on Development Evaluation.

[3] საქართველოს მთავრობის დადგენილება #629, 2019 წლის 20 დეკემბერი.

ეს კრიტერიუმები შეფასების ანგარიშში ორ ჯგუფადაა გაერთიანებული: გავლენის, ეფექტურობის და შესაბამისობის (რელევანტურობის) კრიტერიუმები გეგმის შედეგების აღსაწერად გამოიყენება, ხოლო ეფექტიანობის და მდგრადობის კრიტერიუმების მიხედვით ძირითადი მიგნებები ინტეგრირებულია გამოწვევების მიმოხილვის სექციაში.

ეკოსისტემის მოდელი

შეფასების დოკუმენტში სტრატეგიის განხორციელება განხილულია ეკოსისტემის მოდელზე დაყრდნობით[4] - გარემო ფაქტორებისა და სხვადასხვა აქტორის პერსპექტივის გათვალისწინებით.

კერძოდ, შეფასებაში ინტერგირებულია პროგრამის უშუალო განმახორციელებლებისა და ბენეფიციარების, ისევე როგორც განათლების სისტემის ფარგლებში და მის გარეთ მოქმედი აქტორების შეხედულებები და მარეგულირებელი კონტექსტი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ), სხვა სამინისტროების, სამიზნე მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების, ექსპერტების მოსაზრებები და, ასევე, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ჩარჩო დოკუმენტები.

სახელმწიფო ენის სწავლებისა და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის პოლიტიკა განხილულია ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროში მიმდინარე ისეთ ინტერვენციებთან ბმაშიც, რომლებიც ამ სტრატეგიით არ არის გათვალისწინებული.

შეფასება, აგრეთვე, წარმოადგენს საკითხის შესახებ არსებული კვლევების და მონიტორინგის ანგარიშების დასკვნების გაერთიანების მცდელობას.

[4] Bronfenbrenner, U. (1976). The Experimental Ecology of Education. Teachers College Record, 78(2), 157 – 204.
Bronfenbrenner, U. (1974). Developmental Research, Public Policy, and the Ecology of Childhood. Child Development, 45(1), 1-5.
Buchmann, C. (2002). Getting Ahead in Kenya: Social Capital, Shadow Education and Achievement. In B. Fuller and E. Hannum (Eds.), Schooling and Social Capital in Diverse Cultures (pp. 133-159). Amsterdam: JAI Press.

მოკლე შეჯამება

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია წარმოადგენს ქვეყნის მრავალეთნიკური საზოგადოების ინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. აღნიშნული სტრატეგიის შემუშავებასა და დანერგვის კოორდინაციას უზრუნველყოფს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. 2025 წლისთვის ჩატარებული შუალედური შეფასება ფოკუსირებულია სტრატეგიის პირველ ორ პრიორიტეტზე: 1) სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად და 2) ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა.

შეფასება განხორციელდა „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესისა" (მთავრობის დადგენილება #629, 2019 წლის 20 დეკემბერი) და შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. სტრატეგიული პრიორიტეტების ფარგლებში გაწეული ძალისხმევა შეფასდა ხუთი კრიტერიუმის - გავლენის, ეფექტურობის, ეფექტიანობის, შესაბამისობისა და მდგრადობის მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკოსისტემის მოდელის გამოყენებას, რომელიც ითვალისწინებდა არა მხოლოდ უშუალო განმახორციელებლებისა და ბენეფიციარების შეხედულებებს, არამედ განათლების სისტემის ფარგლებში და მის გარეთ მოქმედი აქტორების მოსაზრებებსაც. სტრატეგიის განხორციელება გაანალიზდა 4 სტრატეგიული მიზნის 8 ამოცანისა და 102 აქტივობის ჭრილში, რაც 13 თემატურ კლასტერში დაჯგუფდა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად

2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის პირველი პრიორიტეტის ფარგლებში მთავარ ფოკუს წარმოადგენს სახელმწიფო ენის, როგორც ინტეგრაციის ინსტრუმენტის გამოყენება.

ამ ფართო პრიორიტეტის ფარგლებში ორი მიზანია დასახული, რომელთაგან ერთი აქცენტს სახელმწიფო ენის სწავლების სტრატეგიების გაუმჯობესებაზე აკეთებს, ხოლო მეორე - სახელმწიფო ენის პოპულარიზაციაზე და ენის სწავლის მოტივაციის გაუმჯობესებაზე.

სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების მიმართულებით **მიღწეული შედეგები აჭარბებს სტრატეგიით დასახულ სამიზნე ნიშნულებს.** 2024 წლისთვის სომხურენოვანი მოსახლეობის 78% და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის 62% აღნიშნავს, რომ ფლობს ქართული ენას მინიმუმ ელემენტარულ დონეზე (თვითშეფასების თანახმად), რაც სტრატეგიით დასახულ სამიზნე ნიშნულებს (72% და 45%) მნიშვნელოვნად აღემატება. „სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის

მოტივაციის კვლევა“ (2024) იგივე ტენდენციაზე მიუთითებს: აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში უმრავლესობა (85%) მიიჩნევს, რომ მათ თემში/დასახლებაში ქართული ენის ცოდნის დონე ბოლო 5-7 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა.

პირველი პრიორიტეტის ფარგლებში დასახული **მიზნები და ამოცანები სრულად ან მეტწილად შესრულდა:**

- ქართულში, როგორც მეორე ენაში სახელმწიფო შეფასების შედეგები ცხადყოფს, რომ მოსწავლეებს (თვითშეფასების შედეგებზე დაყრდნობით) უადვილებათ ქართულად წერა და კითხვა - ამ კომპონენტებში მიღწეული მაჩვენებლები აღემატება ან შეესაბამება სამიზნე ნიშნულს. მიუხედავად იმისა, რომ ბილინგვური განათლების პროგრამის ძირითადი შედეგები მეორე სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში იქნება დეტალურად განხილული, არსებითია აღინიშნოს, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობის უმეტესობა ქართული ენის ფლობის დონის ზრდის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად ბილინგვური განათლების პროგრამას მიიჩნევს[5].

- ქართულ ენაში მომზადების პროგრამა (ე.წ. „1+4 პროგრამა “ენობრივი ინტეგრაციის ერთ-ერთ წარმატებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. 2020-2024 წლებში ამ პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა 22%-ით გაიზარდა, რაც სამიზნე ნიშნულს მნიშვნელოვნად აღემატება (5%).

- 2021-2024 წლებში 20,008 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გადამზადდა ქართულ ენაში, რაც სამიზნე ნიშნულს სრულად აკმაყოფილებს. პროგრამაში ჩართულთა 75.5% ქალები შეადგენენ, ხოლო 46% - ახალგაზრდები, რაც მოსახლეობის აღნიშნულ სეგმენტში სახელმწიფო ენის შესწავლის განსაკუთრებული მოტივაციის არსებობაზე მიუთითებს.

მიუხედავად ამ თვალსაჩინო პროგრესისა, პირველი სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში გამოწვევად რჩება:

ა) განსხვავებები სახელმწიფო ენის ცოდნის თვითშეფასებაში სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფში - სახელმწიფო ენის ცოდნა მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკის, ისევე როგორც ეთნიკური ჯგუფების მიხედვით:

- ახალგაზრდებში (29 წლამდე) ენის ფლობის თვითშეფასების მაჩვენებელი ძალიან მაღალია (მხოლოდ 7% საერთოდ არ ფლობს ქართულ ენას), მაგრამ, ასაკთან ერთად, ენის ცოდნის დონე მკვეთრად იკლებს: 30-49 წლის ასაკის

[5] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2024). სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა.

მოსახლეობის 28% ქართულს საერთოდ არ ფლობს, ხოლო 50 წელს ზემოთ მოსახლეობაში ანალოგიური მაჩვენებელი 60%-ს შეადგენს.

- ქართული ენის ცოდნის მხრივ კვლავ თვალსაჩინო განსხვავებებია აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან თემს შორის - მაჩვენებლები უფრო დაბალია აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში (38% აღნიშნავს, რომ არ ფლობს ქართულ ენას, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი სომხურენოვან მოსახლეობაში 22% შეადგენს).

ბ) „1+4 პროგრამის" მოდიფიკაციის საჭიროება:

- მიუხედავად წარმატებისა, პროგრამას გააჩნია სისტემური სირთულეები - სტანდარტიზებული ხანგრძლივობა, რომელიც ვერ ერგება ყველა ბენეფიციარის საჭიროებებს, და სამიზნე ჯგუფების სოციალური ინტეგრაციის გამოწვევები უნივერსიტეტებში.

გ) პროგრესის ნიშნულების დაზუსტების საჭიროება მეორე მიზნის ინდიკატორისათვის:

- სტრატეგიის სამოქმედო გეგმის თანახმად, 2024 წლისთვის ღონისძიებებში, საერთო ჯამში, უნდა ჩართულიყო 7000-მდე ბენეფიციარი, თუმცა, ინდიკატორის მიხედვით ზუსტი პროგრესის შეფასების სირთულეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამგვარი მონაცემების სისტემურად შეგროვება და კონსოლიდაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სასურველია, რომ ინდიკატორი ფორმულირდეს განსხვავებული ფორმით, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს მისი გაზომვადობა, ხოლო მეორე მხრივ ინდიკატორმა უკეთ ასახოს ინტერვენციების შედეგი არა მოკლევადიანი ამონაგების, არამედ გრძელვადიანი ეფექტის დონეზე. გავლენის ინდიკატორად შესაძლებელია გამოყენებული იქნას არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაცია ან სახელმწიფო პროგრამების ცნობადობა.

პირველი სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში პოზიტიური ტენდენციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიდგომების შემდგომი დივერსიფიცირება სხვადასხვა ასაკობრივი და ეთნიკური ჯგუფებისთვის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გასაზრდელად.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა

2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის მეორე პრიორიტეტი ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ეხება.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში ორი მიზანია დასახული, რომელთაგან პირველი ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზებს

სახავს ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე, ხოლო მეორე - ხარისხიანი განათლების უფრო ჰოლისტური მიდგომის განსამტკიცებლად ეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ტოლერანტული და ინკლუზიური გარემოს ფორმირების ხელშემწყობ ფაქტორებსა და პირობებს.

ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით **მიღწეული შედეგები, ძირითადად, თანხვედრაშია სამიზნე ნიშნულებთან და, ამასთანავე, კომპლექსურ სურათს წარმოაჩენს.** PISA-ს[6] 2022 წლის ციკლის შედეგებმა აჩვენა, რომ მათემატიკაში ქართულენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების შედეგებს შორის სხვაობა წინა ციკლთან შედარებით 21%-ით შემცირდა, რაც პოზიტიურ ტენდენციაზე მიუთითებს. თუმცა, განსხვავებები კვლავ არსებითია. ასევე, საყურადღებოა, რომ სომხურენოვანი სკოლების მოსწავლეები PISA-ში მონაწილეობას არ იღებენ[7] , რაც ზღუდავს ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებში აკადემიური შედეგების შესახებ სრული სურათის შეფასების შესაძლებლობას.

მეორე პრიორიტეტის ფარგლებში დასახული **მიზნებიდან და ამოცანებიდან ყველა სრულად ან მეტწილად მიღწეულია:**

- სკოლამდელი განათლების სფეროში ბილინგვური განათლების სტანდარტები და მეთოდიკა დანერგილია 34 საბავშვო ბაღში (სამიზნე დაწესებულებათა 60%-ში), რაც მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე ნიშნული სრულად მიღწეული არ არის, განხორციელებაში ჩართული აქტორები აღნიშნავენ, რომ ნიშნული თავიდანვე გამორჩეულად ამბიციური იყო (სკოლამდელი დაწესებულებების 100%). გარდა ამისა, ნიშნულის დასმის მომენტიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გარემოში - 2022 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა სკოლამდელი დაწესებულებების საერთო რაოდენობა საქართველოში, რამაც გაართულა სამიზნე მაჩვენებლის მიღწევა. თვისებრივი დისკუსიისას როგორც აღმზრდელები, ისე მშობლები, საერთო ჯამში, დადებითად აფასებენ ბილინგვური მიდგომის გამოყენებას სკოლამდელ დაწესებულებებში - აღნიშნავენ ბავშვების ენობრივ პროგრესს და პოზიტიურ ცვლილებებს მათ ქცევაში. ამასთან, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების თანახმად[8], რესპონდენტების 67 % თვლის, რომ ბილინგვური სკოლამდელი განათლება ენობრივი ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტია.

- ზოგადი განათლების საფეხურზეც ბილინგვური განათლების მიმართულებით მსგავსი ტენდენციები იკვეთება. კერძოდ, 2020 წლიდან

[6] Program for International Student Assessment (PISA) - მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა

[7] PISA-ს ტესტები და სხვა ინსტრუმენტები საჭიროებს თარგმანს და ადაპტირებას ყველა სამიზნე ენობრივი ჯგუფისთვის. აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან ინსტრუმენტებს ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე საქართველოს დღემდე აწვდის აზერბაიჯანი და ესტონეთი. სომხეთის რესპუბლიკა არ მონაწილეობდა PISA-ს კვლევაში ბოლო ციკლამდე (PISA 2025) და საქართველო მოკლებული იყო შესაძლებლობას მიეღო სომხურ ენაზე თარგმნილი და ადაპტირებული ტესტი.

[8] სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2024).

2024 წლამდე პროგრამაში ჩართული სკოლების რაოდენობა 4 სკოლიდან (საბაზო ნიშნული 2020-ში) 169-მდე გაიზარდა, რაც ამ ეტაპისათვის ძალიან თვალსაჩინო პროგრესია. აღნიშნულ პერიოდში სამიზნე ნიშნულით განსაზღვრული სკოლების (200) 85% დაიფარა, თუმცა ამ შემთხვევაშიც ნიშნული ძალიან მაღალი იყო (100%). ჩართული მხარეები მიიჩნევენ, რომ ინტერვენციების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ნიშნული მოდიფიცირებას საჭიროებს. ზოგადი განათლების სფეროში მიღწეული პროგრესის კიდევ ერთი ინდიკატორია არაქართულენოვან საჯარო სკოლებში წამყვანი/უფროსი მასწავლებლების წილის მნიშვნელოვანი ზრდა (24.5%-დან 70%-მდე). ამ მიმართულებით დასახული სამიზნე ნიშნული სრულად არის მიღწეული.

- შთამბეჭდავი შედეგებია, აგრეთვე, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროშიც. კერძოდ, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობა 2020-დან 2024 წლამდე პერიოდში 277-დან 485-მდე გაიზარდა (75%-იანი ზრდა), ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 915-დან 1,444-მდე (57%-იანი ზრდა), რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს სამიზნე ნიშნულებს.

- განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების რაოდენობა 2020 წლიდან 2024 წლამდე (და შემდეგ საანგარიშო პერიოდშიც) ეტაპობრივად უნდა შემცირებულიყო (2020 წ. – 608 ბავშვი, 2024 წ. – 365 ბავშვი). ამ ინდიკატორის ფარგლებში სამიზნე ნიშნული სრულად მიღწეულია. დამატებით, შშმ პირთა განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრების საფუძველზე, განისაზღვრა სკოლის მიღმა მყოფი შშმ პირების სკოლაში მხარდაჭერის დამატებითი საჭიროებები და დაიგეგმა ინტერვენციები შესაბამისი მიზნობრივი აქტივობების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. შემუშავდა ტრენინგის მოდული "მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეთა საჭიროებები", რომლის მიზანია მონაწილემ გაიღრმავოს მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მხარდაჭერის კომპეტენცია და გამოიმუშაოს აღნიშნულ თემატიკაზე ტრენინგის ჩატარების პრაქტიკული უნარები, მათ შორის: 1. მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით მხარდაჭერის ფორმების იდენტიფიცირება და მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა; 2. მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეთა მულტიმეთოდური შეფასება; 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეთა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით; 4. მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეთა პრობლემური ქცევის პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიების გამოყენება; 5. მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეთა ოჯახის წევრებთან თანამშრომლობითი კომუნიკაციის დამყარება და ოჯახის გაძლიერებაზე ზრუნვა; 6. მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის

ნიშნებისა იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ორგანოებთან გადამისამართება; 7. მძიმე და ღრმა დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მომუშავე სკოლის სპეციალისტებისასთვის ტრენინგის დაგეგმვა და წარმართვა, არსებული მოდულის გამოყენებით. აღნიშნული ტრენინგ მოდული გადაეცა მასწავლებლის სახლს.

- სკოლის მიღმა დარჩენილი ბოშა ბავშვების რაოდენობა 2020 წლიდან 2024 წლამდე ეტაპობრივად უნდა შემცირებულიყო (სკოლაში ირიცხება: 2020 წ. – 202 ბავშვი, 2024 წ. – 250 ბავშვი). ამ ინდიკატორის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ნიშნული მცირედი გადაჭარბებით არის მიღწეული (250 ბავშვის ნაცვლად ფორმალური ზოგადი განათლების სისტემაში 286 ბოშა ბავშვია ჩართული). დამატებით, 2021-2024 წლებში მუდმივად ხორციელდებოდა ბოშა მოზარდებისა და ახალგაზრდების სოციალიზაციის ხელშემწყობი ექსტრაკურიკულური ღონისძიებები როგორც დედაქალაქის, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, მეორე სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებშიც გარკვეული გამოწვევები იკვეთება, კერძოდ:

- ბილინგვური განათლების დანერგვის მიმართულებით სირთულეს ქმნის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსების (მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და მხარდამჭერი სპეციალისტების) უზრუნველყოფის საჭიროება. ასევე, მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სასწავლო მასალების და ინფრასტრუქტურის მუდმივი განვითარება. რეფირმის დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება მასწავლებელთა ნაწილის რეფორმისადმი რეზისტენტულობა, რაც გამოიხატება მუშაობის ჩვეული მეთოდებისადმი მიჯაჭვულობაში, ცვლილებებისადმი შიშში და ახალი მიდგომების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით. ამ ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების მედიაციას გრძელვადიანი, ეტაპობრივი და კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ამიტომ, მიზნობრივი ჯგუფების და განმახორციელებლების შეფასებით, მოდელის დანერგვის ტემპის დაჩქარება მიზანშეწონილი არ არის.

- 2021-2024 წლებში მოქმედი მასწავლებლების 70%-მდე გაიარა სახელმწიფო ენის სწავლების კურსი (3,437 მასწავლებელი), რაც განსაკუთრებული მიღწევაა. თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, 2024 წელს მოთხოვნა პროფესიული განვითარების ტრენინგებზე შედარებით შემცირდა, რის გამოც ვერ მოხდა სტრატეგიით გათვალისწინებული ნიშნულების მიღწევა. ეს ტენდენცია, ერთი მხრივ, შეგვიძლია ავხსნათ იმ ფაქტით, რომ წინა წლების განმავლობაში პროფესიული განვითარების მსურველ მოტივირებულ მასწავლებლებს უკვე მიეცათ სასურველ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა. შესაბამისად, მომავალში მასწავლებელთა ამ ჯგუფის ჩართულობის შენარჩუნებისთვის

მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარების პროგრამების შინაარსის მათ ახალ საჭიროებებსა და მოლოდინებზე მორგება.

- სახელმწიფო ენის ფლობის დონის სანდო შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში უნიფიცირებული ინსტრუმენტების - CEFR პრინციპებზე დაფუძნებული ვალიდური ტესტების - დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს ენის ფლობის დონის ზუსტ და თანმიმდევრულ შეფასებას. ასევე აუცილებელია მოსწავლეთა შედეგების რეგულარული დიაგნოსტიკური შეფასების სისტემის შექმნა, რაც შესაძლებელს გახდის რეფორმის ეფექტების გაზომვასა და მონიტორინგს.

- მიზანი 4-ის გავლენის და ამოცანის ინდიკატორები ბუნდოვნადაა ფორმულირებული, რაც აფერხებს ამ მიზნის ფარგლებში პროგრესის შეფასებას.

მეორე პრიორიტეტის ფარგლებში ინტერვენციების ეფექტის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია:

- ბილინგვური პროგრამის ფარგლებში - როგორც სკოლამდელი, ასევე ზოგადი განათლების მიმართულებით - სამიზნე ნიშნულების გადახედვა, რათა შესაძლებელი გახდეს რესურსების განვითარებისა და რეფორმისთვის სამიზნე ჯგუფების მზაობის განმტკიცებისათვის მეტი დროის დათმობა.

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ფორმებისა და შინაარსის მასწავლებლების ახალი საჭიროებების მიხედვით დივერსიციფირება;

- ენის ფლობის დონის შეფასების უნიფიცირებული სისტემის დანერგვა - CEFR პრინციპებზე დაფუძნებული სტანდარტიზებული ტესტების შემუშავება და მოსწავლეთა შედეგების რეგულარული დიაგნოსტიკური შეფასების სისტემის შექმნა;

- მუნიციპალიტეტების როლის შემდგომი გაძლიერება სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის უზრუნველყოფაში;

- „1+4 პროგრამის" მოდიფიკაცია პროგრამის მიზნებისა და ბენეფიციართა სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით და სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის კომპონენტის გაძლიერება;

- მიზანი 4-ის გავლენის ინდიკატორის უფრო მკაფიოდ ოპერაციონალიზაცია - ზუსტი, გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება, რომლებიც პირდაპირ დააკავშირებს განხორციელებულ აქტივობებს საბოლოო შედეგებთან. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად გაამარტივებს პროგრესის მონიტორინგს და უზრუნველყოფს მონაცემთა მიზანმიმართულ შეგროვებასა და ანალიზს სამომავლო დაგეგმვისთვის.

* * *

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის შუალედურმა შეფასებამ გამოავლინა, რომ სტრატეგიის 2021-2022 და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული რაოდენობრივი ინდიკატორები სრულად ან მეტწილად შესრულებულია. რიგ შემთხვევებში სამიზნე ნიშნულები გადაჭარბებითაცაა მიღწეული (მაგ. ინდიკატორი 1.1.2). იმ შემთხვევებში, სადაც სამიზნე ნიშნულების 100%-ით მიღწევა ვერ მოხერხდა, მიზეზები ობიექტური გარემოებებით იყო განპირობებული, რაც დეტალურად არის განხილული შეფასების დოკუმენტის შესაბამის ნაწილებში.

ანალიზი ცხადყოფს, რომ სტრატეგიის ძირითადი მიზნები ინარჩუნებს აქტუალურობას და არ საჭიროებს რადიკალურ ცვლილებებს. შეფასების საფუძველზე, რეკომენდებულია უშუალოდ აქტივობების დაგეგმვის ეტაპზე განმახორციელებლებსა და ბენეფიციარებს შორის კოორდინაციის კიდევ უფრო გაძლიერება და გარკვეული ინდიკატორების მოდიფიცირება, რათა მომავალშიც შენარჩუნებული იყოს დასახული მიზნების, ამოცანებისა და ნიშნულების რეალისტურობა და რელევანტურობა.

დისკურსიაში ჩართული განმახორციელებელი უწყებები (მაგ., განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა და ა.შ.), ასევე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები (მასწავლებლები, აღმზრდელები, სკოლის დირექტორები, მოსწავლეები, მშობლები და ა.შ.) მთლიანობაში დადებითად აფასებენ ინტერვენციებით გამოწვეულ შედეგებს. მხარეები აღნიშნავენ, რომ სტრატეგიის იმპლემენტაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უწყებებს შორის კოორდინაციას. ისინი გამოთქვამენ ერთგვარი საკომუნიკაციო პლატფორმის არსებობის აუცილებლობას, სადაც შესაძლებლობა ექნებათ წერილობითი დეტალური ანგარიშების მიღმა განიხილონ საერთო გამოწვევები. ეს პლატფორმა მათ საშუალებას მისცემს, ერთად დაგეგმონ და შეაფასონ ინტერვენციები, რათა მოხდეს რესურსების კონსოლიდაცია და ინტერვენციების უკეთ კოორდინირება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს სტრატეგიით გათვალისწინებული ინტერვენციების შედეგების და მიღწევების კონსოლიდირებულ სურათს:

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მაჩვენებლები

სტრატეგიული პრიორიტეტი	სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად				
მიზანი 1:	სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის				
გავლენის ინდიკატორი 1.1	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონე		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2014	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	ეთნიკური სომხების 47.1% და ეთნიკური აზერბაიჯანელების 19.2% ფლობს სახელმწიფო ენას (ეთნიკური სომხების 44.5% და ეთნიკური აზერბაიჯანელების 73.9% არ ფლობს სახელმწიფო ენას, ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის 8,4%-მა და ეთნიკურად აზერბაიჯანელების - 6,9%-მა პასუხი არ გასცა (წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური)	სკოლის კურსდამთავრებულებს შორის, წერა, კითხვა, საუბარი ეცოდინება 83,5%-ს; ზრდასრულ არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენა საკომუნიკაციო დონეზე ეცოდინება 25 %-ით მეტს	თვითშეფასების საფუძველზე, სომხურენოვანი მოსახლეობის 78% და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის 62% აღნიშნავს, რომ მინიმუმ ელემენტარულ დონეზე ფლობს ქართულ ენას, რაც, საბაზო ნიშნულთან შედარებით, მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს და 2024 წლისთვის დასახულ სამიზნე ნიშნულებს აღემატება (დასახული ნიშნულის, 25% იანი ზრდის ნაცვლად სომხურენოვან თემში ზრდა არის 31% , ხოლო აზერბაიჯანულენოვან თემში - 43%).
ამოცანა 1.1:	სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება)				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1.	არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა წილი, რომლებიც ფლობენ ქართულ ენას (წერა, კითხვა, საუბარი)		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	47,8 % თავისუფლად ახერხებს წერას, კითხვას, საუბარს (2018 წლის მონაცემები)	მე-7 კლასის მოსწავლეებს შორის 83,5% შეუძლია ქართულ ენაზე წერა, კითხვა, საუბარი; კურსდამთავრებულთა 60% ფლობს ქართულ ენას (წერა, კითხვა, საუბარი)	მე-7 კლასი: 90%, 80%, 60; კურსდამთავრებულები: (75%, 65%, 40%).

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2:	უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ე.წ. „1+4 პროგრამის“ საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	1191	ზრდა: + 5%	+12 % (1339)
ამოცანა 1.2:	**სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში**				
ამოცანის ინდიკატორი 1.2.1.	მსმენელთა რაოდენობა, რომელთაც წარმატებით დაასრულეს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები/კურსები		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	16 713 მსმენელი	20 000 მსმენელი	20 000 მსმენელი
მიზანი 2:	სახელმწიფო ენის პოპულარიცაზია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში				
გავლენის ინდიკატორი 2.1	სახელმწიფო ენის პოპულარიზაციისა და ცოდნის განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო უწყებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართულობა		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	3000	7000	
ამოცანა 2.1	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1.	სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში ჩართული საჯარო სექტორის წარმომადგენელთა რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	300	500	458 (+1451 მასწავლებელი)
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.2.	საჯარო საქმისწარმოებაში, ბილბორდებზე, წარწერებზე, დასახელებებზე სახელმწიფო ენის გამოყენების შეფასება		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	0	90%	85 %
სტრატეგიული პრიორიტეტი	ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა				
მიზანი 3:	განათლების მაღალი ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის განათლების ყველა დონეზე				
გავლენის ინდიკატორი 3.1:	სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასებებში აზერბაიჯანული და სომხურენოვანი სკოლების		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	

	მოსწავლეთა მიღწევების (კითხვაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში) თანაფარდობა ქართულენოვანი სკოლების მიღწევებთან მიმართებით	მაჩვენებელი	არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების შედეგები 100 ქულით ჩამორჩება ქართულენოვანი სკოლების შედეგებს. (კითხვა - 380 ქულა; მათემატიკა - 398 ქულა; საბუნებისმეტყველო საგნებში - 383 ქულა (PISA -ს 2018 წლის ანგარიში)	განსხვავება შემცირებულია 20%-ით	განსხვავება შემცირებულია: 18% - კითხვა, 21% - მათემატიკა, 16% - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (PISA -ს 2022 წლის ანგარიშის მიხედვით)
ამოცანა 3.1:	სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1:	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებლის თანაფარდობა ეროვნულ მაჩვენებელთან		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	2.7-ჯერ ჩამორჩება ეროვნულ მაჩვენებელს (ეროვნული 69,5%, - ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 25,5%)	სხვაობა შემცირებულია 40%-ით	ჩართულობის მაჩვენებელი სტაბილურია, გაზრდილია ბილინგვური ბაღების აღსაზრდელთა წილი
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.2:	არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია ორენოვანი სკოლამდელი განათლების სტანდარტები და მეთოდიკა		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	დაიწყო პილოტირება	100%	61% (34)
ამოცანა 3.2:	ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1:	არაქართულენოვანი სკოლების/ კლასების წილი, სადაც დანერგილია ორენოვანი განათლება/ახალი ესგ		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	პილოტირება დაწყებულია 4 სკოლაში	ყველა არაქართულენოვანი სკოლის 1-4 კლასებში	63% (184) (1-4 კლასი)
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.2[9]:	არაქართულენოვან საჯარო სკოლებში წამყვანი/უფროსი მასწავლებლების %		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	მენტორი 0.1%; წამყვანი: 1%; უფროსი 24.5%	+40%	მენტორი 0.64%; წამყვანი: 4,2%; უფროსი 70.1%
					რეალური მიღწევა

[9] აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორი ასახულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წწ. სამოქმედო გეგმაში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.2[10]:	ავტორიზებული საჯარო სკოლების წილის ზრდა, რომლებიც ახორციელებენ არაქართულენოვან პროგრამებს		საბაზისო	სამიზნე	
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	0	15%	
ამოცანა 3. 3:	ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1:	ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	პროფესიული - 277; უმაღლესი - 915	პროფესიული: + 10%; უმაღლესი: +5%	პროფესიული: + 75% (486); უმაღლესი: +57% (1444)
მიზანი 4:	ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს წახალისება				
გავლენის ინდიკატორი 4.1:	ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	პრინციპები ნაწილობრივ ასახულია	პრინციპების ასახვა მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესებულია	
ამოცანა 4.1:	განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1:	განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	სკოლის მიღმა დარჩენილია 608 შშმ ბავშვი	365 ბავშვი	მიღწეულია
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.2:	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულო განათლების პროგრამებში ჩართული ბოშათა თემის წარმომადგენელი ბავშვების რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა
		წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	200	220	286
ამოცანა 4.2:	სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიცაზია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში				
ამოცანის შედეგის	სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურული მრავალფეროვნების		საბაზისო	სამიზნე	რეალური მიღწევა

[10] აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორით 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმაში ჩანაცვლებულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წწ. სამოქმედო გეგმაში მოცემული ვერსია.

ინდიკატორი 4.2.1:	საკითხები ასახულია ესგ-ში, სახელმძღვანელოებსა და განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში	წელი	2020	შუალედური (2024)	
		მაჩვენებელი	ნაწილობრივ ასახულია	მნიშვნელოვანწილად ასახულია	ასახულია

შეფასების მეთოდოლოგია

შეფასების დიზაინი

შეფასება განხორციელდა ე.წ. შერეული, პარალელური დიზაინით, სადაც ერთდროულად გამოიყენებოდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები, თუმცა წამყვან როლს თვისებრივი კომპონენტი ასრულებდა.

კერძოდ, შეფასების ფარგლებში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები:

1. დოკუმენტების შინაარსის ანალიზი: სტრატეგიის განმახორციელებელი უწყებების სტატუსისა და პროგრესის ანგარიშების, 2021/2024 წლებში სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების და ექსპერტების მიერ მომზადებული შეფასებების/რეკომენდაციების ანალიზი, მონაცემების შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან და შედეგის დინამიკისა და პროცესების ეფექტიანობის განსაზღვრა.

2. სიღმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები: გეგმის განხორციელებაში ჩართული აქტორებისა და ბენეფიციარების მოსაზრებების შეგროვება სტრატეგიის მიზნების, ამოცანების, აქტივობების შესრულების - შედეგების გავლენის, ეფექტურობის, ეფექტიანობის, შესაბამისობისა და მდგრადობის შესახებ.

3. მეორადი რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი: არსებული მონაცემთა ბაზების (PISA - 2022, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული მონაცემები) სტატისტიკური ანალიზი ტენდენციების აღმოჩენისთვის და გეგმის ინდიკატორებით განსაზღვრული მონაცემების გამდიდრებისთვის (შევსებისთვის).

4. ბენეფიციართა გამოკითხვა: შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, ქართულში, როგორც მეორე ენაში, მოსწავლეთა სახელმწიფო შეფასების არსებულ ინსტრუმენტებში ჩაშენდა დამატებითი ბლოკები და დაემატა რესპონდენტთა ახალი ჯგუფი (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები) სტრატეგიული გეგმის გარკვეული მიმართულებების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მიზნობრივი ჯგუფები და შერჩევის სტრატეგია

დაინტერესებულ მხარეთა მრავალფეროვანი პერსპექტივების ასახვის მიზნით პოტენციური რესპონდენტები ოთხ კატეგორიაში დაჯგუფდა:

- **პოლიტიკის განმსაზღვრელი და მაკოორდინირებელი უწყების პერსპექტივა:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების ხელმძღვანელი და მაკოორდინირებელი უწყებაა. იგი შეიმუშავებს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიას, კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას, უზრუნველყოფს ანგარიშგებას და მონიტორინგს.

- **სტრატეგიის განხორციელებაში ჩართული მხარეების პერსპექტივა** აერთიანებს: სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ- ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის, სსიპ- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC), სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (TPDC), სსიპ- განათლების საინფორმაციო მართვის სისტემის (EMIS), სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE), საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის (NCER), სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მოსაზრებებს.

- **ბენეფიციარების პერსპექტივა** წარმოაჩენს არაქართულენოვანი მოსახლეობის, ისევე როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა მოსაზრებებს;

- **გარე აქტორების პერსპექტივა** აერთიანებს განათლების ექსპერტების და მკვლევრების, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების წარმომადგენლების, ექსპერტების შეხედულებებს.

რესპონდენტთა ყველა კატეგორიის შიგნით აქტორები პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესზე მაღალი გავლენის გათვალისწინებით შეირჩა. ამავდროულად, რესპონდენტთა კატეგორიების ფორმირებისას მხედველობაში იქნა მიღებული ამ აქტორების შეხედულებების მოსალოდნელი მრავალფეროვნება (მაქსიმალური ვარიაციის პრინციპი). მაგალითად, შერჩევის სტრატეგია ეყრდნობოდა დაშვებას, რომ განმახორციელებელ აქტორებს, შესაძლოა, ჰქონოდათ გარე აქტორებისგან განსხვავებული მოსაზრებები.

ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების მონაწილეების სიის ფორმირებისას გამოყენებული იქნა ე. წ. კრიტიკული შემთხვევების შერჩევის პრინციპი: რესპოდენტებს რაც შეიძლება მეტი და ამომწურავი ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ საკვლევი საკითხის შესახებ. ზოგიერთი რესპონდენტი, ერთდროულად, რამდენიმე აქტორს წარმოადგენდა (მაგალითად: საგანმანათლებლო ორგანიზაციის წარმომადგენელი და განათლების ექსპერტი, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი და პროგრამის კურსდამთავრებული და ა. შ.).

მონაწილეთა საწყისი სია დაზუსტდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კონსულტაციების შედეგად. ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების სერიაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე რესპონდენტმა. თვისებრივი კვლევის პრინციპებიდან გამომდინარე, კვლევის საწყის ეტაპზე არ განისაზღვრა რესპონდენტების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა. გადაწყვეტილება ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების სერიის შეწყვეტის შესახებ მიღებული იქნა მონაცემთა გაჯერების გათვალისწინებით.

შეფასების პროცესის აღწერა და ძირითადი წყაროები

შეფასების განხორციელების პერიოდია: 2025 წლის მარტი - 2025 წლის ივნისი. თავდაპირველად, მეორადი მონაცემების ანალიზსა და ჩართულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა გეგმით გათვალისწინებული სამიზნე ნიშნულების მიღწევისა და აქტივობების შესრულების პირველადი აღწერითი დოკუმენტი. მომდევნო ეტაპებზე შეფასების მიგნებები დაზუსტდა და გამდიდრდა დამატებითი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით. კერძოდ, ანგარიშში გამოყენებულია:

- <u>სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 და 2023-2024 წლების შესრულების ანგარიშები:</u> აღნიშნული ანგარიშები წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელების პროგრესის შეფასების ძირითად ინფორმაციულ წყაროს. სტრატეგიით განსაზღვრული რაოდენობრივი ინდიკატორების მონიტორინგის პარალელურად, ანგარიშები მოიცავს თვისებრივ ანალიზს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხარისხის, ინტერეთნიკური ურთიერთობების სტატუსის, კულტურული პლურალიზმის ინსტიტუციური უზრუნველყოფისა და სათემო ჩართულობის მექანიზმების შესახებ.
- <u>ქართულში, როგორც მეორე ენაში მოსწავლეთა სახელმწიფო შეფასების მონაცემთა ბაზის პირველადი ანალიზი:</u> სტრატეგიით გათვალისწინებული ინდიკატორების გარდა (მეშვიდეკლასელ მოსწავლეთა მიერ ქართული ენის ცოდნის შეფასება), ანგარიში მოიცავს დამატებით ინფორმაციას არაქართულენოვან მოსახლეობაში ქართული ენისადმი დამოკიდებულებების, ენის ცოდნის დონის სუბიექტური თვითშეფასების და სკოლის კონტექსტში ენის სწავლების სპეციფიკის შესახებ.

  სტრატეგიის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, ქართულში, როგორც მეორე ენაში სახელმწიფო შეფასების ინსტრუმენტებში (მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის კითხვარებში) ჩაშენდა დამატებითი კითხვები და ბლოკები ქართული ენისადმი დამოკიდებულებების და მოსწავლეთა ინტერკულტურული მგრძნობელობის უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის.

  ასევე, სახელმწიფო შეფასებას დაემატა კიდევ ერთი მიზნობრივი ჯგუფი - დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები იმისათვის, რომ შესაძლებელი

ყოფილიყო კონტექსტუალური კითხვარების გამოყენებით ამ კონკრეტული სეგმენტიდან ინფორმაციის შეგროვება;

- <u>მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის PISA (2022) მონაცემთა ბაზის დამატებითი ანალიზი:</u> სტრატეგიით გათვალისწინებული ინდიკატორების გარდა (აზერბაიჯანულენოვანი[11] სკოლის/სექტორების უფროსკლასელთა საშუალო მიღწევა კითხვაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში), შეფასების ანგარიში მოიცავს დამატებით ინფორმაციას მოსწავლეთა განაწილების შესახებ მიღწევის დონეების და სკოლაში სწავლების ენის მიხედვით;
- <u>განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული მონაცემთა ბაზების ანალიზი:</u> სტრატეგიით გათვალისწინებული ინდიკატორების გარდა (ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებლები) შეფასების ანგარიში მოიცავს დამატებით ინფორმაციას არაქართულენოვანი სკოლების სექტორების მოსწავლეების აღმავალ მობილობაზე (ფორმალური განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე პირდაპირი გადასვლის მაჩვენებლები, 1+4 პროგრამის დასრულების და მიტოვების მაჩვენებლები, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ტრანზიციის და დამთავრების მაჩვენებლები);
- <u>სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები გეგმით განსაზღვრული აქტივობების პირდაპირ და ირიბ ბენეფიციარებთან:</u> ამ კომპონენტის ფარგლებში შეგროვდა დამატებითი ინფორმაცია გეგმით გათვალისწინებული ინტერვენციების გავლენის, შესაბამისობის და მდგრადობის შესახებ. ორივე - სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი - მიზნობრივი სეგმენტისთვის განხორციელდა და გაანალიზდა 18 ფოკუს ჯგუფის მოსაზრებები. აღნიშნული შეხვედრები შემდეგნაირად განაწილდა:

- არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების უფროსკლასელი მოსწავლეები (2);
- არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლები2);
- არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების ადმინისტრაცია (2);
- „1+4 პროგრამის“ კურსდამთავრებულები;
- „1+4 პროგრამის“ სტუდენტები;
- „1+4 პროგრამაში“ ჩართული მასწავლებლები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;
- სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების აქტორები;
- დაწყებითი კლასების (ბილინგვური განათლება) მასწავლებლები (2);

[11] სომხურენოვანი სკოლის/სექტორის მოსწავლეები არ მონაწილეობენ PISA-ში.

- დაწყებითი კლასების (ბილინგვური განათლება) მოსწავლეების მშობლები (2);
- სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ბილინგვური განათლება) მასწავლებლები (2);
- სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ბილინგვური განათლება) მოსწავლეების მშობლები(2);

სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში გათვალისწინებული ორი სტრატეგიული პრიორიტეტის - სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა - ჭრილში სიღრმისეული მონაცემების მისაღებად საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის კვლევის ჯგუფმა დამატებით ჩაატარა სიღრმისეული ინტერვიუები სტრატეგიის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (*იხ. დანართი 1).*

შეფასების ფარგლებში გამოყენებული კვლევის მეთოდები

#	მიზანი/ ამოცანები	ინდიკატორი/შუალედური სამიზნე	კვლევის მეთოდი		
			სამაგიდე კვლევა	თვისებრივი კვლევა	რაოდენობრივი კვლევა
I	*სტრატეგიული პრიორიტეტი: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად*				
1.	**მიზანი 1: სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის**	**ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონე**			
1.1.	ამოცანა 1.1 სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება);	1.1.1. მე-7 კლასის მოსწავლეებს შორის 83.5% შეუძლია ქართულ ენაზე წერა, კითხვა, საუბარი/კურსდამთავრებულთა 60% ფლობს ქართულ ენას (წერა, კითხვა, საუბარი) 1.1.2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ე.წ. „1+4 პროგრამის" საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა 5% -ით	✓	✓	✓
1.2.	ამოცანა 1.2 სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში;	1.2.1. 20 000 მსმენელმა წარმატებით დაასრულა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები/კურსები	✓	✓	
2.	**მიზანი 2. სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში**	**სახელმწიფო ენის პოპულარიზაციისა და ცოდნის განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო უწყებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართულობა**			
2.1.	ამოცანა 2.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და	2.1.1. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში ჩართული საჯარო სექტორის წარმომადგენელთა რაოდენობა (500) 2.1.2. საჯარო საქმის წარმოებაში, ბილბორდებზე, წარწერებზე , დასახელებებზე სახელმწიფო ენის გამოყენების შეფასება (90%)	✓	✓	

	გამოყენების ზედამხედველობა.				
II	***სტრატეგიული პრიორიტეტი: ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა***				
3.	**მიზანი 3. განათლების მაღალი ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განათლების ყველა დონეზე**	**სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასებებში აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლების მოსწავლეთა მიღწევების თანაფარდობა ქართულენოვანი სკოლების მიღწევებთან მიმართებით**			
3.1.	ამოცანა 3.1 სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა;	3.1.1. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელის თანაფარდობა ეროვნულ მაჩვენებელთან - სხვაობა შემცირებულია 40%-ით 3.1.2. არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია ორენოვანი სკოლამდელი განათლების სტანდარტები და მეთოდიკა (დანერგილია ბაღების 100%-ში)	✓	✓	
3.2.	ამოცანა 3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;	3.2.1. ავტორიზებული სკოლების კლასების წილი, სადაც დანერგილია ორენოვანი განათლება (დანერგილია ყველა არაქართულენოვანი სკოლის 1-4 კლასებში) 3.2.2. ავტორიზებული საჯარო სკოლების წილი, სადაც ხორციელდება არაქართულენოვანი პროგრამები გაიზარდა 15 % ით	✓	✓	✓
3.3.	ამოცანა 3.3 ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად;	3.3.1. ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობა გაზრდილია (პროფესიული - 10%, უმაღლესი - 5%)	✓	✓	✓
4.	**მიზანი 4. ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს წახალისება**	**ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს პრინციპების ასახვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია**			
4.1.	ამოცანა 4.1 განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (შშმ და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების	4.1.1. განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების რაოდენობა (365 ბავშვი) 4.1.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულო განათლების პროგრამებში ჩართული ბოშათა თემის წარმომადგენელი ბავშვების რაოდენობა (220 ბავშვი)	✓	✓	

	რეალიზების ხელშეწყობა;				
4.2.	ამოცანა 4.2 სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში	4.2. სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხები მნიშვნელოვანწილადაა ასახული ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სახელმძღვანელოებსა და განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში	✓	✓	

სახელმწიფო სტრატეგიის კონცეპტუალური ჩარჩო და სტრუქტურა


აქტორების ქსელი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის წარმართვასა და კოორდინაციას **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** ხელმძღვანელობს. მისი უმთავრესი მისიაა მრავალეთნიკურ საქართველოში ჰარმონიული თანაცხოვრებისა და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობა. სახელმწიფო აპარატი უზრუნველყოფს სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, წარმართავს სახელმწიფო ინსტიტუტების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებულ მუშაობას. ეს მიდგომა ემსახურება ყველა მოქალაქისთვის - მიუხედავად მათი ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი თუ კულტურული კუთვნილებისა - სრული მონაწილეობითი მოქალაქეობის უზრუნველყოფას და საერთო სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას.

ორი სამიზნე პრიორიტეტის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების კუთხით სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის ეკოსისტემა, პირობითად, სამ ჯგუფად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

- პირველ ჯგუფს ქმნიან განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მისი ქვეუწყებები;
- მეორე ჯგუფი აერთიანებს სხვა სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც ჩართულნი არიან სტრატეგიის ამ მიმართულებების განხორციელებაში;
- მესამე ჯგუფს წარმოადგენს მუნიციპალური მართვის ორგანოები ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.

სქემა 1: *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის სტრატეგიული პრიორიტეტების - სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა - ინსტიტუციური გარემოს რუკა*



როგორც სქემიდან ჩანს, სახელმწიფო სტრატეგიის კონტექსტუალურ შრეში ორი დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტია მოქცეული, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ძირითად პრიორიტეტებსა და ორიენტირებს განსაზღვრავს:

- განათლების 2022-2030 წლების ერთიანი ეროვნული სტრატეგია (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) – სტრატეგიაში ხაზგასმულია ინტეგრაციისა და ინკლუზიის მნიშვნელობა და ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრიორიტეტი;

- სახელმწიფო ენის ერთიანი 2021-2030 წლების პროგრამა (სტრატეგია) (სახელმწიფო ენის დეპარტამენტი) – ამ დოკუმენტით დეკლარირებული ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც ამოცანადაა დასახული ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე.

ინსტიტუციურ რუკაზე შემდეგი აქტორებია წარმოდგენილი:

- **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** ახორციელებს ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას. სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უშუალო ჩართულობით, შეიმუშავებს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიას, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებასა და მონიტორინგს. პროცესი მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების აქტორებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია განიხილება და ორიენტირებულია თანაბარუფლებიანი და დემოკრატიული საზოგადოების განმტკიცებაზე, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად მისი ეთნიკური თუ კულტურული კუთვნილებისა, სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობის, პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობები.

- **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო** კოორდინაციას უწევს ფორმალური განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურზე ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისაკენ, ასევე

არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მიმართულ ინტერვენციებს.

✓ **სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი** 2016 წლიდან ახორციელებს „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამას“, რომელიც აერთიანებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გასულ წლებში განხორციელებულ პროგრამებს – „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (2009-2015 წწ.) და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის (2011-2015 წწ.). ამ ინიციატივების მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა – ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და სწავლა-სწავლების პროცესის მხარდაჭერა. პროგრამაში დასაქმებულია კონსულტანტ-მასწავლებლები, რომლებიც მივლენილები არიან ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში.

✓ **სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი** ატარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს, მათ შორის იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც აბარებენ მხოლოდ ზოგად უნარებს აზერბაიჯანულ/სომხურ/აფხაზურ/ოსურ ენებზე. ცენტრი ადგენს იმ აბიტურიენტთა სიებს, რომლებმაც მოიპოვეს უფლება, გაიარონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და ისწავლონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამასთან, ცენტრმა შეიმუშავა ქართული ენის ფლობის დონის დამდგენი ინსტრუმენტი, რომელიც 2025 წლიდან დაინერგება, შესაბამისად, ჩატარდება სასერტიფიკატო გამოცდები შეფასების ევროპული სტანდარტით. აღნიშნული ინსტრუმენტი შესაძლებელია, რომ გამოყენებულ იქნას ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასებისთვისაც.

✓ **სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა** ახორციელებს სახელმწიფო ენისა და ინტეგრაციის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის სწავლებას. სკოლა დაინტერესებული პირებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებას უზრუნველყოფს ქ. თბილისსა და 11 რეგიონულ სასწავლო ცენტრში. ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეგიონული სასწავლო ცენტრები მდებარეობს ქვემო ქართლში (გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტებში), სამცხე-ჯავახეთში (ახალციხის,

ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები) და კახეთში (ლაგოდეხის, საგარეჯოს და ახმეტის მუნიციპალიტეტებში).

✓ **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტები)** მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021–2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებაში, განსაკუთრებით კი ქართული ენის სწავლების ხელშეწყობისა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით. ისინი მონაწილეობენ სამოქმედო გეგმების მომზადებასა და ადგილობრივ დონეზე ინიციატივების განხორციელებაში, უზრუნველყოფენ ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას საკონსულტაციო პროცესებში, ხელს უწყობენ ქართულენოვანი საგანმანათლებლო რესურსების გავრცელებას და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ლოკალიზაციას, რაც მიზნად ისახავს სოციალურ ინტეგრაციასა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

✓ **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან ერთად ახორციელებს ქვეპროგრამას - „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში“,** რომელიც მოიცავს ორ მიმართულებას: ბილინგვური სკოლამდელი განათლება და ბილინგვური სკოლა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების საზოგადოება (აღმზრდელები, აღმზრდელის თანაშემწეები, 3-5 წლის ასაკისა და სასკოლო მზაობის ჯგუფების ბავშვები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, მეთოდისტები, საგანმანათლებლო რესურსცენტრების სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტები); არაქართულენოვანი საჯარო სკოლის/სექტორების დაწყებითი და საბაზო საფეხურის სასკოლო საზოგადოება (მასწავლებლები, მოსწავლეები, საჯარო სკოლების დირექცია, ადმინისტრაცია, მშობლები). ქვეპროგრამის მიზანია სახელმწიფო და მშობლიურ ენებზე წიგნიერების დონის ამაღლება, რაც განათლების ხარისხის გაუმჯობესების საფუძველია.

✓ **მასწავლებლის მომზადების პროგრამები:** რუკაზე, ასევე, მოცემულია მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა და თსუ-ს მულტილინგვური განათლების – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მასწავლებლების მომზადებას ისახავს მიზნად. მულტილინგვური განათლების პროგრამა კი თავის მხრივ, ორიენტირებულია დაწყებითი განათლების საგნის/საგნობრივი ჯგუფის იმ მასწავლებლის მომზადებაზე, რომელიც

ფლობს I - IV კლასების მშობლიური ენის (სომხური/აზერბაიჯანული), ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ კომპეტენციებს, დამატებით V - VI კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან ერთ-ერთი ან მაქსიმუმ ორი საგნის/საგნობრივი მიმართულების კომპეტენციას; კერძოდ, პროგრამის ამოცანაა ეროვნული
სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის/საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება.

- **სახელმწიფო ენის დეპარტამენტის** მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა, ქართული ენის პოპულარიზაციაზე ზრუნვა, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და დამკვიდრება. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ფუნქციებია: სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარებისთვის ერთიანი პროგრამისა და პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და განხორციელება; რეკომენდაციების გაცემა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებისათვის, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სახელმწიფო ენის მართებული გამოყენების მიზნით.

- **სახალხო დამცველის აპარატი და მასთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოში** ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე 50-მდე ორგანიზაციაა გაერთიანებული. საბჭო ფუნქციონირებს როგორც ეთნიკური უმცირესობების ინტერესების დაცვის უზრუნველმყოფელი ინსტიტუტი. მისი ძირითადი ფუნქციებია: ეთნიკურ უმცირესობებსა და ხელისუფლებას შორის კონსულტაციებისა და დიალოგის წახალისება; ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების პროცესში რეკომენდაციებისა და შენიშვნების შეთავაზება.

სტრატეგიული მიზნების და ამოცანების იერარქია


მოცემული შეფასების ფოკუსს წარმოადგენს 2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის პირველი ორი პრიორიტეტი: (1) სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; და 2) ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა.

პირველი პრიორიტეტის ფარგლებში სტრატეგიის მიზნებს წარმოადგენს სახელმწიფო ენის სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება ფორმალურ, არაფორმალურ და ზრდასრულთა განათლებაში ისევე, როგორც სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.

მეორე პრიორიტეტის ფარგლებში სტრატეგიის მიზნებს წარმოადგენს, ზოგადად, განათლების მაღალი ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ეთნიკური უმცირესობებისთვის ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე ისევე, როგორც ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

სქემა 2 ასახავს სტრატეგიის პირველი ორი პრიორიტეტის ფარგლებში მიზნებისა და ამოცანების იერარქიულ მიმართებას.

სქემა 2 *სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების იერარქია*



აქტივობების კლასტერები

სტრატეგიის მიზნებისა და სამოქმედო გეგმის აქტივობების შინაარსობრივი კლასიფიკაციის (დაჯგუფების) შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი თემატური კლასტერი.

თითოეული კლასტერი წარმოადგენს სტრატეგიის მიზნების მიღწევის ინსტრუმენტს და მოიცავს საჭიროებების ანალიზსა და კვლევებზე დაყრდნობით დასახულ მიზნობრივ ნაბიჯებს. აქტივობების კლასტერებად დაჯგუფებამ ხელი შეუწყო ამ მრავალფეროვანი თემების მსგავს შინაარსობრივ ბლოკებად ორგანიზებასა და ჰოლისტურ შეფასებას.

ძირითადი თემატური კლასტერებია:

A	მასწავლებლების პროფესიული განვითარება და გაძლიერება;
B	სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების მომზადება და გავრცელება;
C	ბილინგვური სწავლების დანერგვა;
D	მუნიციპალური დონის აქტივობები;
E	მიზნობრივ ჯგუფებში ენის კომპეტენციების შეფასება;
F	პროფესიულ განათლებაში სახელმწიფო ენის სწავლება;
G	საჯარო მოხელეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება;
H	სხვა კვლევები;
I	სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მხარდაჭერა;
J	ინფრასტრუქტურული პროექტები;
K	სკოლის გაძლიერება;
L	ეთნიკური უმცირესობების ენებზე სწავლის ხელშეწყობა;
M	მოტივირების, ცნობიერების ამაღლებისა და სოციალური კამპანიები.

შეფასების მიგნებები

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად

2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის პირველი პრიორიტეტის ფარგლებში მთავარ ფოკუსს წარმოადგენს სახელმწიფო ენის, როგორც ინტეგრაციის ინსტრუმენტის გამოყენება.

ამ ფართო პრიორიტეტის ფარგლებში ორი მიზანია დასახული, რომელთაგან ერთი აქცენტს სახელმწიფო ენის სწავლების სტრატეგიების გაუმჯობესებაზე აკეთებს, ხოლო მეორე - სახელმწიფო ენის პოპულარიზაციაზე და ენის სწავლის მოტივაციის გაუმჯობესებაზე.

მიზანი 1: სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის (გავლენა, ეფექტურობა და აქტივობები კლასტერების მიხედვით

გავლენა


სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების მიმართულებით გავლენის ინდიკატორს (სტრატეგიული მიზნის დონეზე) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონე წარმოადგენს.

საბაზო ნიშნულის თანახმად (2020), თვითშეფასების მონაცემებზე დაყრდნობით ეთნიკური სომხების 47% და ეთნიკური აზერბაიჯანელების 19% ფლობდა სახელმწიფო ენას *(წყარო: 2014 საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, სტატისტიკის ეროვნული სამსახური,).* სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღრული იყო, რომ 2024 წლისთვის ზრდასრულ არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის საკომუნიკაციო დონეზე ცოდნა საბაზო ნიშნულთან შედარებით 25%-ით გაიზრდებოდა და, შესაბამისად, ეთნიკური სომხების შემთხვევაში დაახლოებით 72%-ს მიაღწევდა, ხოლო ეთნიკური აზერბაიჯანელების შემთხვევაში - 45%-ს.

შესაბამისად, პირველი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების კვალდაკვალ საქართველოში, არაქართულენოვან მოსახლეობაში, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის მნიშვნელოვანი ცვლილების

მოლოდინი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ენის ცოდნის კუთხით ზოგად სურათს, სტრატეგიით გათვალისწინებული ინტერვენციების გარდა, სხვა თანმდევი კონტექსტუალური ფაქტორებიც შეიძლება იწვევდეს, როგორიცაა მედია ლანდშაფტის ცვლილება, ურბანიზაციის პროცესები, ეკონომიკური მიგრაციის ინტენსივობა, ტექნოლოგიური განვითარება და გლობალიზაციის ტენდენციები, სტრატეგიის ლოგიკა ეყრდნობა დაშვებას, რომ გათვალისწინებული გრძელვადიანი ცვლილება მეტწილად სტრატეგიული ამოცანებისა და მათ ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით არის განპირობებული. ამგვარად, სტრატეგიის წვლილი განიხილება როგორც ფართო საზოგადოებრივი და კულტურული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი და პროგრესის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი. 2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის შუალედური შეფასება აჩვენებს, რომ 2024 წლის მდგომარეობით ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის თვითშეფასების დონე გაუმჯობესებულია.[12] თვითშეფასების საფუძველზე, სომხურენოვანი მოსახლეობის 78% და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის 62% აღნიშნავს, რომ მინიმუმ ელემენტარულ დონეზე ფლობს ქართულ ენას, რაც, საბაზო ნიშნულთან შედარებით, მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს და 2024 წლისთვის დასახულ სამიზნე ნიშნულებს აღემატება (72%, 45%).

სქემა 3 *ვფლობ სახელმწიფო ენას (ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გამოკითხულთა %)*



წყარო: საბაზო ნიშნულისთვის - საქსტატი, 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები; სამიზნე და რეალური ნიშნულებისთვის - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2024). სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა.

აგრეთვე, არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის კომპეტენციის დინამიკის შეფასებისას სომხურენოვანი მოსახლეობის წარმომადგენელთა 88%

[12] სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსახლეობაში (2024), შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსახლეობაში.


და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენელთა 83% აღნიშნავს, რომ მათ რეგიონში ენის ცოდნის კუთხით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა.

ამ პოზიტიური ზოგადი ტენდენციის ფონზე საყურადღებოა ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევაც:

- ქართული ენის ცოდნის თვითშეფასების დონე არაერთგვაროვანია ასაკობრივი ჭრილის მიხედვით - ახალგაზრდებში (29 წლამდე) ენის ფლობის თვითშეფასების მაჩვენებელი ძალიან მაღალია (მხოლოდ 7% საერთოდ არ ფლობს ქართულ ენას), მაგრამ, ასაკთან ერთად, ენის ცოდნის დონე მკვეთრად იკლებს: 30-49 წლის ასაკის მოსახლეობის ქართულს საერთოდ არ ფლობს 28%, ხოლო 50 წელს ზემოთ მოსახლეობაში ანალოგიური მაჩვენებელი 60%-ს შეადგენს.
- ქართული ენის ცოდნის მხრივ კვლავ თვალსაჩინოა განსხვავებები აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან თემს შორის - მაჩვენებლები უფრო დაბალია აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში.

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის კომპეტენციის გაუმჯობესება სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფში და ინტერვენციები უფრო მიზნობრივ და ჯგუფების საჭიროებებზე მორგებულ მიდგომებს საჭიროებს.

სქემა 4. *განსხვავებები სახელმწიფო ენის ფლობაში ასაკისა და ეთნიკური ჯგუფის მიხედვით (ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გამოკითხულთა %)*



ეფექტურობა

სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების კუთხით სტრატეგიია ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობას გულისხმობს, რომლებიც ორ ამოცანაშია ასახული: ამოცანა 1.1 მოიაზრებს სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებას და

პოპულარიზაციას ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება), ხოლო ამოცანა 1.2 მიმართულია სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერებაზე ზრდასრულ მოსახლეობასა და არაფორმალურ განათლებაში;

ამოცანებთან მიმართებაში, 2024 წლისთვის დასახული მაჩვენებელები დიფერენცირებულია ე.წ. ქვეჯგუფების მიხედვით:

ამოცანა 1.1: სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება);

სასკოლო განათლების დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები) საბაზო ნიშნულად (2020) სახელმწიფო სტრატეგიაში გამოყენებულია საქართველოში ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმწიფო შეფასების 2018 წლის შედეგები. შედეგების თანახმად, არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მე-7 კლასის მოსწავლეების მხოლოდ ნახევარს (47,8%-ს) შეეძლო ქართულ ენაზე წერა, კითხვა და საუბარი. გეგმის თანახმად, 2024 წლისთვის ეს მაჩვენებელი 83.5%-მდე უნდა გაზრდილიყო. სკოლის კურსდამთავრებულებში კი ანალოგიური სამიზნე ნიშნული 60%-ს შეადგენს.

უმაღლესი განათლების საფეხურზე მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ე.წ. "1+4 პროგრამის" საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ცვლილების დინამიკა. ვინაიდან „1+4 პროგრამა" არაქართულენოვანი სკოლების/სექტორის მოსწავლეებში სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონის მაკომპენსირებელ დროებით ინსტრუმენტს წარმოადგენს, სახელმწიფო სტრატეგიის შეფასების საწყის ეტაპზე (2024 წელი) გეგმით გათვალისწინებულია მაჩვენებლის ზრდა, ხოლო შემდეგ ეტაპებზე (2027, 2030 წლები) - მაჩვენებლის თანდათანობითი კლება (სასკოლო განათლებაში ქართული ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კვალდაკვალ). გეგმის თანახმად, 2020 წელს „1+4 პროგრამაზე" ჩაირიცხა 1191 აბიტურიენტი, 2024 წელს ეს მაჩვენებელი (საბაზო ნიშნულთან შედარებით) 5%-ით უნდა გაზრდილიყო.

ამოცანა 1.2: სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში;

არაფორმალური და ზრდასრულთა განათლების მიმართულებით ინდიკატორად განსაზღვრულია მსმენელთა რაოდენობა, რომელთაც წარმატებით დაასრულეს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები/კურსები. საბაზო ნიშნულს (2020) 16713 მონაწილე წარმოადგენს. გეგმის თანახმად ეს მაჩვენებელი 2024 წლისთვის 20000 მონაწილემდე უნდა გაზრდილიყო.

შეფასების შედეგები აჩენებს, რომ პირველი მიზნის სამი ამოცანიდან 2 სრულად შესრულდა, ხოლო ერთი - მეტწილად.

სქემა 5 *სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება (მიზანი 1): ამოცანების შესრულების მაჩვენებლები*

ინდიკატორი	საბაზო მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული (2024)	ფაქტობრივი მაჩვენებელი (2024)	სტატუსი
ამოცანა 1.1 სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება);				
არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა წილი, რომლებიც ფლობენ ქართულ ენას (წერა, კითხვა, საუბარი)	ქართულ ენაზე წერა, კითხვა, საუბარი (2018 წლის მონაცემები): მე-7 კლასი: 47,8%	ქართულ ენაზე წერა, კითხვა, საუბარი: მე-7 კლასი: 83,5 % კურსდამთ.: 60%	მე-7 კლასი: (90%, 80%, 60%) კურსდამთ: (75%, 65%, 40%)	
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ე.წ. "1+4 პროგრამის" საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა	1191	ზრდა: +5%	+ 12% (1339)	
ამოცანა 1.2 სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში;				
მსმენელთა რაოდენობა, რომელთაც წარმატებით დაასრულეს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები/კურსები	16713	20000	20000	

სრულად შესრულდა მეტწილად შესრულდა

ინდიკატორი 1.1.1. მოსწავლეებში ქართული ენის ფლობის დონე *(სამიზნე ნიშნული მეტწილად მიღწეულია)*

ზოგად განათლებაში სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით პროგრესის ძირითად ინდიკატორს მოსწავლეებში ქართული ენის ფლობის დონე წარმოადგენს.

სტრატეგიის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი მაჩვენებლები ეყრდნობა ქართულში, როგორც მეორე ენაში სახელმწიფო შეფასების (2025 წელი) ფარგლებში მეშვიდე და მეთორმეტე კლასის მოსწავლეების გამოკითხვის

პირველად მონაცემებს[13]. აღნიშნული სახელმწიფო შეფასება განხორციელდა სსიპ საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის მიერ.

ქართულში, როგორც მეორე ენაში სახელმწიფო შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ ენის ფლობის თვითშეფასების მაჩვენებელი მოსწავლეებში განსხვავებულია წერის, კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის კომპონენტებში.

როგორც მონაცემებიდან ჩანს (სქემა 6), მეშვიდეკლასელი მოსწავლეებისთვის ყველაზე ადვილია ქართულად წერა (დებულებას აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების 92% და სომხურენოვანი მოსწავლეების 95% ეთანხმება) და კითხვა (82% და 88%)- შესაბამისად, ამ განზომილებებში რეალური მაჩვენებლები აჭარბებს ან შეესაბამება 2024 წლისთვის დასახულ ნიშნულს (83.5%).

თუმცა, მოსმენასა და მეტყველებაში მოსწავლეთა თვითშეფასების მონაცემები სტრატეგიით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე დაბალია. ყველაზე მეტად მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს უჭირთ მეტყველება (აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების მხოლოდ 58% და სომხურენოვანი მოსწავლეების 68% მიიჩნევს, რომ მისთვის ადვილია ქართულად საუბარი).

სქემა 6 *ჩემთვის ადვილია ქართულად .... (გამოკითხულ მოსწავლეთა % არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში)*



ამასთანავე, შეფასების შედეგებიდან ჩანს განსხვავებები სკოლაში სწავლების ძირითადი ენის მიხედვით - სომხურენოვანი სკოლების/სექტორების მეშვიდეკლასელი მოსწავლეების თვითშეფასების მაჩვენებლები უფრო მაღალია აზერბაიჯანულენოვანი სკოლების/სექტორების მეშვიდეკლასელ მოსწავლეებთან შედარებით.

[13] წარმოდგენილი მონაცემები წარმოადგენს ნედლ მონაცემებს. რეალური ნიშნული დაზუსტდება სახელმწიფო შეფასების საბოლოო შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა ტესტირების შედეგების გათვალისწინებით.

სახელმწიფო შეფასების ფარგლებში, დამატებით, გამოიკითხა მეთორმეტე კლასის მოსწავლეებიც (სქემა 6). ამ ქვეჯგუფში ტენდენცია მეშვიდე კლასის სურათის ანალოგიურია - აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსწავლეებს ყველაზე მაღალი თვითშეფასება წერაში („ჩემთვის ადვილია ქართულად წერა": 77%/78%) და კითხვაში აქვთ („ჩემთვის ადვილია ქართულად კითხვა": 64%/72%) - ამ კომპონენტებში მოსწავლეთა თვითშეფასების მაჩვენებლები აღემატება სტრატეგიით განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულს (60%). ყველაზე დაბალი თვითშეფასების მაჩვენებელი მეთორმეტეკლასელთა ქვეჯგუფშიც მეტყველების კომპონენტში დაფიქსირდა (37.7%/ 39.7%).

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მეთორმეტეკლასელი მოსწავლეების ენობრივი კომპეტენციის თვითშეფასების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება უფრო დაბალი კლასების (მეშვიდე კლასი) მოსწავლეთა ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ქართულში, როგორც მეორე ენაში სახელმწიფო შეფასების ეს ტენდენციები მიგვანიშნებს, რომ, შესაძლოა, ახალ კოჰორტებში (დაწყებით კლასებში) სახელმწიფო ენის სწავლების პრაქტიკა გაუმჯობესებულია, თუმცა დამატებით ყურადღებას საჭიროებს მეტყველებისა და მოსმენის სწავლების სტრატეგიების განვითარება.

ინდიკატორი 1.1.2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ე.წ. „1+4 პროგრამის" საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა *(სამიზნე ნიშნული გადაჭარბებულია)*

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა (ე.წ. „1+4 პროგრამა") განკუთვნილია საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, ვინც არაქართულენოვანი სკოლა ან სექტორი დაამთავრა. მისი მიზანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარები გამარტივებული წესით ირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც ერთი წლის განმავლობაში ეუფლებიან ქართულ ენას. პროგრამის ამოცანაა, უზრუნველყოს ქართული ენის იმ დონეზე დაუფლება, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებმა შეუფერხებლად შეძლონ მათთვის სასურველ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამას საქართველოში თხუთმეტწლიანი ისტორია აქვს. მისი ამოქმედების საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ფარგლებში 2009 წელს გამოკვეთილი გამოწვევები არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის კომპეტენციის გაუმჯობესებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით.[14] ამოქმედების


[14] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია 2009-2014 წწ.;

დღიდან პროგრამა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უფრო ფართო სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი ხდება. მისი მიზნები ასახულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის მოქმედ (2021-2030 წწ.) და წინმსწრებ ვერსიებსა და სამოქმედო გეგმებში, ისევე როგორც განათლების ერთიან სტრატეგიაში (2021-2030 წწ.).

ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ბენეფიციართა **ჩარიცხვის აბსოლუტური მაჩვენებელი** საქართველოში კვლავ მზარდია. საერთო ჯამში, პროგრამის ამოქმედებიდან (2010 წ.) დღემდე, პროგრამაზე 13000-ზე მეტი აბიტურიენტი ჩაირიცხა (იხ. სქემა 7)[15].

2020 წლიდან 2024 წლამდე პროგრამაზე ბენეფიციართა ჩარიცხვის მაჩვენებელი დაახლოებით 25%-ით არის გაზრდილი, რაც სამიზნე ნიშნულთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია (სამიზნე ნიშნული - 5%-ით ზრდა) (იხ. სქემა 7).

სქემა 7 *ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მაჩვენებლები წლების მიხედვით*




პროგრამაზე ჩარიცხულთა დაახლოებით ორ მესამედს (70%) აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები ქმნიან. აბსოლუტურ რიცხვებში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულთა მაჩვენებლები როგორც სომხურენოვანი, ისე აზერბაიჯანულენოვანი ბენეფიციარების შემთხვევაში იმატებს, რაც მიზნობრივი ჯგუფების ორივე კატეგორიაში პროგრამის პოპულარობაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს.

სტუდენტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია უფრო თვალსაჩინო იყო აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების ქვეჯგუფში სომხურენოვან ქვეჯგუფთან შედარებით (სქემა 8).

სქემა 8 *ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მაჩვენებლები წლების და ტესტირების ენის მიხედვით*

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2015-2020 წწ.

[15] წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა EMIS.



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა EMIS


მიუხედავად იმისა, რომ "1+4 პროგრამა" ინტეგრაციის და ქართული ენის ცოდნის ხარვეზების კომპენსაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებულია, რომ არაქართულენოვან თემში, ენის კომპეტენციების გაუმჯობესებასთან ერთად, შემდგომ წლებში „1+4 პროგრამაზე" მოთხოვნა დაიკლებს - რადგან აბიტურიენტები ჩვეულებრივი წესით ჩააბარებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ამ მხრივ დამატებით ინფორმატიულ ინდიკატორს პროგრამაზე **პირდაპირი გადასვლის მაჩვენებელი წარმოადგენს**. პირდაპირი გადასვლის მაჩვენებელი აღნიშნავს სკოლადამთავრებულთა ყოველწლიურ კოჰორტებში იმ კურსდამთავრებულთა წილს, რომელთაც სკოლის დასრულების წელსვე სწავლა ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე გააგრძელეს.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც აზერბაიჯანულენოვანი სკოლა/სექტორი დაამთავრეს, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ინტეგრირების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების ალტერნატიულ გზას – მისაღები გამოცდების ქართულ ენაზე ჩაბარების შესაძლებლობას - აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლის/სექტორის კურსდამთავრებულთა ძალიან მცირე ნაწილი მიმართავს (1% ორივე ქვეჯგუფში, 2023 წლის მონაცემები), რაც (სხვა ფაქტორებთან ერთად) შეიძლება მიანიშნებდეს, რომ ქართულ ენაზე გამოცდების ჩაბარება არაქართულენოვანი აბიტურიენტებისათვის ჯერ კიდევ სირთულეს წარმოადგენს.

არაქართულენოვან ახალგაზრდებში ენობრივი კომპეტენციის შეფასების ერთ-ერთ ირიბ ინდიკატორად შეიძლება განიხილებოდეს სტუდენტების შენარჩუნების დინამიკა ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში, რაც **პროგრამის მიტოვებისა და დასრულების მაჩვენებლებით** აისახება.

სქემა 9 *ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩართულობის მაჩვენებლები წლების და ტესტირების ენის მიხედვით*



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა EMIS

პროგრამის დასრულების/დაძლევის მაჩვენებელი ირიბად მიანიშნებს, რომ ბენეფიციარმა შეძლო ქართული ენის დამაკმაყოფილებელ დონეზე დაუფლება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად. ასევე, პროგრამის მიტოვებისა და დასრულების მაჩვენებლები გვაწვდის ინფორმაციას საუნივერსიტეტო სივრცეში ბენეფიციართა ინტეგრაციის წარმატების შესახებ.


2023-2024 წლის კოჰორტაში ისეთი სტუდენტების წილმა, რომლებმაც სწავლა შეაჩერეს ან მიატოვეს აზერბაიჯანულენოვან ქვეჯგუფში 12%, ხოლო სომხურენოვანში – 10% შეადგინა.

ინდიკატორი 1.2.1. მსმენელთა რაოდენობა, რომელთაც წარმატებით დაასრულეს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსები *(სამიზნე ნიშნული მიღწეულია)*

ზრდასრულთათვის ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობა ხელმისაწვდომია სსიპ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროგრამების საშუალებით თბილისსა და 11 რეგიონულ ცენტრში, ასევე, საჯარო ორგანიზაციებში, სამხედრო სამსახურში, რელიგიურ დაწესებულებებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მობილური ჯგუფებისა და დისტანციური სწავლების საშუალებით.

2021-2024 წლებში სახელმწიფო ენის პროგრამების ფარგლებში გადამზადდა ეთნიკური უმცირესობების 20 008 წარმომადგენელი (სქემა 10). დადებითია სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის შესაბამისი პროგრამით სახელმწიფო ენის სწავლებაში ჩართულ ბენეფიციართა დინამიკაც, 2021 წელს ბენეფიციართა რაოდენობა დაახლოებით 47%-ით, ხოლო 2022 წელს-24%-ით გაიზარდა. მზარდი დინამიკა იყო 2023 და 2024 წლებშიც. 2023 წელს სახელმწიფო ენის კურსებს 5439 მსმენელი დაესწრო, ხოლო 2024 წელს - 5525.[16][17]

სქემა 10. *ქართულ ენაში გადამზადებულ პირთა რაოდენობა წლების მიხედვით (2021-2024 წლები)*




აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ენის სწავლების სერვისით სარგებლობენ განსხვავებული მიზნობრივი ჯგუფები, მათ შორის საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრების თანამშრომლები, სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლები, საჯარო მოხელეები და საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები, კერძო სექტორის, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, აბიტურიენტები, სტუდენტები და უმუშევარი მოსახლეობა.

სამიზნე ჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვან სეგმენტს საჯარო სკოლისა და რესურსცენტრების წარმომადგენლები ქმნიან. საკმაოდ მაღალია აბიტურიენტებისა და უმუშევართა ხვედრითი წილიც. სსიპ- ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სერვისების მიმღებთა 86%-ს სწორედ ეს ჯგუფები წარმოადგენენ.

საინტერესოა შემსწავლელების სქესობრივი გადანაწილებაც. ქართული ენის კურსებზე, 2021-2024 წლებში შემსწავლელთა უმრავლესობას ქალი წარმოადგენდა. 20008 შემსწავლელიდან 15104 ქალია (75,5%). ასაკობრივ ჯგუფების მიხედვით შემსწავლელთა 46%-ს 16-29 წლამდე ახალგაზრდა შეადგენდა, 37%-ს - 30-49 წლამდე, 17%-ს კი 50 წლის და უფროსი ასაკის მსმენელები (სქემა 11).

[16] წყარო: სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის შესრულების ანგარიში (2024);
[17] საზოგადოებრივი დამცველი. (2024). *სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსახლეობაში: კვლევის ანგარიში.* თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში; გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

სქემა 11. *ქართულ ენაში გადამზადებულ პირთა განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით (2021-2024 წლები)*



შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსების ფორმატები მრავალფეროვანია.

მიუხედავად ამისა, ზრდასრულთათვის კურსების დაგეგმვისას საჭიროა დიფერენცირებული საკომუნიკაციო არხები, წამახალისებელი მექანიზმები და მიდგომები ბენეფიციართა სხვადასხვა ჯგუფის მოზიდვისთვის მათი სპეციფიური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებისთვის, რადგან დღეისათვის პროგრამაში სქესისა და ასაკის ნიშნით ბენეფიციართა ჩართულობა მნიშნელოვნად განსხვავდება.

აქტივობები კლასტერების მიხედვით

ამოცანის 1.1 შესრულებისათვის (ფორმალური განათლების ქვესისტემის ფარგლებში) დაგეგმილი აქტივობების ძირითადი კლასტერებია:

- მასწავლებელთა კოჰორტის გაძლიერება (კლასტერი A);
- სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო რესურსების მომზადება და გავრცელება (კლასტერი B);
- ბილინგვური სწავლების დანერგვა საბავშვო ბაღებსა და სკოლებში (კლასტერი C);
- პროფესიული განათლების საფეხურზე ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება (კლასტერი F).

პირველი ამოცანით განსაზღვრული აქტივობების ძირითად განმახორციელებელს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მისი ქვეუწყება -

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი წარმოადგენს. აგრეთვე, ამოცანის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უწყებები და საგანმანათლებლო დაწესებულებულებები.

ამოცანის 1.2. შესრულებისათვის (არაფორმალური და ზრდასრულთა განათლების ქვესისტემის ფარგლებში) დაგეგმილი აქტივობების ძირითადი კლასტერებია:

- საჯარო მოხელეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება (კლასტერი G);
- მუნიციპალური დონის აქტივობები ქართული ენის მხარდასაჭერად (კლასტერი D)

მეორე ამოცანის აქტივობების ძირითადი განმახორციელებელია სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა და მუნიციპალური მართვის ორგანოები.

წარმოდგენილი სქემები (სქემები 12 და 13) აჯამებს მიზნის მიღწევისთვის გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსს.

ამოცანის 1.1 ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებიდან დაახლოებით 35% სრულად შესრულდა, 30% - მეტწილად შესრულდა, ხოლო დარჩენილი 35% - ნაწილობრივ შესრულდა.

გეგმით გათვალისწინებული ნიშნულების მიღწევის თვალსაზრისით, გამოწვევები შეიქმნა პროფესიული განათლების მიმართულებით, სადაც პროფესიული განათლების სისტემის მართვის მოდელის ცვლილების შედეგად, გეგმით გათვალისწინებული რიგი აქტივობების განხორციელება ვადაში გახანგრძლივდა.

ამოცანის 1.2 ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებიდან თითქმის ყველა შესრულდა. გამონაკლისს ამ შემთხვევაშიც პროფესიული განათლება წარმოადგენს, სადაც იგივე მიზეზებით ვერ მოხდა დასახული ნიშნულების მიღწევა.

სქემა 12 *აქტივობების შესრულების სტატუსი და განმახორციელებელი უწყებები (ამოცანა 1.1)*

კოდი	აღწერა	ინდიკატორი	MoES	TPDC	NCER	Skills Agency	EMIS	NAEC	EQE	ქვეყნის სკოლა	სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	საგ.დ.-წესებულებები	თეორიწყარის მუნ. მერია	2021/ჯვარისტალი	2022/ჯვარისტალი	2023/ჯვარისტალი	2024/ჯვარისტალი	სტატუსი
A	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში დეფიციტის შევსების მიზნით მასწავლებლების გადანაწილება/მივლინება	2021-2022: 251-მდე გაგზავნილი მასწავლებელი 2023-2024: დეფიციტი დაფარულია 100%-ით												IV			IV	***
A	არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის ადგილობრივი მასწავლებლების სახელმწიფო ენის შემსწავლელ კურსში გადამზადება	1200-მდე გადამზადებული მასწავლებელი, 1200-მდე სხვადასხვა საგნის მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი												IV			IV	***
A	არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის ადგილობრივი მასწავლებლების გადამზადება პროფესიული უნარების გრძელვადიანი ტრენინგ-კურსით	1500-მდე გადამზადებული მასწავლებელი													IV			*
A	არაქართულენოვანი სკოლების ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების პროფესიული გადამზადება	2021-2022: გადამზადებულია 200 მასწავლებელი 2023-2024: გადამზადებულია 200 მასწავლებელი												IV				***
B	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით ქართულის, როგორც მეორე ენის გზამკვლევისა და რესურსების შექმნა	შექმნილი ქართულის, როგორც მეორე ენის გზამკვლევი და რესურსები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით, დაწყებითი საფეხურისთვის												IV				***
B	ქართულის, როგორც მეორე ენის გრამატიკის დამხმარე სახელმძღვანელოს/რესურსის შექმნა	შექმნილია დამხმარე სახელმძღვანელო												IV				***
C	ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ბილინგვური მიდგომით არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე;	ჩართულია 200 სკოლა															IV	**
D	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბაღებში, რომელთა ბენეფიციარებიც არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ქართული ენის პოპულარიზაციის მიზნით ბავშვებისთვის სახალისო აქტივობების დანერგვა	4 ღონისძიება, 2 ბაღი, 50-მდე ბენეფიციარი															IV	***
E	არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეების ქართული ენის ფლობის დონის კვლევის ჩატარება	მომზადებულია კვლევის ანგარიში															IV	**
F	საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განხორციელება	სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სულ მცირე 2 საგანმანათლებლო დაწესებულებას; სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაში ჩართულია 100-მდე მსმენელი															IV	*
F	საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა	დამტკიცებულია სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მარეგულირებელი ჩარჩო (დამტკიცებულია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესი, მსმენელთა ჩარიცხვის წესი, თარგმანორებულია მსმენელთა														II		*
F	სახელმწიფო ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი გამოცდის ჩატარების წესის შემუშავება/დამტკიცება	დამტკიცებულია სახელმწიფო (ქართული) ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი გამოცდის ჩატარების წესი														IV		*
F	სახელმწიფო ენის პროგრამის განხორციელების დაწყების მიზნით შესაბამისი ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მქონე საბჭოს ფორმირება	სახელმწიფო ენის პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით შექმნილია შესაბამისი საბჭო														III		*
F	სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსების მხარდაჭერის მოდელის შექმნა და დანერგვა	შემუშავებული და დანერგილია სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსების მხარდაჭერის მოდელი															IV	*
F	სახელწიფო ენაში მომზადების პროგრამის მასწავლებლებისთვის სახელმძღვანელოს შექმნა თითოეული დონის მოდულისთვის, ბეჭდვური და ელექტრონული რესურსების შექმნა	სახელწიფო ენაში მომზადების პროგრამის მასწავლებლებისთვის შემუშავებულია მინიმუმ ერთი სახელმძღვანელო თითოეული დონის მოდულისთვის; სახელწიფო ენაში მომზადების პროგრამის მასწავლებლებისთვის შემუშავებულია ბეჭდვური და ელექტრონული რესურსები															IV	**
G*	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებისთვის და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირებისთვის "სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის" პროგრამების განხორციელება	პროგრამაში დამატებით ჩართულია ეთნიკური უმცირესობის არანაკლებ 300 წარმომადგენელი, საჯარო/საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირი															IV	**
I	არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ყოფილი მონაწილეების სწავლის დაფინანსება მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე	არანაკლებ 5 დაფინანსებული ბენეფიციარი													IV			**


აქტორის სტატუსი

	წარმოადგენს ანგარიშს და პასუხისმგებელი შესრულებაზე
	პასუხისმგებელი შესრულებაზე
	წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციას

აქტივობის სტატუსი

***	შესრულებულია
**	მეტწილად შესრულებულია
*	ნაწილობრივ შესრულებულია

სქემა 13 *აქტივობების შესრულების სტატუსი და განმახორციელებელი უწყებები (ამოცანა 1.2)*



ბილინგვური განათლება (კლასტერი C)

2020-2021 წლიდან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებს ქვეპროგრამას „ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში", რომლის მიზანია ეთნიკური უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებსა და სკოლებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით.

ბილინგვური განათლება სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ისეთი ფორმაა, როდესაც სასწავლო პროცესი ერთდროულად ორ ენაზე წარიმართება. ბილინგვური განათლება ერთგვარი მედიუმის როლს ასრულებს მშობლიურსა და სახელმწიფო ენას შორის იმ მოდელისგან განსხვავებით, როდესაც უმცირესობის ან სახელმწიფო ენა კურიკულუმში მხოლოდ ერთ-ერთ საგანს წარმოადგენს.

კვლევების მიხედვით, ორენოვანი განათლება არა მხოლოდ ენობრივ კომპეტენციას ავითარებს, არამედ ხელს უწყობს საერთო აკადემიური მოსწრების

ამაღლებას და კულტურული ცნობიერების ჩამოყალიბებას[18]. ბილინგვური განათლება ავითარებს მეტაენობრივ ცნობიერებას და აყალიბებს ძლიერ კონცეპტუალურ საფუძველს, რაც დადებითად აისახება ყველა სასწავლო სფეროზე[19].

ბილინგვური მოდელის ეფექტიანობის კრიტერიუმებია: (1) მშობლიური ენის სრულყოფილად ფლობა/ გამოყენება სკოლის პერიოდში და სკოლის დასრულების შემდგომ; (2) სახელმწიფო ენის სრულყოფილად ფლობა და სოციალური ინტეგრაციის მიღწევა.

ბილინგვური განათლების მიდგომა, თავის მხრივ, ორ ძირითად მოდელს მოიაზრებს: ტრანზიციულს (Transitional bilingual education) და გამამდიდრებელს (ადიციურს- Additive bilingual education): (1) ტრანზიციული მოდელი გულისხმობს მშობლიური ენიდან სახელმწიფო ენაზე ეტაპობრივად, სრულად გადასვლას. (2) გამამდიდრებელი მიდგომა ორივე (მშობლიური და სახელმწიფო) ენის მაღალ დონეზე შესწავლას გულისხმობს. ასეთი მიდგომა თაობათა შორის ენის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, გადაცემასა და შენარჩუნებას ემსახურება.

ზოგადი განათლებისა და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისათვის საქართველოში შერჩეულია გამამდიდრებელი ბილინგვური განათლების ერთ-ერთი ძლიერი ფორმა - „უმცირესობის ენის შენარჩუნების პროგრამა"(Maintenance Bilingual Education – MBE). ბილინგვური განათლების ეს ფორმა ითვალისწინებს ორენოვანი წიგნიერების დაუფლებას და მიმართულია უმცირესობათა ინტეგრაციისაკენ (და არა მათი ასიმილაციისაკენ).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბილინგვური განათლება ჯერჯერობით მხოლოდ დაწყებით საფეხურზე (II-VI კლასები) ინერგება ხუთ საგანში: მე და საზოგადოება, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, სახვითი ხელოვნება და "ჩვენი საქართველო". დაწყებით საფეხურზე გამოიყენება შერეული მიდგომა (mixing approach), რომელიც გულისხმობს საგნობრივი თემების ფარგლებში ენათა მონაცვლეობას აქტივობების მიხედვით: აქტივობები, რომლებიც მოითხოვს ახალი საკითხის გაგება-გააზრებას, მსჯელობას, უფრო მეტად მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, ხოლო აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ან ცოდნის განმტკიცებას, სახელმწიფო ენაზე ტარდება.

ბილინგვური მოდელის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ზოგადი განათლების ფარგლებში:

[18] Thomas, W. P., & Collier, V. P. (2012). Dual language education for a transformed world.
[19] Cummins, J. (2000). Language, power, and pedagogy: Bilingual children in the crossfire (Vol. 23). Multilingual matters.

- დაწყებით საფეხურზე შემუშავებულ რესურსებზე დაყრდნობით 5 საგანში (მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, სახვითი ხელოვნება, მე და საზოგადოება, „ჩვენი საქართველო“) გადამზადდა ბილინგვური განათლების 400-მდე სპეციალისტი;

- ამ ეტაპზე მიმდინარეობს სხვადასხვა საგნის ახალაყვანილი ბილინგვური სპეციალისტებისა (270-მდე ახალი კადრი) და სკოლამდელი განათლების ბილინგვური მასწავლებლების (30-მდე ახალი კადრი) დატრენინგება. ამ პირველადი ტრენინგების შემდეგ ისინი ჩაერთვებიან მუდმივმოქმედ ყოველკვირეულ საკონსულტაციო სემინარებში, რომლებსაც უძღვებიან სამინისტროს საგნობრივი ექსპერტები.

სამიზნე ნიშნულით გათვალისწინებული იყო 2024 წლისთვის 200 სკოლის დაფარვა, თუმცა შეფასების ეტაპისთვის ბილინგვური მოდელის დანერგვის პროცესში ნაკლები სკოლა (169) მონაწილეობს. ასევე, ბილინგვური მოდელის დანერგვაში ამ ეტაპისათვის ჩართულია 34 საბავშვო ბაღი (80-მდე სკოლამდელი დაწესებულებიდან). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამოქმედო გეგმით დადგენილია განსაკუთრებით მაღალი მისაღწევი ნიშნული (100%), რაც სტრატეგიის სხვა აქტივობების შემთხვევაში არ გვხვდება. შეფასებაში ჩართული რესპონდენტების აზრით, ეს ნიშნული გადახედვას საჭიროებს - ბილინგვურ პროგრამაში საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრირების მიმდინარე ტემპიც კი დაჩქარებულია, რადგან პროგრამა ძალიან კომპლექსურია, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებას და დიდ დროს, ადამიანურ და ტექნიკურ რესურსს მოითხოვს.

შეფასების ფარგლებში ჩატარებულმა მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფის ანალიზმა გამოავლინა, რომ საერთო ჯამში, მასწავლებლები დადებითად აფასებენ ბილინგვური განათლების დანერგვას დაწყებით საფეხურზე. მათი შეფასებით, ამ მიდგომის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მოსწავლეებს უფრო მეტად მოეხსნათ მათთვის არამშობლიურ ენაზე საუბრის თანმდევი უხერხულობა. ადრე მოსწავლეებს ქართულად მხოლოდ ენის გაკვეთილზე შეეძლოთ საუბარი, ახლა კი სახელმწიფო ენა მათი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდა. თუმცა, კვლევის პროცესში ასევე გამოვლინდა ბილინგვური განათლების პროგრამის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული გარკვეული გამოწვევებიც. კერძოდ, როგორც უშუალოდ ბილინგვური სწავლების პედაგოგები აღნიშნავენ, სკოლების ნაწილში გამოწვევად რჩება ადგილობრივი მასწავლებლების დამოკიდებულება რეფორმის მიმართ. ბილინგვური მიდგომის მასწავლებლები ამ გარემოებას უპირველესად ადგილობრივი მასწავლებლების მხრიდან თანამშრომლობის დაბალ მოტივაციას უკავშირებენ. მათი აზრით, ადგილობრივი მასწავლებლების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბილინგვური მეთოდის მასწავლებლები უპირატეს

პირობებში იმყოფებიან, როგორც ანაზღაურების, ასევე პროფესიული განვითარების მხრივაც.

გარდა ამისა, ზოგიერთი მასწავლებლისათვის მკაფიო არ არის ბილინგვურ სწავლებაში ენათა მონაცვლეობის პრინციპის არსი. კერძოდ, მასწავლებლები, რიგ შემთხვევებში, მექანიკურად იყოფენ სასწავლო დროს მაშინ, როდესაც ენათა მონაცვლეობა საათების მექანიკურ გადანაწილებას კი არა უნდა ეფუძნებოდეს, არამედ მოსწავლეთა საგნობრივ-ენობრივ საჭიროებებს უნდა ეყრდნობოდეს.

,,ადგილობრივი მასწავლებელი მეუბნება, რომ ერთი დღე შენ ჩაატარე და მეორე დღეს მე. ბილინგვურის იდეა კვდება ასე, რადგან სახელმძღვანელოს და ბილინგვური განათლების ამ მოდელის თანახმად აქტივობების მიხედვით არის დაყოფილი ენათა მონაცვლეობის პრინციპი.“ (აზერბაიჯანულენოვანი ბილინგვური მასწავლებელი)

თითოეულ ენაზე საკითხის სწავლებას იმდენი დრო უნდა დაეთმოს, რამდენიც მოსწავლეებს დასჭირდებათ. მასწავლებლების ნაწილი იცნობს ამ მნიშვნელოვან დეტალს, თუმცა კოლეგიალური ურთიერთობების შესანარჩუნებლად, რიგ შემთხვევებში, დათმობაზე წასვლა უწევს. დისკუსიისას მასწავლებლები თანამშრომლობის გაუმჯობესების კონკრეტულ მექანიზმებსაც ასახელებენ. კერძოდ, მათი აზრით, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მასწავლებლებისთვის ანაზღაურების მხრივ თანაბარი პირობების შექმნა, გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში მათი უფრო აქტიური ჩართვაა და უფრო ინტენსიური სამუშაო შეხვედრების გამართვა ბილინგვური განათლების სპეციფიურ საკითხებზე. ამ საჭიროებაზე ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევებიც მიუთითებს, სადაც აღნიშნულია, რომ ადგილობრივი მასწავლებლების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ორენოვანი დამხმარე მასწავლებლების მიმართ გამოწვეულია კვალიფიკაციასთან, სამუშაო დატვირთვასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხებით. შესაბამისად, ეს ფაქტორები აფერხებს თანამშრომლობითი სასკოლო კულტურის განვითარებას და მოითხოვს დროულ და ეფექტურ რეაგირებას.[20]

კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ სამწუხაროდ, ადგილობრივი მასწავებლების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს სურვილი და მოტივაცია, ჩაერთოს პროფესიული განვითარების აქტივობებში, რაც შემდეგ მათ კარიერულ

[20] გორგაძე, ნ. ტაბატაძე, შ. და გაბუნია კ. (2024) გამოუქვეყნებელი კვლევის ანგარიში. ბილინგვური განათლების რეფორმა საქართველოში განათლების პოლიტიკისკონტექსტში. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობებისცენტრი. თბილისი. საქართველო

წინსვლაზეც შეიძლება აისახოს. კომპეტენციების სიმწირე და მოტივაციის ნაკლებობა მთავარ სირთულეს ქმნის ბილინგვური მეთოდით კოლაბორაციული სწავლების დაგეგმისა და განხორციელებისათვის. არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში პედაგოგები ბილინგვური მეთოდის მასწავლებლების მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამაში არა მარტო ქართული ენის ინტეგრაციისთვის მიმართული ასპექტების, არამედ მშობლიური ენის სწორად გამოყენების მიდგომებზე ყურადღების გამახვილების საჭიროებასაც გამოკვეთენ.

ბილინგვური მეთოდის მასწავლებლები, ასევე, სინანულით აღნიშნავენ, რომ პედაგოგების გარკვეულ ნაწილი თავს არიდებს სპეციფიურ საგანმანათლებლო გამოწვევებს - მაგალითად, შშმ მოსწავლეებთან აქტიურ მუშაობას, რაც, შესაძლოა, შესაბამისი ცოდნის ნაკლებობითაა განპირობებული.

ამასთან, ბილინგვური მიდგომის ეფექტიან დანერგვას აუცილებლად უნდა უჭერდეს მხარს სკოლის ლიდერთა გუნდი. მასწავლებლების შეფასებით, სკოლის დირექტორების ნაწილი ინდიფერენტულია პროცესის მხარდაჭერისადმი, რაც სასკოლო თემში რეფორმის მიმღებლობას აფერხებს. ეს გარემოება, თავისთავად, იწვევს იმასაც, რომ ბილინგვური სწავლების პროცესში მასწავლებლებს ნაკლები წვდომა აქვთ სასწვლო რესურსებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

მასწავლებლების შეფასებით, ბილინგვური განათლების წარმატება არა მხოლოდ ინდივიდუალური მასწავლებლების, არამედ განათლების სისტემის გაერთიანებულ ძალისხმევას მოითხოვს, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული, მეთოდოლოგიური და რესურსულ მხარდაჭერის შენარჩუნებას და კიდევ უფრო გაძლიერებას, ადამიანური რესურსების მართვის სისტემის შემდგომ სრულყოფას, მოქმედი მასწავლებლების კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებას.

ჩამოთვლილი გამოწვევების მიუხედავად, მასწავლებლები ცალსახად მიუთითებენ მოსწავლეების გაზრდილ მოტივაციაზე. მათი შეფასებით, ბილინგვური განათლების მოდელი მოსწავლეებს არა მხოლოდ სახელმწიფო ენის უკეთ ათვისებისკენ, არამედ, ზოგადად, უკეთ სწავლისკენ უბიძგებს. მათი შეფასებით, ბილინგვური სწავლება ნამდვილად არის უფრო მეტად მოსწავლეზე და მოსწავლეების ინტერესებზე ორიენტირებული.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მშობლებიც ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად აფასებენ ბილინგვური მიდგომით სწავლებას დაწყებით საფეხურზე როგორც აზერბაიჯანულენოვან, ასევე სომხურენოვან მოსახლეობაში, არა მხოლოდ ენობრივი მეთოდის უპირატესობის გამო *(„ენა უფრო ადვილად ისწავლება ადრეულ ასაკში “, მშობელი ახალქალაქიდან)*, არამედ ბილინგვური

მეთოდის მასწავლებლების უკეთესი პროფესიული მომზადების გამოც. კერძოდ, ერთ-ერთი მშობელი აღნიშნავს, რომ მოსწავლე სკოლიდან დაბრუნების შემდეგაც იხსენებს თავისი მასწავლებლის ქცევას, მითითებებს და უკუკავშირს, რაც, ირიბად, პედაგოგის მზაობასა და სწორ მიდგომაზე მიუთითებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს-ჯგუფში მონაწილე მშობლებს მკვეთრად ნეგატიური მიდგომა მეთოდის მიმართ არ გამოუხატავთ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მშობელთა ნაწილი სკეპტიკურად აფასებს ადრეულ ასაკში ბავშვებთან ორ ენაზე ერთდროულად სწავლების პროცესს, ძირითადად იმის გათვალისწინებით, რომ, მაგალითად, ახალქალაქში, ზოგადად, მასწავლებლების კომპეტენცია არ არის საკმარისი მშობლიურ ენაზე სწავლების მიმართულებითაც *(დაზუსტ: მშობლები მიუთითებენ, რომ ბავშვები ვერ სწავლობენ ლიტერატურულ სომხურ ენას),* რაც კიდევ უფრო ართულებს დამატებითი ენის შესწავლის პროცესს. ამასთან, მაშინ, როდესაც მშობლები მიდგომის გამოწვევებზე საუბრობენ, ისინი გამოკვეთენ არა მეთოდოლოგიურ ლიმიტაციას, არამედ ბილინგვური მასწავლებლის „ მეწყვილე "პედაგოგის" დაბალ მზაობას. ამასთან, მშობლები მიიჩნევენ, რომ ასეთი მეთოდოლოგიური ინოვაციის შემოტანისას სასკოლო საზოგადოება, მშობლები და ადგილობრივი თემი მეტად უნდა იყოს ინფორმირებული - *„საზოგადოების უფრო ფართო ჯგუფებს საჯაროდ უნდა ავუხსნათ, კერძოდ რას გულისხმობს და რას არ გულისხმობს ბილინგვური მეთოდით სწავლება".* მშობლების ნაწილი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მათთვის სასარგებლო იქნებოდა ანგარიში ან სხვა სახის დოკუმენტი, სადაც ზედმიწევნით იქნებოდა აღწერილი ამ მეთოდის უპირატესობები და შესაძლებლობები.

ასევე, დისკუსიის მონაწილეთა აზრით, ბილინგვური მიდგომის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რეფორმის გაფართოება მოხდეს უფრო ნელა, სამიზნე დაწესებულებებში შესაბამისი ადამიანური და ტექნიკური რესურსების განვითარების კვალდაკვალ.[21]

სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო რესურსების განვითარება (კლასტერი B);

ქართულის სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის სახელმძღვანელოებსა და სასწავლო რესურსებს წამყვანი მნიშვნელობა აქვს. სტრატეგიის ფარგლებში სახელმძღვანელოებზე მუშაობა ცალკე აქტივობის სახით იყო ფორმულირებული. 2021-2022 წლების ციკლში, შესაბამისად, გეგმის მიხედვით მომზადდა:

[21] გორგაძე, ნ. ტაბატაძე, შ. და გაბუნია კ. (2024) გამოუქვეყნებელი კვლევის ანგარიში. ბილინგვური განათლების რეფორმა საქართველოში განათლების პოლიტიკისკონტექსტში. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობებისცენტრი. თბილისი. საქართველო

- ქართულის, როგორც მეორე ენის გზამკვლევი და რესურსები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პირნციპებზე დაყრდნობით, დაწყებითი საფეხურისთვის;
- ქართულის, როგორც მეორე ენის გრამატიკის დამხმარე სახელმძღვანელო.

2023-2024 სასწავლო რესურსებზე მუშაობა მიმდინარეობს ინტეგრირებულად, ბილინგვური სწავლების კომპონენტის ფარგლებში.

კერძოდ, ბილინგვური მოდელის დანერგვის ხელშეწყობისთვის დაიბეჭდა და დარიგდა:

- სახელმძღვანელოები („მე და საზოგადოება", III კლასი, I ნაწილი; „სახვითი ხელოვნება", II კლასი, I ნაწილი; „ბუნებისმეტყველება", III კლასი, I ნაწილი), - დამხმარე რესურსები - მასწავლებლის გზამკვლევი, მოსწავლის სამუშაო ფურცლები („მე და საზოგადოება", IV კლასი I ნაწილი; „სახვითი ხელოვნება", III - IV კლასი; I ნაწილი; „ჩვენი საქართველო", V - VI კლასი I და II სემესტრებისთვის; „მათემატიკა", II - IV კლასი; I ნაწილი; „ბუნებისმეტყველება", IV კლასი I ნაწილი).

ბენეფიციართა შეფასებით, აუცილებელია სახელმძღვანელოებსა და სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში, მათი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნას მეტი ადამიანური და ტექნიკური რესურსი. ასევე, საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა როგორც სასწავლო მასალების ხარისხის გაუმჯობესების, ისე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით.[22]

მასწავლებლების პროფესიული განვითარება და გაძლიერება (კლასტერი A)

არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში მასწავლებელთა მივლინება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხანგრძლივი ინიციატივაა, რომელიც სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, 2009 წლიდან მიმდინარეობს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაქართულენოვან სკოლებში ყოველწლიურად 200-ზე მეტი მასწავლებელი იგზავნება (2020 წელს - 250 პედაგოგი, 2021 წელს - 228, 2022 წელს - 239 მასწავლებელ, 2023 წელს - 246 კონსულტანტი და დამხმარე მასწავლებელი), ხოლო 2024 წელს 145 კონსულტანტ-მასწავლებელი.

სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში 2023 წლის მდგომარეობით მუშაობდნენ: 121 ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი, 125 დამხმარე მასწავლებელი, მათ

[22] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2024). სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსახლეობაში.

შორის 61 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი, რომლებიც ადგილობრივ მასწავლებლებთან თანამშრომლობით უძღვებოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სხვადასხვა საგნობრივ მიმართულებებს.

მიუხედავად ამ პროგრამების დადებითი ზეგავლენისა, ჩატარებული კვლევები და ექსპერტთა ანალიზი ცხადყოფს მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება როგორც პროგრამის მონაწილეთა სამუშაო დატვირთვას, ასევე მათ ინტეგრაციას სასკოლო კულტურასა და გარემოში. ბილინგვური განათლების პროგრამების შეფასების კვლევამ გამოავლინა, რომ უფრო ეფექტიანად არის შესაძლებელი კონსულტანტ-მასწავლებლების რესურსის გამოყენება ბილინგვური განათლების რეფორმის პროცესში [23], რის წინაპირობასაც ადგილობრივ თემში რეფორმისადმი მზაობის და მოტივაციის გაძლიერება წარმოადგენს.

ადგილობრივი მასწავლებლები, რომელთა ნაწილისთვის სწავლების ინტერაქციული მეთოდები დისციპლინის პრობლემებთან უფრო ასოცირდება, ვიდრე ინოვაციურ პედაგოგიკასთან, ნაკლებად აცნობიერებენ, რომ ბილინგვური განათლება კონკრეტული, სისტემური გეგმის მიხედვით ფუნქციონირებს.

განსაკუთრებული სირთულეები წარმოიქმნება კლასებში, სადაც მოსწავლეები საერთოდ არ ფლობენ ქართულ ენას. ამ შემთხვევაში ბილინგვური განათლების მასწავლებლები ამბობენ, რომ თარგმნითი მეთოდის გარეშე შეუძლებელია ეფექტური კომუნიკაცია, რაც პროგრამის თეორიულ საფუძვლებს უპირისპირდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასწავლებლების შეფასებით, იმ კლასებში, სადაც მოსწავლეები უკეთ ფლობენ ქართულ ენას, ადგილობრივი მასწავლებლების რეფორმისადმი დამოკიდებულებების უფრო პოზიტიურია და მოსწავლეების აკადემიური მიღწევებიც - უფრო თვალსაჩინო.

მასწავლებელთა პროფესული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის წარმომადგენლებთან საუბრისას იკვეთება, რომ სკოლებში მზაობისა და დადებითი მოლოდინების გაუმჯობესებისათვის უფრო ეფექტური საინფორმაციო კამპანიის წარმოებაა შესაძლებელი. ერთი მხრივ, მასწავლებლებისათვის შეთავაზებული იქნა თანაბარი პირობები პროფესიული განვითარებისთვის და შეიქმნა თანასწავლების შესაძლებლობა, რაც თეორიულად დადებითი ფაქტორია - მეთოდოლოგიური მიმართულებით ბილინგვური სწავლების დამხმარე მასწავლებლებს შეუძლიათ დიდი დახმარების გაწევა ყველა საგნის მასწავლებლებისთვის. თუმცა პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ ეს ინიციატივა განსხვავებულად აღიქმება - რიგ შემთხვევებში ადგილობრივი მასწავლებლები კონსტრუქციულად ხვდებოდნენ თანასწავლების პროცესს, მაგრამ რიგ

[23] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2024). სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსახლეობაში

შემთხვევებში ადგილობრივ პედაგოგებს შეექმნათ განცდა, რომ ეს პრაქტიკა მათი პროფესიული ნაკლოვანებების გამოსაკვეთად იყო შემოღებული, რასაც, შესაძლოა, საფრთხე შეექმნა მათი სამომავლო საქმიანობისთვის. კონსულტანტი მასწავლებლების ინტეგრაციის გამოცდილების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ბილინგვური სწავლების დამხმარე მასწავლებლებთან ეფექტიანი თანამშრომლობის მრავალი მაგალითის შექმნით შესაძლებელი იქნება ადგილობრივი მასწავლებლების ამ დამოკიდებულების დაძლევაც.

2015-2022 წლებში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში პრაქტიკოსი მასწავლებლების უმრავლესობამ სტატუსის ამაღლება ვერ შეძლო და, შესაბამისად, სისტემის დატოვების საფრთხის წინაშე დადგა. ვინაიდან ახალი კადრების მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საკმარისი ტემპით არ ხდებოდა და სკოლებში ჩანაცვლება შეუძლებელი იქნებოდა, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა შესაბამისი პოლიტიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები. არაქართულენოვანი სკოლების პრაქტიკოს მასწავლებლებს მიეცათ დამატებითი დრო და შესაძლებლობა სტატუსის ასამაღლებლად. ამასთანავე, სომხურის და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენების, მასწავლებლებზე მოქმედებდა სხვა საგნების მასწავლებლებისთვის დაწესებული პროცედურებისგან განსხვავებული რეგულაციები. ეთნიკური უმცირესობის ენების პრაქტიკოსი მასწავლებლები (სომხური და აზერბაიჯანული) 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე ინარჩუნებენ პრაქტიკოსის სტატუსს, მაშინ როცა სხვა საგნების მასწავლებლებისთვის ეს ვადა 2023-2024 წლამდე იყო განსაზღვრული (CCIIR-ის ბიულეტენი, 2023 ბ).

სასკოლო საგნების მასწავლებლებისთვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მიღება სხვადასხვა გზით გახდა შესაძლებელი. მათ შორის ყველაზე მარტივი ვარიანტები იყო: ქართული ენის ისეთი კურსის გავლა, რომელიც ორგანიზებული შეიძლება ყოფილიყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, და საგნობრივი კომპეტენციის ნაწილობრივ დადასტურება (1, 4, 7 ან 10 კრედიტ ქულაზე). ასევე, ამ პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომი იყო სპეციალური ტრენინგ-კურსი.

რაც შეეხება მშობლიური ენების (სომხური ან აზერბაიჯანული) პრაქტიკოს მასწავლებლებს, 2026 წლამდე მათ შეუძლიათ მოიპოვონ უფროსი მასწავლებლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ გაივლიან ქართული ენის ზემოაღნიშნულ კურსს, ან წარადგენენ ქართული ენის ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს და დადასტურებენ საგნობრივ კომპეტენციას (1, 4, 7 ან 10 კრედიტ ქულაზე). გარდა

ამისა, მათ უფლება აქვთ ჩაერთონ პროფესიული უნარების გრძელვადიან ტრენინგ-კურსში, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიენიჭებათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი (CCIIR-ის ბიულეტენი, 2023ბ).

არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებელთათვის ალტერნატიული გზით პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის მექანიზმების გამოყენების სტატისტიკის მიხედვით, სახელმწიფო ენის სწავლისა და გამოცდის ჩაბარების მიმართულებით 2021-2024 წლებში ქართული ენის კურსი, როგორც ალტერნატიული პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, 3252 მასწავლებელმა გამოიყენა. 2022 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში სულ 5829 მასწავლებელი მუშაობდა, მათგან 1012 ქართული ენის მასწავლებლად (CCIIR ბიულეტენი, 2023ა). ამ მონაცემების შესაბამისად, მოქმედი მასწავლებლების 70%-მდე გაიარა პროფესიული განვითარება სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით.

შთამბეჭდავი რაოდენობრივი მაჩვენებლების ფონზე, მნიშვნელოვანია შეფასდეს ამ კურსების ეფექტი ენობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით. საკვანძო საკითხია, თუ რამდენად უზრუნველყოფს ეს პროგრამები პრაქტიკულ შედეგებს - რამდენ მასწავლებელს შეუძლია პროფესიული დოკუმენტაციის გაგება, რესურსების გამოყენება და საგნის სწავლება ქართულ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები ეფუძნება ევროპულ ჩარჩოს, ასევე, არსებითია სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამებისა და ბილინგვური განათლების რეფორმის კიდევ უფრო მეტად დაკავშირება, რათა მომზადებული კადრები ეფექტურად ჩაერთონ ბილინგვური რეფორმის განხორციელებაში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს ამჟამად 145 კონსულტანტი მასწავლებელი - რაც საშუალებას აძლევს როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ისე სკოლის, რაიონის და რეგიონის მასშტაბით დაგეგმოს პროფესიული განვითარების პროცესი. მთავარი გამოწვევა ამ ეტაპზე ადგილობრივი მასწავლებლების დაბალ მოტივაციაშია - კარიერული სქემის მოდიფიცირებამ და შეჩერებამ გარკვეული ზეგავლენა იქონია მათ სურვილზე, უფრო აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განვითარების პროცესში. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2024 წელს, როდესაც მოთხოვნა პროფესიული განვითარების ტრენინგებზე იმდენად დაეცა, რომ ვერ განხორციელდა სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ნიშნულის მიღწევა. შექმნილი სურათის ფონზე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა შეძლოს პროფესიული განვითარების სამომავლო პროგრამების მორგება ამ ახალ გარემოებებზე და მასწავლებელთა ახალ მოლოდინებსა და საჭიროებებზე.

მიზანი 2: სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (გავლენა, ეფექტურობა და აქტივობები კლასტერების მიხედვით)

გავლენა

სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიმართულებით გავლენის ინდიკატორს (სტრატეგიული მიზნის დონეზე) წარმოადგენს სახელმწიფო უწყებების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (მათ შორის, მიზნობრივი კონკურსები, ბანაკები, გაცვლითი პროგრამები, კამპანიები, ტრენინგები და ა.შ.) ჩართულობა. გეგმის თანახმად, 2024 წლისთვის ღონისძიებებში, საერთო ჯამში, უნდა ჩართულიყო 7000-მდე ბენეფიციარი. საბაზო ნიშნულის თანახმად (2020), მსგავს ღონისძიებებში ჩართული იყო დაახლოებით 3000 ბენეფიციარი.

კვლევაში ჩართული მხარეები აღნიშნავენ, რომ როგორც წინა წლებში განხორციელებული პრაქტიკა ცხადყოფს, ისეთი პრაქტიკული ღონისძიებები, როგორებიცაა ადგილობრივი სტუდენტების სწავლებაში ჩართვა, მოსწავლეებისათვის ბანაკების ორგანიზება, განსაკუთრებით პოზიტიურ გავლენას ახდენს სახელმწიფო ენის პოპულარიზაციაზე და, ასევე, ხელს უწყობს ქართული ენის შესწავლას. შესაბამისად, სასურველია, რომ მსგავსი აქტივობები სამომავლოდაც აისახოს სახელმწიფო სტრატეგიაში და მის განხორციელებაში განსაზღვრული იყოს როგორც ცენტრალური დონის, ასევე მუნიციპალური დონის აქტორების როლი.

ინდიკატორის მიხედვით ზუსტი პროგრესის შეფასების სირთულეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამგვარი მონაცემების სისტემურად შეგროვება და კონსოლიდაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სასურველია, რომ ინდიკატორი ფორმულირდეს განსხვავებული ფორმით, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს მისი გაზომვადობა, ხოლო მეორე მხრივ ინდიკატორმა უკეთ ასახოს ინტერვენციების შედეგი არა მოკლევადიანი ამონაგების, არამედ გრძელვადიანი ეფექტის დონეზე.

გავლენის კიდევ ერთ შესაძლო ინდიკატორად, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაცია, რომელიც მიმოხილულია რელევანტურობის თავში.

ქართული ენის პოპულარიზაციის მიმართულებით გაწეული ძალისხმევის საზოგადოებრივ განწყობებზე გავლენის შეფასების კუთხით კიდევ ერთ ირიბ

ინდიკატორს, შესაძლებელია, წარმოადგენდეს სახელმწიფო პროგრამების ცნობადობა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2024 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობას (77%) სმენია სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების შესახებ, თუმცა ეს ცნობადობა არათანაბრად არის განაწილებული. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცნობილია "1+4 საგანმანათლებლო პროგრამა" (63%), რომელიც უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელების კუთხით საჭიროა საქმიანობის გაგრძელება, განსაკუთრებით სოფლის დასახლებებში და დაბალი განათლების მქონე ჯგუფებში.[24]

ეფექტურობა

სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიმართულებით სტრატეგიია ერთ ამოცანას ისახავს: ამოცანა 2.1 მოიაზრებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას, ფუნქციონირების მხარდაჭერასა და გამოყენების ზედამხედველობას.

ამოცანა 2.1: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა.

ამოცანის დონეზე გაწეული ძალისხმევის პროგრესის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში ჩართული საჯარო სექტორის წარმომადგენელთა რაოდენობა (საბაზო ნიშნული - 300, სამიზნე ნიშნული 2024 წლისთვის - 500);
- საჯარო საქმისწარმოებაში, ბილბორდებზე, წარწერებზე, დასახელებებზე სახელმწიფო ენის გამოყენების დინამიკა (2024 წლისთვის სახელმწიფო ენა, განსაზღვრული წესების თანახმად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო რელევანტური შემთხვევების 90%-ში).

შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ პირველი მიზნის ორი ამოცანიდან 2 სრულად შესრულდა, ხოლო ერთი - მეტწილად.

[24] სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსახლეობაში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2024).

სქემა 14 *სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა (მიზანი 2): ამოცანების შესრულების მაჩვენებლები*

ინდიკატორი	საბაზო მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული (2024)	ფაქტობრივი მაჩვენებელი (2024)	სტატუსი
ამოცანა 2.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა.				
სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში ჩართული საჯარო სექტორის წარმომადგენელთა რაოდენობა	300	500	458 (+1451 მასწავლებელი)	●
საჯარო საქმისწარმოებაში, ბილბორდებზე, წარწერებზე, დასახელებებზე სახელმწიფო ენის გამოყენების შეფასება *		90%	85%	●

● სრულად შესრულდა ● მეტწილად შესრულდა

სურათი აქტივობების კლასტერების მიხედვით

ამოცანის 2.1 შესრულებისათვის დაგეგმილი აქტივობების ძირითადი კლასტერებია:

- მუნიციპალური დონის აქტივობები ენის პოპულარიზაციისთვის (კლასტერი D);
- კვლევითი საქმიანობა და მონიტორინგი (კლასტერი H).

ამოცანით განსაზღვრული აქტივობების ძირითად განმახორციელებელს წარმოადგენს ენის სახელმწიფო დეპარტამენტი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და მუნიციპალური მართვის ორგანოები.

სქემა 15 აჯამებს მიზნის მიღწევისთვის გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსს. ამოცანის 2.1 ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებიდან 80% სრულად შესრულებულია, ხოლო 20% - მეტწილად შესრულებული.

მუნიციპალური დონის აქტივობები ქართული ენის პოპულარიზაციისთვის

2021-2024 წლებში, სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში გადამზადდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 359 საჯარო

მოსამსახურე და 131 სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობების თემებიდან.

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა კომპლექსური კამპანია „ქართული ენა გვაერთიანებს“. კამპანია მოიცავდა კომუნიკაციის სხვადასხვა აქტივობას, მათ შორის: სატელევიზიო და ციფრული ვიდეორგოლების მომზადებასა და გავრცელებას მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით; ბილბორდების, ბანერებისა და პოსტერების განთავსებას თბილისში და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში; ორენოვანი ვიდეორგოლების ტრანსლირებას ადგილობრივ ტელევიზიებში; საინფორმაციო ბროშურების გავრცელებას ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში, ასევე ჩატარდა ორენოვანი საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც შეეხებოდა სახელმწიფო ენის შესწავლისა და განათლების შესაძლებლობებს. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 2,500-მდე ბენეფიციარმა და სულ გაიმართა 20-მდე ღონისძიება.

კვლევაში ჩართული რესპონდენტების აზრით, მუნიციპალურ საქმიანობის კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია კოორდინირებული მოქმედება ყველა ჩართულ მუნიციპალიტეტში. დღეისათვის მუნიციპალური აქტივობები შედარებით ფრაგმენტულია - ნაკლებად ცხადია, როგორ არის ეს აქტივობები დაკავშირებული ამოცანებთან და მიზნებთან, ისევე როგორც მუნიციპალურ დონეზე მიმდინარე სხვა აქტივობებთან, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სტრატეგიით, თუმცა იგივე მიზნებს ემსახურება. სასურველია, რომ მუნიციპალიტეტებმა უფრო მეტად ითანამშრომლონ ერთმანეთთან მიზნების დასახვის, ამ მიზნების მიღწევის ხედვის ფორმირების და საქმიანობის კოორდინაციის მიმართულებით.

კვლევითი საქმიანობა და მონიტორინგი

გარე წარწერებთან დაკავშირებულ საკითხებზე, სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი აქტიურად ახორციელებს მონიტორინგს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. 2023 წელს, დეპარტამენტმა ჩაატარა გარე წარწერების კვლევა მარნეულის, ახალქალაქის, ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. კვლევის შედეგად, მომზადდა დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდზე. მიღებული მონაცემების მიხედვით, სამცხე-ჯავახეთსა და მარნეულში წარწერების 85%-ში სახელმწიფო ენა გამოყენებულია კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ახლოს არის 2024 წლისთვის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულთან (90%).

სქემა 15. *აქტივობების შესრულების სტატუსი და განმახორციელებელი უწყებები (ამოცანა 2.1)*

კოდი	აღწერა	ინდიკატორი	MoES	ჟვანიას სკოლა	სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	მერიების და საკრებულოს თანამშრომლების სწავლების სამსახური	საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი	დმანისის მუნ. მერია	ახალქალაქის მუნ. მერია	ნინოწმინდის მუნიც. მერია	ყვავილა მუნ. რწმუნებულის აღმ.	2021/ კვარტალი	2022/ კვარტალი	2023/ კვარტალი	2024/ კვარტალი	სტატუსი
H	სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში საქმისწარმოების მდგომარეობის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება	სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო-ქართლის რეგიონებში შესწავლილია საჯარო სექტორში საქმისწარმოების პრაქტიკა და გამოწვევები; მომზადებულია რეკომენდაციები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო-ქართლში საქმისწარმოების გაუმჯობესებისთვის											II			***
I	მულტილინგვური განათლებისა და „1+4“ პროგრამების სტუდენტებისთვის ტრენინგების ორგანიზება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკანონმდებლო და ნორმატიული საკითხების შესახებ	ჩატარებულია 2 ტრენინგი სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკანონმდებლო და ნორმატიული საკითხების შესახებ											I			***
D	სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განხორციელება სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების თანამშრომლების მონაწილეობით	სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში ჩართული ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების არანაკლებ 20 თანამშრომელი										IV				***
I	სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მხარდაჭერის მიზნით თემატური კონკურსების ორგანიზება არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის	მოსწავლეებისთვის ჩატარებულია 2 კონკურსი; მასწავლებლებისთვის ჩატარებულია 2 კონკურსი											I			***
H	სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებული გარე წარწერების მოკვლევა და რეკომენდაციების მომზადება	შესწავლილია გარე წარწერების კუთხით არსებული მდგომარეობა და მომზადებულია რეკომენდაციები											I			***
H	სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ტოპონიმიკის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება	შესწავლილია გარე წარწერების კუთხით არსებული მდგომარეობა და მომზადებულია რეკომენდაციები											IV			***
D	სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობაზე, სახელმწიფო ენაში მომზადებისა და ინტეგრაციის პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საინფორმაციო-საკონსულტაციო კამპანიის განხორციელება	საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარებულია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში 1000 ბენეფიციარის მონაწილეობით													IV	**
D	სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობასთან შეხვედრები	ჩატარებულია არანაკლებ 6 შეხვედრა													IV	***
H	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ გეოგრაფიულ პუნქტებში არსებული გარე წარწერების მოკვლევა და ანალიზი (მე-2 ფაზა)	შექმნილია 1 კვლევითი დოკუმენტი და შემუშავებულია რეკომენდაციები												III		***
D	დმანისის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეების გაძლიერების მიზნით სახელმწიფო ენაში სასწავლო კურსის და საქმისწარმოების ქართულენოვანი ელექტრონული სისტემის შესახებ ტრენინგების ჩატარება	გადამზადებულია 44 საჯარო მოხელე													IV	**

აქტორის სტატუსი

წარმოადგენს ანგარიშს და პასუხისმგებელი შესრულებაზე

პასუხისმგებელი შესრულებაზე

წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციას

აქტივობის სტატუსი

*** შესრულებულია

** მეტწილად შესრულებულია

* ნაწილობრივ შესრულებულია

პირველი სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების რელევანტურობა

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ენობრივი ინტეგრაციის პოზიტიური ტენდენციების თანმდევად, შეფასების შედეგებიამ მხრივ ზრდასრულ მოსახლეობაში კომპლექსურ სურათს და გარკვეულ გამოწვევებსაც წარმოაჩენს. კერძოდ, შეფასების შედეგების თანახმად, ზრდასრული არაქართულენოვანი მოსახლეობის ნახევარს არასდროს უცდია ქართული ენის მიზანმიმართული შესწავლა, ხოლო 50%-ზე მეტი ყოველდღიურ ცხოვრებაში საერთოდ არ იყენებს სახელმწიფო ენას. მზინორბივი ჯგუფების ინფორმაციით, ეს მდგომარეობა სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის - გამოკითხულთა 64% აღნიშნავს, რომ ქართული ენის არასათანადო ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემებს უქმნით, განსაკუთრებით ინფორმაციის მიღების (51%), ქართულენოვან მოსახლეობასთან კომუნიკაციის (34%) და სახელმწიფო სერვისებზე წვდომის (27%) თავლსაზრისით.[25]

ენის შესწავლის ბარიერებს შორის დომინირებს დროის უკმარისობა (76%), ხოლო (26%) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართული ენის სწავლა არ არის მათი პრიორიტეტი. ეს შესაძლოა, მიანიშნებდეს იმაზე, რომ შეთავაზებული პროგრამები უფრო მეტად უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის ცხოვრების რიტმსა და სპეციფიკას.

მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება თაობებს შორის - ახალგაზრდები გაცილებით მეტად არიან მოტივირებულები ისწავლონ ქართული ენა, ვიდრე უფროსი თაობა, რაც, სავარაუდოდ, უკავშირდება განათლებისა და დასაქმების ახალ პერსპექტივებს. აღსანიშნავია მოტივაციაში გენდერული სხვაობაც - ქალები უფრო ხშირად ახსენებენ განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებს, ხოლო კაცები ყურადღებას ამახვილებენ ბიზნესისა და სოციალური კავშირების განვითარებაზე.

ამის საპირისპიროდ, სკოლის მოსწავლეებში ენის შესწავლის მოტივაციის თვალსაზრისით უფრო პოზიტიური განწყობები იკვეთება. ქართულში, როგორც მეორე ენაში სახელმწიფო შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ სკოლის მოსწავლეთა მოტივაცია ენის სწავლისათვის მაღალია როგორც აზერბაიჯანულენოვან, ისე სომხურენოვან სკოლებში/სექტორებზე. მეშვიდეკლასელების დაახლოებით 90 % მიიჩნევს, რომ ქართული ენის ცოდნა ზრდის დასაქმების შანსებს, აფართოებს ფორმალური განათლების უფრო მაღალ

[25] წყარო: სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა (2024), შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საფეხურებზე სწავლის შესაძლებლობებს, ამარტივებს კომუნიკაციას და დადებით განწყობას იწვევს საზოგადოებაში. მეშვიდეკლასელთა მაჩვენებლები ოდნავ უფრო მაღალია მეთორმეტეკლასელი მოსწავლეების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, რაც, შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ ახალ თაობაში სახელმწიფო ენის სწავლის მოტივაცია კიდევ უფრო იზრდება.

სქემა 16. ქართული ენის სწავლის მოტივაციასთან დაკავშირებულ დებულებებზე თანხმობის მაჩვენებელი (გამოკითხულ მოსწავლეთა % არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში)



ზრდასრულ ბენეფიციარებთან საუბრის დროსაც ქართული ენის შესწავლის მთავარ მოტივატორებად იკვეთება: ქართულენოვან თანამოქალაქეებთან კომუნიკაციის საჭიროება (54%), დასაქმების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები (51%) და განათლების მიღების უკეთესი პერსპექტივები (42%). ეს ფაქტორები მიუთითებს, რომ ენის სწავლების პროგრამები უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული პრაქტიკულ გამოყენებასთან, როგორიცაა დასაქმების შესაძლებლობები და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.

ქართული ენის შესწავლის მოტივაციის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება, არამედ იმ პრაქტიკული სარგებლის წარმოჩენა, რომელსაც სახელმწიფო ენის ცოდნა იძლევა. ამავდროულად, საჭიროა ენის სწავლების პროგრამები ადაპტირდეს სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფების საჭიროებებზე, განსაკუთრებით

კი უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ნაკლებად მონაწილეობენ ამ პროცესში.

სახელმწიფო პროგრამების რელევანტურობის გაზრდისთვის აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის და ადგილობრივი ორგანიზაციების მეტი ჩართულობა ენის სწავლებაში, რათა პროგრამები უკეთ მოერგოს ადგილობრივ კონტექსტებს.

ამავე დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას არსებული პროგრამების შესახებ, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც სახელმწიფო სერვისების ცნობადობის დონე ჯერ კიდევ დაბალია.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა

2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის მეორე პრიორიტეტი ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ეხება.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში ორი მიზანია დასახული, რომელთაგან პირველი ხარისხიანი განათლების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზებს სახავს ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე, ხოლო მეორე - ხარისხიანი განათლების უფრო ჰოლისტური მიდგომის განსამტკიცებლად ეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ტოლერანტული და ინკლუზიური გარემოს ფორმირების ხელშემწყობ ფაქტორებსა და პირობებს.

მიზანი 3: განათლების მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა განათლების ყველა დონეზე (გავლენა, ეფექტურობა და აქტივობები კლასტერების მიხედვით)

გავლენა

განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისათვის სახელმწიფო ინტერვენციების გავლენის შეფასების ძირითად ინდიკატორს (მიზნის დონეზე) წარმოადგენს სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასებებში არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეთა მიღწევების (კითხვაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში) თანაფარდობა ქართულენოვანი სკოლების მიღწევებთან მიმართებით.

კერძოდ, ინდიკატორს მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამაში (PISA) საქართველოს მოსწავლეთა მიღწევის ცვლილების დინამიკა წარმოადგენს (სწავლების ენის მიხედვით). კერძოდ, 2022 წლის ციკლში დაახლოებით 20%-ით უნდა შემცირებულიყო სხვაობა საქართველოში სხვადასხვა ენობრივ სექტორზე მოსწავლეთა საშუალო ქულებს შორის.

საბაზო ნიშნულად გამოყენებულია მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) შედეგები 2018 წლის ციკლში, სადაც არაქართულენოვანი

სკოლის მოსწავლეების საშუალო მიღწევა 100 ქულით ჩამორჩებოდა ქართულენოვანი სკოლების ანალოგიურ მაჩვენებლებს (კითხვა - 380 ქულა; მათემატიკა - 398 ქულა; საბუნებისმეტყველო საგნები - 383 ქულა). სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრულია, რომ 2022 წლის ციკლის შედეგებში სხვაობა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მოსწავლეების საშუალო მიღწევას შორის 25%-ით შემცირდება.

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA) 2000 წლიდან ტარდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ეგიდით და მასში დღეისათვის, (საქართველოს ჩათვლით) მსოფლიოს 81 ქვეყანა მონაწილეობს. საქართველო კვლევაში 2009 წელს ჩაერთო. შეფასებები ჩატარდა 2015, 2018 და 2022 წლებში. 2025 წელს ჩატარდა ახალი ციკლის საველე სამუშაოები.

განსხვავებით სხვა მსგავსი ტიპის კვლევებისაგან, PISA-ს მიზანია დაადგინოს, რამდენად კარგად ამზადებს საგანმანათლებლო სისტემა მოზარდებს იმ გამოწვევებისათვის, რომლებსაც ისინი სკოლის დასრულების შემდეგ, დამოუკიდებლად უნდა გაუმკლავდნენ. PISA-ს სამიზნე ჯგუფს 15 წლის მოზარდები წარმოადგენენ. ამ კვლევას საფუძვლად უდევს წიგნიერების ზოგადი კონცეფცია - PISA ფოკუსირებულია მოზარდთა შესაძლებლობებზე, გამოიყენონ ძირითად საგნებში მიღებული ცოდნა და უნარები ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად, იგი შეიძლება ზოგადი განათლების ხარისხის ირიბ ინდიკატორად ჩავთვალოთ, რადგან PISA სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ინტერგირებულად გამოყენებას აფასებს.

საქართველოს შემთხვევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჭრილს სკოლებში სწავლების ენა წარმოადგენს, რაც თითოეულ ციკლში აზერბაიჯანულენოვანი და ქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეთა შედეგების შედარების შესაძლებლობას ქმნის. თუმცა, სამწუხაროდ, PISA-ში მონაწილეობას არ იღებენ სომხურენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეები. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის ინდიკატორი სომხურენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეთა შედეგების ანალიზსაც გულისხმობს, ამგვარი ანალიზის გაკეთება PISA-ში შესაძლებელი არ არის.

საქართველოში PISA-ს შედეგების ინტერპრეტაციისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ უფრო ზოგადი სურათი - მოსწავლეთა შედეგების ცვლილების დინამიკა მსოფლიოში. კერძოდ, 2018 და 2022 წლის ციკლებს შორის OECD-ს ქვეყნებში მოსწავლეთა შედეგის საშუალო მაჩვენებლის უპრეცედენტო, საერთო ვარდნა აღინიშნა: მათემატიკაში საშუალო მაჩვენებელი 15 ქულით, ხოლო კითხვაში – 10 ქულით შემცირდა. ეს დაახლოებით შეესაბამება სასწავლო წლის სამ-მეოთხედს მათემატიკაში და სასწავლო წლის ნახევარს – კითხვაში.

განსხვავებული სურათია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სადაც საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. საყურადღებოა, რომ PISA ტესტირების ორი ათწლეულის განმავლობაში წინა და მომდევნო შეფასებებს შორის OECD-ს საშუალო ქულა მათემატიკაში არასდროს შეცვლილა ოთხზე მეტი ქულით, ხოლო კითხვაში – ხუთზე მეტი ქულით. ამ თვალსაზრისით, 2022 წლის PISA-ს შედეგები უნიკალურია. მაჩვენებლის დრამატული და უნივერსალური ვარდნა მიანიშნებს, რომ PISA-ში მონაწილე ქვეყნები საერთო უარყოფითი ზეგავლენის – სავარაუდოდ, COVID-19 პანდემიის ეფექტის ქვეშ მოექცა.

ეს მსოფლიო ტენდენცია საქართველოს კონტექსტში იმ მხრივ არის საინტერესო, რომ, გლობალური ტენდენციის საპირისპიროდ, საქართველოს მოსწავლეების შედეგებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კლება ბოლო ორი ციკლის განმავლობაში არ აღნიშნება, რაც ამ მხრივ საქართველოს PISA-ში მონაწილე ქვეყნების უმეტესობისგან გამოარჩევს.

მიუხედავად ამ პოზიტიური ტრენდისა, 2022 წლის ციკლშიც (2018 წლის ციკლის მსგავსად) საქართველოს სკოლების მოსწავლეთა შედეგები კვლავ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. ასევე, ქვეყნის შიგნით კვლავ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რჩება განსხვავებები სწავლების ენის მიხედვით - აზერბაიჯანულენოვანი სკოლების/მოსწავლეების შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქართულენოვანი სკოლების/მოსწავლეების შედეგებს. სხვადასხვა მახასიათებლების გაკონტროლების შემდეგ სკოლის მახასიათებლების (ტესტის შესრულების ენა, დასახლების ურბანულობა და სკოლის ტიპი) ურთიერთეფექტისა და მოსწავლეთა და სკოლის სოციო-ეკონომიკური სტატუსის გათვალისწინების შემდეგ მცირდება, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რჩება განსხვავებები ყველა ჩამოთვლილი ცვლადის მიხედვით.

2018 წლის ციკლში, მათემატიკაში ქართულენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების საშუალო ქულებს შორის სხვაობა 92 ქულას შეადგენდა, კითხვაში - 97 ქულას, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 96 ქულას. 2022 წლის ციკლში, მათემატიკაში ქართულენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების საშუალო ქულებს შორის სხვაობა 73 ქულას შეადგენს, კითხვაში - 80 ქულას, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 81 ქულას. შესაბამისად, მათემატიკაში ქულათა შორის სხვაობა 21%-ით შემცირდა, კითხვაში -18%-ით და საბ. მეცნიერებებში -16%-ით. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცენტული მაჩვენებლები შთამბეჭდავია, მონაცემთა ცდომილების გათვალისწინებით მხოლოდ მათემატიკის შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვაობა მოსწავლეთა ქულებში სტატისტიკურად მნიშვნელოვნად შემცირდა.

სქემა 8 *მოსწავლეთა შედეგები PISA-ში სწავლების ენის მიხედვით (2018 და 2022 წლის ციკლები)*

2022 წლის ციკლი			მათემატიკა		კითხვა		საბ. მეცნიერებები	
	რაოდ	%	საშ. ქულა	სტ. შეცდ.	საშ. ქულა	სტ. შეცდ.	საშ. ქულა	სტ. შეცდ.
ქართული	6099	93.2	394	2.45	377	2.29	388	2.34
აზერბაიჯანული	343	4.79	321	6.19	297	7.01	307	7.47
საქართველო	6583		390	2.4	374	2.3	384	2.3
სხვაობა ქულებში (ქართ. - აზერბ.)			73		80		81	

2018 წლის ციკლი			მათემატიკა		კითხვა		საბ. მეცნიერებები	
	რაოდ	%	საშ. ქულა	სტ. შეცდ.	საშ. ქულა	სტ. შეცდ.	საშ. ქულა	სტ. შეცდ.
ქართული	5153	93.2	401	2.54	384	2.13	386	2.35
აზერბაიჯანული	298	4.79	309	7.88	287	5.29	290	5.39
საქართველო	5572		398	2.5	380	2.2	383	2.3
სხვაობა ქულებში (ქართ. - აზერბ.)			92		97		96	
სხვაობის ცვლილება ციკლებს შორის (%)			21%		18%		16%	

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სამიზნე ნიშნული ნაწილობრივ მიღწეულია - ბოლო ორი ციკლის განმავლობაში სახეზეა ენის მიხედვით მოსწავლეთა საშუალო ქულებში სხვაობის შემცირების პოზიტიური ტენდენცია, რომელიც სტრატეგიის განხორციელების შემდეგ ციკლებში უნდა განმტკიცდეს.

ეფექტურობა

განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისათვის სახელმწიფო ინტერვენციები სამ ძირითად კატეგორიად, განათლების საფეხურების მიხედვითაა განაწილებული. შესაბამისად, ამ მიზნის ქვეშ სამი

ამოცანაა გაერთიანებული: ამოცანა 3.1 მოიაზრებს სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის უზრუნველყოფას; ამოცანა 3.2 მიმართულია ეთნიკური უმცირესობებების წარმომადგენლებისათვის ზოგადი განათლების დონეზე ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, ხოლო მესამე, ამოცანა 3.3. მიემართება იმ პირობებსა და რესურსებს, რაც აუცილებელია ეთნიკური უმცირესობებისათვის ხარისხიანი უმაღლესი და პროფესიული განათლების მისაღებად.

შესაბამისად, ამოცანის ინდიკატორები და 2024 წლისთვის დასახული ნიშნულები დიფერენცირებულია განათლების საფეხურების მიხედვით:

ამოცანა 3.1: სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა;

ამ ამოცანის ფარგლებში ინდიკატორებს წარმოადგენს:

ა) ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებლის თანაფარდობა ეროვნულ მაჩვენებელთან. სამიზნე ნიშნულის თანახმად (2020 წელი), უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 2.7-ჯერ ჩამორჩება ეროვნულ მაჩვენებელს (ეროვნული 69,5%, - ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 25,5%) (2017 წლის მონაცემები, UNICEF). 2024 წლისთვის ეს სხვაობა 40%-ით უნდა შემცირებულიყო.

ბ) არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია ორენოვანი სკოლამდელი განათლების სტანდარტები და მეთოდიკა. 2020 წლისთვის ბაღებში მხოლოდ იწყებოდა ბილინგვური მოდელის პილოტირება, 2024 წლისთვის, სამიზნე ნიშნულის თანახმად, მოდელი დანერგილი უნდა ყოფილიყო ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ამოცანა 3.2: ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ამ ამოცანის ფარგლებში ინდიკატორებს წარმოადგენს:

ა) არაქართულენოვანი სკოლების/კლასების წილი, სადაც დანერგილია ორენოვანი განათლება. საბაზო ნიშნულის მდგომარეობით, 2020 წლისთვის პილოტირება დაწყებული იყო მხოლოდ 4 სკოლაში, 2024 წლისთვის (სამიზნე

ნიშნულის შესაბამისად) მოდელი დანერგილი უნდა ყოფილიყო ყველა სამიზნე სკოლაში (1-4 კლასებში).

ბ) არაქართულენოვან საჯარო სკოლებში წამყვანი/უფროსი მასწავლებლების პროცენტული წილი. 2020 წლის მდგომარეობით მენტორის სტატუსს ფლობდა 0.1%, წამყვანი მასწავლებლის სტატუსს - 1%, ხოლო უფროსი მასწავლებლისას კი - 24.5%. 2024 წლისთვის არაქართულენოვან საჯარო სკოლებში წამყვანი/უფროსი მასწავლებლების წილი 40%-ით უნდა გაზრდილიყო (საბაზისო მონაცემებთან შედარებით).

გ) ავტორიზებული საჯარო სკოლების წილი, რომლებიც ახორციელებენ არაქართულენოვან (სომხურ, აზერბაიჯანულ) პროგრამებს. 2020 წლისთვის ამ სტატუსს არცერთი სამიზნე სკოლა არ ფლობდა, 2024 წლისთვის, გეგმის თანახმად, ავტორიზაცია უნდა მოეპოვებინა სამიზნე სკოლების 15%-ს.

ამოცანა 3.3: ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად;

ამ ამოცანის ფარგლებში ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა. საბაზო ნიშნულის თანახმად (2020), ეს მაჩვენებელი პროფესიული განათლებისთვის 277 პირს შეადგენდა, ხოლო უმაღლესი განათლებისთვის - 915 პირს. 2024 წლისთვის ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, პროფესიულ განათლებაში 10%-ით, ხოლო უმაღლეს განათლებაში 5%-ით უნდა გაზრდილიყო.

შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ მეორე მიზნის სამი ამოცანიდან პირველი ორი ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო მესამე - სრულად (სქემები 17).

სქემა 17 განათლების მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა განათლების ყველა დონეზე *(მიზანი 3): ამოცანების შესრულების მაჩვენებლები*

ინდიკატორი	საბაზო მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული (2024)	ფაქტობრივი მაჩვენებელი (2024)	სტატუსი
ამოცანა 3.1 სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა;				
ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებლის თანაფარდობა ეროვნულ მაჩვენებელთან	2.7	სხვაობა: - 40%	ჩართულობის მაჩვენებელი სტაბილურია. გაზრდილია ბილინგვური ბაღების აღსაზრდელთა წილი	🟡
არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია ორენოვანი სკოლამდელი განათლების სტანდარტები და მეთოდიკა	დაიწყო პილოტირება	100%	61% (34)	🟡

🟡 ნაწილობრივ შესრულდა

ინდიკატორი	საბაზო მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული (2024)	ფაქტობრივი მაჩვენებელი (2024)	სტატუსი
ამოცანა 3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
არაქართულენოვანი სკოლების კლასების წილი, სადაც დანერგილია ორენოვანი განათლება/ახალი ესგ	პილოტირება დაწყებულია 4 სკოლაში	100% (1-4 კლასი)	63% (184) (1-4 კლასი)	🟡
არაქართულენოვან საჯარო სკოლებში წამყვანი/უფროსი მასწავლებლების პროცენტული წილი *	მენტორი: 0.1%, წამყვანი: 1%, უფროსი: 24.5%	ზრდის მაჩვენებელი: + 40%	მენტორი: 0.64% წამყვანი: 4.2% უფროსი: 70.1%	🟢
ავტორიზებული საჯარო სკოლების წილის ზრდა, რომლებიც ახორციელებენ არაქართულენოვან (სომხურ, აზერბაიჯანულ) პროგრამებს	0	15%	NA	
ამოცანა3.3 ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად				
ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა	პროფესიული - 277; უმაღლესი - 915	ზრდის მაჩვენებელი: პროფ. + 10% უმაღლესი +5%	პროფ. +75% (486) უმაღლესი +57% (1444)	🟢

🟢 სრულად შესრულდა 🟡 ნაწილობრივ შესრულდა

ინდიკატორი 3.1.1. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებლის თანაფარდობა ეროვნულ მაჩვენებელთან


სკოლამდელი განათლების საფეხურზე განხორციელებული აქტივობების ეფექტურობის ინდიკატორად სტრატეგიაში განსაზღვრულია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, სკოლამდელ განათლებაში შესაბამისი ასაკის ბავშვების ჩართულობის მაჩვენებლის ზრდა. 2020 წელს ეს მაჩვენებელი საქართველოსთვის 70%-ს, ხოლო არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის - 25%-ს შეადგენდა. 2024 წლისთვის ამ მიმართულებით იგივე წყაროს (საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა)

გამოყენება შეუძლებელია, რადგან ეს კვლევა ქვეყანაში 10 წელიწადში ერთხელ ტარდება და მომდევნო ციკლის ჩატარება დაგეგმილია 2028 წელს.

მუნიციპალიტეტების დონეზე ბაღების გაერთიანების მიერ კონსოლიდირებული მონაცემების ანალიზი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ინდიკატორის მიხედვით პროგრესის შესახებ.

როგორც სქემიდან ჩანს, ეთინიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში იკვეთება ტენდენცია, რომ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა რაოდენობა სტაბილურია (2020-2024), მაგრამ იზრდება ბილინგვურ ბაღებში რიცხულ აღსაზრდელთა წილი (მონოლინგვური ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობის ხარჯზე).

სქემა 18 სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა რაოდენობა წლების და ეთნიკურად მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მიხედვით



აღსაზრდელთა წილი სწავლების ენის მიხედვით (სამცხე-ჯავახეთი)

	ქართ.	აზერბ.	რუს.	სომხ.	სხვა	ქართ. /აზ.	ქართ. /სომხ.
2021-2022წ	51%	0%	2%	47%	0%		
2022-2023წ	51%	0%	2%	47%	0%		
2023-2024წ	45%	0%	2%	53%	0%		
2024-2025წ	45%	0%	0%	10%	0%	0%	45%

აღსაზრდელთა წილი სწავლების ენის მიხედვით (ქვემო ქართლი)

	ქართ.	აზერბ.	რუს.	სომხ.	სხვა	ქართ. /აზ.	ქართ. /სომხ.
2021-2022წ	83%	14%	2%	1%	0%		
2022-2023წ	84%	13%	2%	1%	0%		
2023-2024წ	83%	15%	1%	1%	0%		
2024-2025წ	81%	2%	1%	0%	0%	15%	1%

წყარო: მუნიციპალიტეტებთან არსებული ბაღების გაერთიანებები (2025) - ახალქალაქი, ახალციხე, წალკა, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, მარნეული

ინდიკატორი 3.1.2. არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია ორენოვანი სკოლამდელი განათლების სტანდარტები და მეთოდიკა

შეფასების მომენტისთვის ორენოვანი სკოლამდელი განათლების სტანდარტები და მეთოდიკა შეტანილია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) ბაღების 60%-ში - 34 საბავშვო ბაღში.

ბილინგვურ პროგრამაში ჩართული ბაღების სტატისტიკა წლების მიხედვით იზრდებოდა:

- 2020-2021 სასწავლო წელი - 5 საპილოტე სკოლამდელი დაწესებულება (ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში);
- 2021-2022 სასწავლო წელი - 9 სკოლამდელი დაწესებულება;
- 2022-2023 სასწავლო წელი - 14 სკოლამდელი დაწესებულება;
- 2023-2024 სასწავლო წელი - 34 სკოლამდელი დაწესებულება.

2025 წელს გამოცხადდა კონკურსები ყველა სკოლამდელი დაწესებულებისათვის (80-მდე) ბილინგვური პროგრამით დაფარვის მიზნით.

სკოლამდელი განათლების საფეხურზე:

- 2024 წელს განხორციელდა ორენოვანი მასწავლებლების ქოუჩინგი. ყოველკვირეულ ქოუჩინგში ჩართული იყო 72 ბილინგვური მასწავლებელი და ადგილობრივი აღმზრდელი.
- 2024 წელს ინკლუზიური და ტექნოლოგიების მიმართულებით ტრენინგ-კურსი გაიარა საბავშვო ბაღის 70-ზე მეტმა ბილინგვურმა მასწავლებელმა. დაიბეჭდა და დარიგდა სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებისათვის ასაკისა და თემატიკის შესაბამისი თემატური მოთხრობების კრებულები, პოსტერები, მეთოდიკური გზამკვლევები და სხვადასხვა სახის საჭირო განმავითარებლი რესურსი და თვალსაჩინოება. უკუკავშირის საფუძველზე გრძელდება რესურსების შემუშავებისა და განახლების პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ინდიკატორის მიხედვით შედეგი სრულად მიღწეული არ არის (2024 წლისთვის დაგეგმილი იყო მოდელის შეტანა ყველა სამიზნე საბავშვო ბაღში), უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმით 2022 წლის მდგომარეობით გათვალისწინებული ყველა საბავშვო ბაღი დაფარულია. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 2024 წლის ბოლოსთვის საქართველოში საგრძნობლად

გაიზარდა ახალი საბავშვო ბაღების რაოდენობა [26], რის გამოც სამიზნე მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა და მისი მიღწევა უფრო გართულდა. ზოგადად, დაინტერესებული მხარეების შეფასებით, ბილინგვური მოდელის დანერგვის ტემპი არ უნდა დაჩქარდეს, რადგან ის ბევრ კონტექსტუალურ გამოწვევასთან არის დაკავშირებული - ადამიანური რესურსების გაძლიერება, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის სრულყოფა, სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალების განვითარება. დაინტერესებული მხარეები თვლიან, რომ ბილინგვური მოდელის დანერგვა მეტი სიფრთხილით, ნელ-ნელა უნდა განხორციელდეს, რათა კარგად მოერგოს ადგილზე, თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ სპეციფიურ საჭიროებებსა და გამოწვევებს.

* * *

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შეფასების ფარგლებში, აგრეთვე, ჩატარდა თვისებრივი კვლევა ეთნიკური უმცირესობების იმ ბაღებში, სადაც ამ ეტაპისთვის სწავლება ბილინგვური წესით მიმდინარეობს (ამ პროცესის მიმართ აღმზრდელებისა და მშობლების დამოკიდებულებების შესაფასებლად).

აღმზრდელები მიიჩნევენ, რომ ბილინგვური მეთოდით ბავშვები სახელმწიფო ენას უფრო მარტივად, თამაშის გზით სწავლობენ და, ასევე, გამოკვეთენ ამ მიდგომის მეთოდოლოგიურ უპირატესობასაც:

> *,,თამაშ-თამაშით ვასწავლით ქართულს და ძალიან კარგი პროგრამაა... ამ პროგრამით არა მხოლოდ ქართულს ვასწავლით ბავშვებს, არამედ ვუვითარებთ კრიტიკულ აზროვნებას. ბავშვები ეჩვევიან წესებს, სწავლობენ სოციალურ უნარებს, აქვთ ჯგუფური სამუშაოები, უვითარდებათ კოგნიტური უნარები.“ (საბავშვო ბაღის აზერბაიჯანულენოვანი აღმზრდელი).*

აღმზრდელები იმასაც მიუთითებენ, რომ ბილინგვური სწავლებით თავადაც მეტად ვითარდებიან, ახალ მეთოდებს ეუფლებიან. ყველაზე დიდი უპირატესობა ისაა, რომ ბავშვები უკეთ ემზადებიან სასკოლო ცხოვრებისთვის, რაც მათი კოგნიტური და სოციალური განვითარებისთვის კარგ საფუძველს ქმნის.

ამ დადებითი უკუკავშირის თანმდევად აღმზრდელები, აგრეთვე, საუბრობენ გარემოთი განპირობებულ გამოწვევებზეც. მაგალითად, იმის გამო, რომ ზოგიერთ ბაღში სახელმწიფო ენას პერსონალის ყველა წარმომადგენელი არ ფლობს, რთულია აღნიშნული მეთოდის ეფექტიანად დანერგვა. რიგ შემთხვევაში,

[26] მუნიციპალიტეტებმა ინტენსიურად დაიწყეს ახალი საბავშვო ბაღების გახსნა და თუ 2022-2023 სასწავლო წელს 56 არაქართულენოვანი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა, 2023-2024 სასწავლო წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 65-მდე, ხოლო 2024-2025 სასწავლო წელს 80-მდე.

დაწყებითი საფეხურის მსგავსად, ბილინგვური მეთოდის სწავლების უპირატესობების შესახებ დაბალი ინფორმირებულობის გამო, ძიძები და აღმზრდელები ნაკლებ მოტივაციას ავლენენ თანამშრომლობისთვის. ამასთან, დაბრკოლებას ქმნის რესურსების დეფიციტიც.

მშობელთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ზოგიერთი აღმზრდელის კვალიფიკაციის უკმარისობაზე, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც მასწავლებლად/აღმზრდელად პედაგოგიური განათლებისა და გამოცდილების არმქონე პირები საქმდებიან.

მიუხედავად გარკვეული გამოწვევებისა, მშობლები საერთო ჯამში პოზიტიურად აფასებენ ბილინგვურ მიდგომას სკოლამდელ დაწესებულებებში - ისინი დეტალურად აღწერენ მათი შვილების ენობრივ პროგრესს - ბავშვები ხშირად იყენებენ ქართულ ფრაზებს, ახსოვთ ახალი სიტყვები, თამაშით სწავლა ამარტივებს და ბუნებრივს ხდის ენის ათვისების პროცესს. ბილინგვური მიდგომით სწავლება, აგრეთვე, დადებითად აისახება ბავშვების ქცევასა და სოციალურ უნარებზე.

ინდიკატორი 3.2.1. არაქართულენოვანი სკოლების კლასების წილი, სადაც დანერგილია ორენოვანი განათლება/ახალი ესგ

სკოლამდელი დაწესებულებების მსგავსად, ბილინგვური განათლების პროგრამაში ჩართული სკოლების სტატისტიკაც წლების მიხედვით იზრდება:

- 2020-2021 სასწავლო წელი - 5 საჯარო სკოლა (ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში);
- 2021-2022 სასწავლო წელი - 25 საჯარო სკოლა;
- 2022-2023 სასწავლო წელი - 41 საჯარო სკოლა;
- 2023-2024 სასწავლო წელი - 169 საჯარო სკოლა.

2024-2025 სასწავლო წლისთვის პროგრამაში ჩართულია 184 სკოლა (კონკურსი გამოცხადდა 184 სკოლაში, თუმცა ადამიანური რესურსის მოძიების სირთულეებისა და სხვადასხვა მიზეზის გამო პროგრამა ხორციელდებოდა 169 სკოლაში) და 34 სკოლამდელი დაწესებულება.

2025 წელს გამოცხადდა კონკურსები ეთნიკური უმცირესობებით (აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი) დაკომპლექტებული ყველა სკოლისა/სექტორის (243 საჯარო სკოლა) ბილინგვური პროგრამით დაფარვის მიზნით.

თვისებრივი დისკუსიის შედეგები ბილინგვური მოდელის სკოლებში დანერგვასთან დაკავშირებით დეტალურად არის აღწერილი პირველი პრიორიტეტის ფარგლებში.

ინდიკატორი 3.2.2. არაქართულენოვან საჯარო სკოლებში წამყვანი/უფროსი მასწავლებლების პროცენტული წილი

სასკოლო განათლების საფეხურზე კიდევ ერთ სტრატეგიულ მიმართულებას მასწავლებელთა კოჰორტის გაძლიერება წარმოადგენდა - სამიზნე ნიშნულად სტრატეგიაში განსაზღვრულია უფროსი და წამყვანი მასწავლებლების წილის ზრდა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებელთა კოჰორტაში, რაც მასწავლებელთა კომპეტენციის გაუმჯობესების ირიბ საზომად მოიაზრება.

2020 - 2024 წლების განმავლობაში მენტორი მასწავლებლების წილი 0.1%-დან 0.6%-მდე გაიზარდა, წამყვანი მასწავლებლების 1%-დან 4%-მდე, ხოლო უფროსი მასწავლებლების - 24.5%-დან 70%-მდე. სამიზნე ნიშნულით გათვალისწინებული იყო წამყვანი/უფროსი მასწავლებლების წილის 40%-ით ზრდა - შესაბამისად, ეს ნიშნული წარმატებით იქნა მიღწეული.

ინდიკატორი 3.2.2[27]. ავტორიზებული საჯარო სკოლების წილის ზრდა, რომლებიც ახორციელებენ არაქართულენოვან (სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან) პროგრამებს

ზოგადი განათლების ფარგლებში კიდევ ერთ მიმართულებას არაქართულენოვანი სკოლების ორგანიზაციული განვითარება წარმოადგენს, რის საზომადაც სტრატეგიაში ავტორიზაციის პროცესში ჩართული არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა განისაზღვრა. სკოლების ავტორიზაციის პირველ ეტაპზე ქართულენოვანი სკოლების/სექტორების ნაწილი იყო ჩართული და ამ პროცესში მრავალი სისტემური პრობლემა გამოვლინდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროცესის მოდელის გადახედვა. მნიშვნელოვანია, რომ გეგმის განხორციელების შემდეგ ეტაპზე არაქართულენოვანი სკოლებისთვის ამ მიმართულებით სპეციალური გეგმა შემუშავდეს. 2024 წლისთვის ავტორიზებულია მხოლოდ ერთი ორენოვანი (რუსული და აზერბაიჯანული) საჯარო სკოლა.

ინდიკატორი 3.3.1 ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა (გადაჭარბებით არის შესრულებული)

ამ მიმართულებით მთავარ ინდიკატორს პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაქართულენოვანი სკოლების/კურსდამთავრებულების ჩარიცხვის მაჩვენებლების ზრდა

[27] აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორი ასახულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2023 წწ. სამოქმედო გეგმაში, რითაც დაზუსტებულია 2021-2022 წწ ვერსია.

წარმოადგენს. საბაზო ნიშნულთან მიმართებაში 2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ პირთა რაოდენობა 277-დან 485-მდე გაიზარდა, ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე) - 915-დან 1444 -მდე. შესაბამისად, სამიზნე ნიშნულით გათვალისწინებული მაჩვენებელი მიღწეულია (პროფესიულ განათლებაში გათვალისწინებული იყო მაჩვენებლის ზრდა 10%-ით, ხოლო უმაღლეს განათლებაში - 5%-ით). კერძოდ, პროფესიული განათლების მიმართულებით, საბაზო ნიშნულთან მიმართებაში მაჩვენებელი 75%-ით არის გაუმჯობესებული, ხოლო უმაღლესი განათლების მიმართულებით - 57%-ით.

უდავოა, რომ სტრატეგიის ამ მიმართულებით მაჩვენებლების ზრდა შეფასების მიმდინარე ეტაპისთვის პოზიტიურ ტენდენციას წარმოადგენს. თუმცა მნიშნელოვანია გათვალისწინებული იქნას უფრო ზოგადი სურათი სამიზნე ჯგუფების (არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების კურსდამთავრებულთა) აღმავალი მობილობის მიმართულებით. ამ მხრივ საინტერესო ინდიკატორს წარმოადგენს განათლების საფეხურებზე პირდაპირი გადასვლის მაჩვენებელი. პირდაპირი გადასვლის მაჩვენებელი აღნიშნავს სკოლადამთავრებულთა ყოველწლიურ კოჰორტებში იმ კურსდამთავრებულთა წილს, რომელთაც სკოლის დასრულების წელსვე სწავლა ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ან ფორმალური განათლების სხვა საფეხურზე გააგრძელეს (იხ. სქემა 19).

- ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე პირდაპირი გადასვლის მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად სტაბილურია აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების კოჰორტებში, თუმცა აღსანიშნავია, რომ სომხურენოვან კოჰორტაში პროგრამაზე პირდაპირი გადასვლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2022-2023 წლებში (28%) და თითქმის გაუტოლდა აზერბაიჯანულენოვანი კოჰორტის ანალოგიურ მაჩვენებელს (30%).
- იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც აზერბაიჯანულენოვანი სკოლა/სექტორი დაამთავრეს, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ინტეგრირების მთავარ ინსტრუმენტს კვლავ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა წარმოადგენს. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების ალტერნატიულ გზას – მისაღები გამოცდების ქართულ ენაზე ჩაბარების შესაძლებლობას აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლის/სექტორის კურსდამთავრებულთა ძალიან მცირე ნაწილი მიმართავს (1% ორივე ქვეჯგუფში).
- პირდაპირი გადასვლის მაჩვენებელის ანალიზისას, აგრეთვე, საინტერესოა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ მოსწავლეთა წილი, რადგან ფორმალური განათლების ეს საფეხური ქართულ ენაში

მომზადების პროგრამის ალტერნატივას წარმოადგენს. ორივე ქვეჯგუფის კოჰორტებში ეს მაჩვენებელი მზარდია ბოლო სამი წლის განმავლობაში და 2022-2023 სასწავლო წელს აზერბაიჯანულენოვან კოჰორტაში 7%-ს, ხოლო სომხურენოვან კოჰორტაში – 8%-ს შეადგენს.

- საერთო ჯამში, ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე ჩარიცხვის მაჩვენებლების გათვალისწინებით, ფორმალური განათლების შემდგომ საფეხურებზე 2022-2023 სასწავლო წელს პირდაპირი გადასვლის ჯამური მაჩვენებლები არაქართულენოვანი სკოლების (აზერბაიჯანული და სომხურენოვანი სექტორი) 38%-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლის დამთავრების პირველ წელს საქართველოს ფორმალური განათლების სისტემაში სტრატეგიის ბენეფიციართა დაახლოებით მესამედი აგრძელებს სწავლას.

- მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა აზერბაიჯანული და სომხური სკოლების/სექტორების კურსდამთავრებულთა ფორმალური განათლების შემდგომ საფეხურებზე ინტეგრირების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს, პირდაპირი გადასვლის ჯამური მაჩვენებლები დაახლოებით ორჯერ ჩამოუვარდება ანალოგიურ მაჩვენებელს მთლიანად საქართველოსთვის (სქემა 19).

ბენეფიციარების ნაწილში (აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვის მომენტისთვის), აგრეთვე, არის ჩამორჩენა გამჭოლი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისითაც, რაც დაბრკოლებებს წარმოქმნის აკადემიურ პროგრამებზე სწავლის პროცესში. გამჭოლი კომპეტენციების განვითარების მიმართულება არაერთგვაროვნად არის გაშლილი სხვადასხვა უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამებში. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება დაემოს დარგობრივი მახასიათებლის გადახედვისა და პროგრამების შემდგომი განვითარების პროცესში.

ასევე, გასაუმჯობესებელია საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიდგომებიც:

- ცალკეულ უნივერსიტეტებში ინტეგრაციის მიმართულებით გაცილებით მეტი სერვისებია შეთავაზებული, ზოგიერთ უნივერსიტეტში კი სტუდენტები დღესაც ძირითადი კოჰორტისგან იზოლირებულად, ცალკე შენობაში სწავლობენ;


- ინტეგრაციის თვალსაზრისით გამოწვევები პროგრამის დასრულების შემდეგ, აკადემიურ პროგრამებზე სწავლის პროცესშიც იკვეთება. სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ისევე როგორც აკადემიური პერსონალი, საუბრობს შემთხვევებზე, როდესაც არაქართულენოვანი სტუდენტები კვლავ იზოლირებულ ჯგუფს წარმოადგენენ, გარკვეული

პრობლემები იქმნება სტუდენტების შეფასებისას ან ლექტორებისა და სტუდენტების ურთიერთობების, ან სტუდენტების ერთმანეთთან ინტერაქციის პროცესში;

- უნივერსიტეტებში ინტეგრაციის პოლიტიკა, ძირითადად, უმცირესობათა უფლებრივ ჭრილშია დანახული. კონცეპტუალური ცვლილება უნდა გულისხმობდეს უფლებრივი ჭრილიდან მრავალფეროვნების ჭრილზე გადასვლას – ინტეგრაციის კომპონენტი მხოლოდ უმცირესობებზე არ უნდა იყოს მიმართული, იგი ორმხრივად სასარგებლო პროცესად უნდა მოიაზრებოდეს როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის წარმომადგენლებისათვის.

სქემა 19 *სკოლიდან ფორმალური განათლების სხვა საფეხურებზე პირდაპირი გადასვლის მაჩვენებლები სკოლის დამთავრების ენის მიხედვით*

	2020-21	2021-22	2022-23	2023-24	სულ
დასრულა სკოლა - ქართული	35462	41623	43317	38137	158539
დასრულა სკოლა -აზერბაიჯანული	1425	1738	1821	1561	6545
დასრულა სკოლა -სომხური	924	1132	1104	990	4150
ჩაირიცხა პროფესიულ პროგრამაზე -ქართული	4%	5%	6%	5%	5%
ჩაირიცხა პროფესიულ პროგრამაზე - აზერბაიჯანული	2%	4%	7%	10%	6%
ჩარიცხა პროფესიულ პროგრამაზე- სომხური	6%	7%	7%	6%	6%
ჩაირიცხა ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე - ქართული	0%	0%	0%	0%	0%
ჩაირიცხა ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე - აზერბაიჯანუ	35%	28%	30%	33%	32%
ჩაირიცხა ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე - სომხური	20%	23%	28%	31%	26%
ჩაირიცხა პირველი საფეხურის პროგრამაზე - ქართული	65%	64%	65%	67%	65%
ჩაირიცხა პირველი საფეხურის პროგრამაზე - აზერბაიჯანული	1%	1%	1%	1%	1%
ჩაირიცხა პირველი საფეხურის პროგრამაზე - სომხური	1%	1%	2%	2%	1%
ჯამური პირდაპირი გადასვლის მაჩვენებელი - ქართული	69%	69%	71%	73%	70%
ჯამური პირდაპირი გადასვლის მაჩვენებელი - აზერბაიჯანული	39%	33%	38%	44%	38%
ჯამური პირდაპირი გადასვლის მაჩვენებელი - სომხური	27%	31%	37%	39%	33%



ძირითადი შედეგები აქტივობების დონეზე

ამოცანის 3.1 შესრულებისათვის (სკოლამდელი განათლების ქვესისტემის ფარგლებში) დაგეგმილი აქტივობების ძირითადი კლასტერებია:

- ბილინგვური სწავლების დანერგვა საბავშვო ბაღებსა და სკოლებში და მასწავლებელთა კოჰორტის გაძლიერება (კლასტერები C და A);
- მუნიციპალური დონის აქტივობები, რომლებიც, ძირითადად, სკოლამდელი დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული - რეაბილიტაცია, ტრანსპორტირება (კლასტერი D).

ამ ამოცანით განსაზღვრული აქტივობების ძირითად განმახორციელებელს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მისი ქვეუწყება - სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი წარმოადგენს. აგრეთვე, ამოცანის განხორციელებაში ჩართულები არიან მუნიციპალიტეტები.

ამოცანის 3.2. შესრულებისათვის (ზოგადი განათლების ქვესისტემის ფარგლებში) დაგეგმილი აქტივობების ძირითადი კლასტერებია:

- მასწავლებლების პროფესიული განვითარება და გაძლიერება (კლასტერი A);
- სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების მომზადება და გავრცელება (კლასტერი B);
- ბილინგვური სწავლების დანერგვა (კლასტერი C);
- სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ხელშეწყობა (კლასტერი L);
- სკოლის ინსტიტუციური გაძლიერება (კლასტერი K);
- უმცირესობების ენაზე სწავლის ხელშეწყობა (კლასტერი L).

მეორე ამოცანის აქტივობების ძირითადი განმახორციელებელია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მისი ქვეუწყება - სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი. ასევე, აქტივობების განხორციელებაში ჩართულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ამოცანის 3.3. შესრულებისათვის (უმაღლესი და პროფესიული განათლების ქვესისტემის ფარგლებში) დაგეგმილი აქტივობების ძირითადი კლასტერებია:

- მოტივირების, ცნობიერების ამაღლებისა და სოციალური კამპანიები (კლასტერი M);
- სახელმწიფო ენის მხარდამჭერი აქტივობები მუნიციპალურ და ცენტრალურ დონეებზე (კლასტერები D, I).

მესამე ამოცანის განხორციელებაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან ერთად, ჩართული იყო ა(ა)იპ- პროფესიული უნარების სააგენტო (პროფესიული და არაფორმალური განათლების მიმართულებით) და ადგილობრივი მართვის ორგანოები.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემები (სქემები 20, 21, 22) აჯამებს მიზნის მიღწევისთვის გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსს.

ამოცანის 3.1 ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებიდან დაახლოებით 80% სრულად შესრულდა, 20% - მეტწილად შესრულდა და, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა ერთი აქტივობის განხორციელება.

ამოცანის 3.2 ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებიდანაც უმეტესობა (90%-ზე მეტი) სრულად ან მეტწილად შესრულდა. გეგმით გათვალისწინებული ნიშნულების მიღწევის თვალსაზრისით, ძირითადად, გამოწვევები გამოვლინდა სახელმძღვანელოების შექმნის მიმართულებით - კერძოდ, სომხური, აზერბაიჯანული და რუსული მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შექმნის და არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების საშუალო საფეხურზე (X, XI კლასები) ახლადგრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების დანერგვის მიმართულებით.

ასევე, ვერ მოხერხდა სამიზნე ნიშნულის მიღწევა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების გამოცდაზე (რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენაზე), სადაც განსაზღვრული იყო 4000 რეგისტრირებული პირი. ამჟამად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ცვლილებებს განიცდის, შესაბამისად, მომავალში ამ ნიშნულის გადახედვა იქნება საჭირო.

ამოცანის 3.3 ფარგლებში, ნიშნულების მიღწევის კუთხით ყველაზე მეტი გამოწვევაა. კერძოდ, სამიზნე ნიშნულების სრულად მიღწევა ვერ მოხერხდა აქტივობების დაახლოებით ნახევრისთვის. ეს სურათი, ძირითადად, განპირობებულია პროფესიულ განათლებაში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებით, რამაც აქტივობების ნაწილი არარელევანტური გახადა და მათი გადახედვის საჭიროება წარმოქმნა.

სქემა 20 *აქტივობების შესრულების სტატუსი და განმახორციელებელი უწყებები (ამოცანა 3.1)*

კოდი	აღწერა	ინდიკატორი	MoES	TPDC	NAEC	თეთრწყაროს მუნ. მერია	დმანისის მუნ. მერია	ბოლნისის მუნ. მერია	ახალქალაქის მუნ. მერია	ნინოწმინდის მუნიც. მერია	ასპინძის მუნ. მერია	მარნეულის მუნ. მერია	ყვარლის მუნ. რწმუნებულის აღმ.	დმანისის მუნიციპალიტეტის სოლოსმდელი აღზრდის საბსხური	მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების ბაზრიანობა (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)	2021/კვარტალი	2022/კვარტალი	2023/კვარტალი	2024/კვარტალი	სტატუსი
C	სკოლამდელი ბილინგვური პროგრამების განხორციელება შესაბამისი რესურსების განვითარების გზით	შექმნილია სკოლამდელი და სასკოლო მზაობის ბილინგვური პროგრამები არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებებისთვის														IV				***
C	სკოლამდელი განათლების ბილინგვური პროგრამის აღმზრდელთა/მასწავლებელთა პროფესიული მომზადება	8 არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულება, სადაც დანერგილია ორენოვანი სკოლამდელი განათლების სტანდარტები და მეთოდიკა														IV				***
D	დმანისის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია	რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა - 9 საბავშო ბაღი; სკოლამდელი განათლების პროგრამაში ჩართული არანაკლებ 300 აღსაზრდელი															IV			**
D	მარნეულში არსებული სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება	მარნეულში არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებებისთვის შესყიდულია ინვენტარი და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები															I			***
D	მარნეულის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგების გადამზადება	აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული 3 ტრენინგი; 40 ბენეფიციარი															IV			***
C	ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტის დანერგვა ორენოვანი/ბილინგვური მიდგომით იმ სკოლამდელ დაწესებულებებში, სადაც სერვისი მიეწოდება სომხურ/აზერბაიჯანულ ენებზე	ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტი ორენოვანი/ბილინგვური მიდგომით დანერგილია მოქმედ 30-მდე სკოლამდელ დაწესებულებაში; ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტი ორენოვანი/ბილინგვური მიდგომით დანერგილია ყველა ახლად გახსნილ დაწესებულებაში															IV		IV	***
H*	მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA 2022) კვლევის მონაცემების ანალიზი, პრეველადი ანგარიშის მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება	დასრულებულია და გამოქვეყნებული პრეზენტაცია/ანგარიში. რომელშიც ასახულია არაქართულენოვანი და ქართულენოვანი მოსწავლეების მიღწევების თანაფარდობა; შემუშავებულია რეკომენდაციები																IV		***
D	თეთრწყაროს მუნიციპალიტეტში სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სოფლებიდან აღსაზრდელების ტრანსპორტირება ახლომდებარე სკოლამდელ დაწესებულებაში	თეთრწყაროს მუნიციპალიტეტში ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია სოფელ ქოსალარიდან სოფელ გოლთეთის და სოფელ წინწყაროს ბაღებში; 30-მდე ბენეფიციარი																	IV	***
D	ბოლნისის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სოფლებიდან აღსაზრდელების ტრანსპორტირება ახლომდებარე სკოლამდელ დაწესებულებაში	ბოლნისის მუნიციპალიტეტში ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია სოფელ ვანათიდან ბოლნისის ბაღში; 15-მდე ბენეფიციარი																	IV	***
D	ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სოფლებიდან აღსაზრდელების ტრანსპორტირება ახლომდებარე სკოლამდელ დაწესებულებაში	ახალქალაქის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია 23 სოფლის აღსაზრდელების ტრანსპორტირება; 350-მდე ბენეფიციარი																	IV	***
D	ასპინძის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სოფლებიდან აღსაზრდელების ტრანსპორტირება ახლომდებარე სკოლამდელ დაწესებულებაში	ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფელ დამალადან უზრუნველყოფილია სოფლის აღსაზრდელების ტრანსპორტირება; 30-მდე ბენეფიციარი																	IV	***
D	დმანისის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში სასკოლო მზაობის უგუფების შექმნა	შექმნილია სასკოლო მზაობის უგუფები სოფელ ირგანჩაისა და სოფელ ამამლოს საჯარო სკოლებში																	IV	*
D	მარნეულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადება ახალი სტანდარტების შესაბამისად პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით	გადამზადებულია მინიმუმ 10 აღმზრდელ-პედაგოგი																	IV	***
D	მარნეულში სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის ინვენტარისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესყიდვა	მუნიციპალიტეტის მასშტაბით არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებებისთვის შესყიდული ინვენტარი და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები																	IV	***
D	მარნეულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღმზრდელების გადამზადება პროფესიული უნარების განვითარების მიზნით	გადამზადებულია მინიმუმ 10 აღმზრდელი																	IV	**
D	მარნეულის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	მინიმუმ 2 სკოლამდელი დაწესებულების შენობისათვის ჩატარებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები																	IV	**

აქტორის სტატუსი

- წარმოადგენს ანგარიშს და პასუხისმგებელი შესრულებაზე
- პასუხისმგებელი შესრულებაზე
- წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციას

აქტივობის სტატუსი

- *** შესრულებულია
- ** მეტწილად შესრულებულია
- * ნაწილობრივ შესრულებულია

სქემა 21 *აქტივობების შესრულების სტატუსი და განმახორციელებელი უწყებები (ამოცანა 3.2)*

კოდი	ნომერი	აღწერა	ინდიკატორი	MoES	TPDC	NAEC	ეროვნული ბიბლიოთეკა	2021/ვარტალი	2022/ვარტალი	2023/ვარტალი	2024/ვარტალი	სტატუსი
A	3.2.1.1	საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ჩატარება რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენაზე იმ აპლიკანტებისათვის, რომლებიც ასწავლიან არაქართულენოვან სკოლებში	4000 რეგისტრირებული პირი					IV				*
I	3.2.1.2	არაქართულენოვანი საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის არაფორმალური განათლების აქტივობების (კონკურსები, გამოფენები და სხვა) განხორციელება, მათ შორის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში	1 ღონისძიება, 15 მონაწილე					IV				***
K	3.2.1.3	არაქართულენოვანი სკოლების დირექტორთა პროფესიული მომზადება	არაფორმალური განათლების დაგეგმვისა და მართვის მიმართულებით გადამზადებული 4 არაქართულენოვანი სკოლის დირექტორი					IV				***
B	3.2.1.4	თარგმნილი ახალი საგნობრივი სახელმძღვანელოების დანერგვა	დანერგილი სახელმძღვანელოები						IV			***
L	3.2.1.5	მცირე ეთნიკური ჯგუფების მშობლიური ენების სასწავლო კურსების განხორციელება განსაზღვრულ საჯარო სკოლებში	შესაბამისი სასწავლო კურსები განხორციელდება არანაკლებ 6 სკოლაში						IV			***
C	3.2.1.6	ორენოვანი სასწავლო პროგრამების დანერგვა	შექმნილია სასწავლო რესურსებიგადამზადებული 100 ორენოვანი მასწავლებელი შემდეგ საგნებში: ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება, სახვითი ხელოვნება						IV			***
C	3.2.1.1	ეროვნული სასწავლო გეგმის ბილინგვური მიდგომით დანერგვა არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე	2023 წლის ბოლომდე არაქართულენოვანი სკოლის დაწყებით საფეხურზე განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმა ბილინგვური მიდგომით დანერგილია 100- მდე საპილოტე სკოლაში; 2024 წლის ბოლომდე არაქართულენოვანი სკოლის დაწყებით საფეხურზე განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმა ბილინგვური მიდგომით დანერგილია ყველა არაქართულენოვან სკოლაში								IV	***
L	3.2.1.2	სომხური, აზერბაიჯანული და რუსული მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შექმნა	შექმნილია სომხური, აზერბაიჯანული და რუსული მშობლიური ენისა და ლიტერატურის I-II კლასების სახელმძღვანელოები								IV	*
L	3.2.1.3	არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების საშუალო საფეხურზე (X, XI კლასები) ახლადგრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების დანერგვა	ეთნიკური უმცირესობების ენებზე თარგმნილია და არაქართულენოვანი სკოლების საშუალო საფეხურზე (X, XI კლასებში) სასწავლო პროცესში დანერგილია ახლადგრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები								IV	**
B	3.2.1.4	ახლადგრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების დანერგვა დაწყებითი საფეხურის I-II კლასებში	არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი საფეხურის I-II კლასების სასწავლო პროცესში დანერგილია ახლადგრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები								IV	***
L	3.2.1.5	მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიური ენების სწავლება მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრულ ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენები - უდიური, ხუნძური, ჩეჩნური, ოსური, ასურული - ისწავლება მოთხოვნისამებრ შესაბამის საჯარო სკოლებში								IV	***
A	3.2.1.6	არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისთვის ტერენინგების ჩატარება	პედაგოგიურ უნარებში გადამზადეულია 200- მდე მასწავლებელი								IV	***

აქტორის სტატუსი

წარმოადგენს ანგარიშს და პასუხისმგებელი შესრულებაზე

პასუხისმგებელი შესრულებაზე

აქტივობის სტატუსი

*** შესრულებულია

** მეტწილად შესრულებულია

* ნაწილობრივ შესრულებულია

სქემა 22 *აქტივობების შესრულების სტატუსი და განმახორციელებელი უწყებები (ამოცანა 3.3)*

კოდი	აღწერა	ინდიკატორი	MoES	TPDC	Skills Agency	NAEC	ეროვნული ბიბლიოთეკა მეცნიერების და სამეცნიერო საინფორმაციო სააგენტოების ბიბლიოთეკა	საჯარო დაწესებულებები	თვითრეგულირების მექანიზმების მერია	ღმანისის მუნ. მერია	მარნეულის მუნ. მერია	2021/ეკონტექსტი	2022/ეკონტექსტი	2023/ეკონტექსტი	2024/ეკონტექსტი	სტატუსი
M	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მათთვის გამოყოფების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (ღია კარის დღეების ორგანიზება)	შეხვედრების რაოდენობა (ღია კარის დღეების რაოდენობა) მინიმუმ 2										IV				***
M	„1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება ქ. თბილისში, ასევე კახეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში	ჩატარებულია არანაკლებ 30 შეხვედრა კარდაკარ პრინციპით											II			*
D	თეთრწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პროფესიული სასწავლებლების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების დაფინანსება	დაფინანსებული არაუმეტეს 15 სტუდენტი										IV				
I	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საბაზოთითკო რესურსების გამოყენების სწავლების შესახებ ტრენინგის ჩატარება	არანაკლებ 15 მონაწილე, 1 ტრენინგი										III				***
F	პროფესიული კოლეჯების მიერ სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის შემუშავება და დანერგვა	სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა დანერგილია ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში										IV				*
M	პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების განხორციელება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში	პროფესიული საგანმანათლებლო და პოროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამები ხელმისაწვდომია დამატებით ერთ მუნიციპალიტეტში (მარნეული)											IV			***
M	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამების სქემების შემუშავება	განახლებული სქემები შემუშავებულია													IV	*
H	ეთნიკური უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით ე.წ. "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" შედეგების კვლევის ჩატარება	ჩატარებულია ე.წ. "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" შედეგების 1 კვლევა/მომზადებულია კვლევის ანგარიში												III		***
I	ე.წ. "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" ახალი კონცეფციის მომზადება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება	კონცეფცია მომზადებულია და საკანონმდებლო ცვლილებები ინიცირებულია													II	**
I	მოდიფიცირებული ე.წ. "1+4 ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის" პილოტირება	განხორციელებულია პროგრამის პილოტირება /მომზადებულია პილოტირების შედეგების ანგარიში													IV	*
M	პროფესიული განათლების საფეხურზე ეთნიკური უმცირესობების სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება	ევროკავშირის რვავე საკვანძო კომპეტენციის მიმართულებით შემუშავებულია ექსტრაკურიკულური კურსები/პროგრამები და დაწყებულია სწავლება													IV	**
M	პროფესიული უნარების განვითარების კურსების დანერგვა არაქართულენოვან სკოლებში/ სექტორებზე	პროფესიული უნარების განვითარების კურსები ხორციელდება არაქართულენოვანი სკოლის/სექტორის მქონე მინიმუმ 30 საჯარო სკოლაში													IV	*
M	ეთნიკური უმცირესობების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სტუდენტური სტიპენდიების სერვისის გადამუშავება/პილოტირება	გადამუშავებულია და პილოტირებულია სტუდენტური სტიპენდიის სერვისი, სადაც გათვალისწინებულია ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები													IV	*
A	არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის ადგილობრივი მასწავლებლების გადამზადება პროფესიული უნარების გრძელვადიანი ტრენინგ-კურსით	300-მდე მასწავლებელი გადამზადებულია ტრენინგ.-კურსით: „გრძელვადიანი ტრენინგ.- კურსი არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისთვის", მოდულებში: Teams- ის პლატფორმის გაცნობა;თანამედროვე მიდგომები სწავლებასა და შეფასებაში, კომუნიკაცია და მოსწავლეთა მოტივაცია; პოზიტიური სასწავლო გარემო													IV	***
M	საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის დაწყების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით საინფორმაციო კამპანიების ჩატარება	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარებულია საინფორმაციო კამპანიები სახელმწიფო ენის პროგრამების შესახებ													IV	**
J	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა	პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სულ მცირე დამატებით ერთ მუნიციპალიტეტში													IV	***
G	ისიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში "ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის" (ე.წ "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის") განხორციელება	2023-2024 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნულ გამოცდებით გამოცხადებულია 7 აზერბაიჯანულენოვანი, 7 სომხურენოვანი, 1 აფხაზურენოვანი და 1 ოსურენოვანი ოუნკერის მიღება													IV	***
G	თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ე.წ "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის") პოპულარიზაციისა და მასზე იუნკერთა მოზიდვის მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება	ჩატარებულია არანაკლებ 65 შეხვედრა													I	***
D	დმანისის მუნიციპალიტეტში, შევიცარულ- აყარულ სკოლა "კავკასიაში" პროფესიული განათლების მიღების მსურველთა სწავლის დაფინანსება	მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულია არანაკლებ 10-მდე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტი													IV	
D	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული სსიპ კოლეჯ მოდუსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაინტერესებული და საინფორმაციო შეხვედრებზე მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი არანაკლებ 100 პირისთვის													IV	***

აქტორის სტატუსი

- წარმოადგენს ანგარიშს და პასუხისმგებელი შესრულებაზე
- პასუხისმგებელი შესრულებაზე
- წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციას

აქტივობის სტატუსი

- *** შესრულებულია
- ** მეტწილად შესრულებულია
- * ნაწილობრივ შესრულებულია
- არ შესრულდა

მიზანი 4: ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს წახალისება (გავლენა, ეფექტურობა და აქტივობები კლასტერების მიხედვით)

გავლენა

ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებისა და გაძლიერების მიმართულებით გავლენის ინდიკატორი ზოგადი ფორმულირებისაა და მიზნად ისახავს ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს პრინციპების გაუმჯობესებას.

ეფექტურობა

ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით სტრატეგია ორ ამოცანას განსაზღვრავს: ამოცანა 4.1 მოიაზრებს განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (შშმ და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზებისთვის პირობების შექმნას, ხოლო ამოცანა 4.2 მიმართულია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობისა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციისკენ.

ინდიკატორი 4.1.1. განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების რაოდენობა

საბაზისო სამიზნე ნიშნულების მიხედვით განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების რაოდენობა 2020 წლიდან 2024 წლამდე (და შემდეგ საანგარიშო პერიოდშიც) ეტაპობრივად უნდა შემცირებულიყო (2020 – 608 ბავშვი, 2024 – 365 ბავშვი).

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის 2022-2024 წლების კონსოლიდირებული სტატუს-ანგარიშების მიხედვით, ამ ინდიკატორის ფარგლებში სამიზნე ნიშნული მიღწეულია. დამატებით, შშმ პირთა განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრების საფუძველზე განისაზღვრა სკოლის მიღმა მყოფი შშმ პირების სკოლაში მხარდაჭერის დამატებითი საჭიროებები და დაიგეგმა ინტერვენციები შესაბამისი მიზნობრივი აქტივობების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. შემუშავდა გზამკვლევი - ,,მძიმე და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა", რომელიც გადაეცა სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და განკუთვნილია მასწავლებლებისთვის და

სკოლის ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის ტრენინგების განსახორციელებლად. გარდა ამისა, სკოლის მიღმა ან სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეებისათვის შეიქმნა რემედიაციის პროგრამა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით, რომელიც ყველა სკოლას შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს. კურიკულუმის შინაარს განსაზღვრავს თავად სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 4.1.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სავალდებულო განათლების პროგრამებში ჩართული ბოშათა თემის წარმომადგენელი ბავშვების რაოდენობა

საბაზისო სამიზნე ნიშნულების მიხედვით სკოლის მიღმა დარჩენილი ბოშა ბავშვების რაოდენობა 2020 წლიდან 2024 წლამდე ეტაპობრივად უნდა შემცირებულიყო (სკოლაში ირიცხება: 2020 – 202 ბავშვი, 2024 – 250 ბავშვი). ინდიკატორი 4.1.1. მსგავსად სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის 2022-2024 წლების კონსოლიდირებული სტატუს-ანგარიშების მიხედვით ასახულია, რომ ინდიკატორი 4.1.2. ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულიც მიღწეულია. 2024 წლისათვის აღნიშნული ნიშნული მცირედით გადამეტებულიცაა (250 ბავშვის მაგივრად 286 ბოშა ბავშვია ჩართული ფორმალური ზოგადი განათლების სისტემაში). დამატებით, 2021-2024 წლებში მუდმივად ხორციელდებოდა ბოშა მოზარდებისა და ახალგაზრდების სოციალიზაციის ხელშემწყობი ექსტრაკურიკულური ღონისძიებები როგორც დედაქალაქის, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში (მაგ. თელავი, დედოფლისწყარო, ქობულეთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, სენაკი).

ინდიკატორი 4.2.1. სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხები ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სახელმძღვანელოებსა და განათლების პოლიტიკის დოკუმენტებში

სამიზნე ნიშნულები ამ ამოცანის ინდიკატორის ფარგლებში, მიზნის ინდიკატორის მსგავსად, განზოგადებული ფორმულირებისაა და მიუთითებს საკითხების ასახვის სიხშირის ეტაპობრივ მატებაზე. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის 2022-2024 წლების კონსოლიდირებული სტატუს-ანგარიშებში ასახულია, რომ ამ ინდიკატორის ფარგლებში სამიზნე ნიშნულები უმეტესწილად მიღწეულია. ამოცანის 4.2 ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების 45% სრულადაა შესრულებული, 10 % - მეტწილად, ხოლო 18 % ნაწილობრივაა შესრულებული. სტრატეგიით გათვალისწინებული 3 აქტივობა ან არ დაწყებულა ან გაუქმებულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახსენები აქტივობების მასშტაბი არ არის დიდი და მათი გავლენა ამოცანის მიღწევის ინდიკატორზე, სავარაუდოდ, არ არის გადამწყვეტი.

თუმცა, ისიც მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელია განათლების მიღმა დარჩენილი პირების მოტივაციისა და საჭიროებების მუდმივი კვლევა და შეფასება იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ინტერვენციების მათ საჭიროებებზე უკეთ მორგება.

დამატებით, 2024 წლის სტატუს-ანგარიშიდან იკვეთება, რომ კულტურული მრავალფეროვნების საკითხები ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, შესაბამისად, ისინი ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შექმნილ სასკოლო სახელმძღვანელოებში.

კერძოდ, მშობლიური კულტურისა და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროგრამასა და სახელმძღვანელოებში. ქართული ენისა და ლიტერატურის ფარგლებში გათვალისწინებულია თემები, როგორიცაა სამშობლოს ისტორია, ენა, კულტურის ძეგლები და საქართველოს კუთხეების ფოლკლორი. საგანი „მე და საზოგადოება“ მოსწავლეს უვითარებს განსხვავებული კულტურის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილებისა და შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ პატივისცემასა და მზრუნველობას. საგანში „ჩვენი საქართველო“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების დახასიათებასა და სხვადასხვა მხარისთვის დამახასიათებელი ყოფისა და ტრადიციების გაცნობას. ხელოვნების სწავლებისას კი მოზარდი ეცნობა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ხელოვნებას, რაც ხელს უწყობს ისტორიული, რელიგიური და სოციალური კონტექსტის გააზრებას და მრავალფეროვნებისადმი ღია დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

საბაზო საფეხურზე კულტურული მრავალფეროვნების აღქმა ინტეგრირებულია სხვადასხვა საგანში. ქართული ენა და ლიტერატურა მოიცავს როგორც მშობლიურ, ისე უცხოურ ლიტერატურას, რაც კულტურათაშორისი ტექსტების შედარების გზით აფართოებს მოსწავლის ხედვას. ისტორია და მოქალაქეობა მიზნად ისახავს პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ, საკუთარ და სხვათა უფლებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის გაზრდას, დემოკრატიული ფასეულობების გააზრებასა და რეალურ პრობლემებზე აქტიურ ჩართულობას. ხელოვნების საგანი ასევე უწყობს ხელს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ნამუშევრების ერთმანეთთან შედარებით გაანალიზებას, რაც აძლიერებს მოსწავლის ინტერკულტურულ ცნობიერებას. საშუალო საფეხურზე კი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას აქცენტი კეთდება გლობალური მოქალაქეობის იდეაზე.

სურათი აქტივობების კლასტერების მიხედვით


ამოცანის 4.1 შესრულებისათვის დაგეგმილი აქტივობების ძირითადი კლასტერი მოტივირების, ცნობიერების ამაღლებისა და სოციალური კამპანიების წარმოებაა (კლასტერი M). აღნიშნული აქტივობების ძირითადი განმახორციელებელი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროა. ერთი აქტივობა, რომელიც მიმართული იყო შშმ პირებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისაკენ, დაიგეგმა და განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტეტის დონეზე.

ამოცანის 4.2. შესრულებისათვის დაგეგმილი აქტივობების ძირითად კლასტერს წარმოადგენს მუნიციპალური დონის აქტივობები (კლასტერი D), ერთი აქტივობა მიზნად ისახავს პროფესიული განათლების დონეზე არაფორმალური პროგრამებისა და ექსტრაკურიკულური აქტივობების შემუშავებას მოტივირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით (კლასტერი M). ასევე, ამოცანის ფაგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის სასკოლო სახელმძღვანელოებში კულტურული მრავალფეროვნების საკითხების დივერსიფიკაცია (კლასტერი B).

მეორე ამოცანის აქტივობების ძირითადი განმახორციელებლები მუნიციპალიტეტები არიან, პროფესიული განათლების დონეზე არაფორმალური პროგრამების განვითარებაზე პასუხისმგებელი იყო პროფესიული უნარების სააგენტო, ხოლო სახელმძღვანელოებში კულტურული მრავალფეროვნების საკითხების ასახვაზე - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემები (სქემები 13, 14) აჯამებს მიზნის მიღწევისთვის გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსს.

სქემა 23 *აქტივობების შესრულების სტატუსი და განმახორციელებელი უწყებები (ამოცანა 4.1)*



აქტორის სტატუსი

წარმოადგენს ანგარიშს და პასუხისმგებელი შესრულებაზე

პასუხისმგებელი შესრულებაზე

წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციას

აქტივობის სტატუსი

*** შესრულებულია

** მეტწილად შესრულებულია

* ნაწილობრივ შესრულებულია

არ შესრულებულია

სქემა 24 *აქტივობების შესრულების სტატუსი და განმახორციელებელი უწყებები (ამოცანა 4.2)*

კოდი	ნომერ ადწერა	ინდიკატორი	MoES	Skills Agency	EMS	შეროვებისა და საქონლის თანასწორობის საკითხების საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენლის აპარატი	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ასპ3 კულტურის ცენტრის შეკეთების დმანისის მუნ. მერია	ამბროლაურის მუნ. მერია	ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო ტურიზმის დეპარტამენტი მერიის, განვითარების და სოციალური დაცვის სამსახური	ბათუმის მუნიციპალიტეტი	სამცხე-ჯავახეთის სახ. ოწერეთელის აფხაზეთის მერია	რუსთავის მერია	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი თელავის მუნიციპალიტეტი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	2021/კვარტალი	2022/კვარტალი	2023/კვარტალი	2024/კვარტალი	სტატუსი
	მიზანი 1: სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მიზანი 4: ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება																		
კოდი	ამოცანა 4.2 სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა																		
D	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება/ეთნიკური უმცირესობების კულტურულ -საგანმანათლებლო და სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამების გაცნობა - ინფორმირებისა და ჩართულობის ურთიერთგაფის მიზნით	არანაკლებ 6 საინფორმაციო შეხვედრა და ეთნიკური უმცირესობების არანაკლებ 60 წარმომადგენლის მონაწილეობა														III			
D	კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით ხალხური ცეკვისა და სიმღერის ფესტივალების, სომხური პოეზიის წარმომადგენლების დღეების ორგანიზება	2000-მდე ბენეფიციარი													IV				*
D	ეთნიკური უმცირესობების სხვადასხვა ჯგუფების ფოლკლორული საღამოების გამართვა, კონცერტების ჩატარება, გამოფენების ორგანიზება	ჩატარებულია 4 ღონისძიება													IV				***
D	ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო თამაშების ჩატარება („ერუდიტი" „გოგონები და ბიჭები" „მარტივი ლოგიკა")	15 თემის 30 სააგმვო ბაღში განხორციელებული ღონისძიებები														III			*
D	ფესტივალის - „ხელოვნება და შემოქმედება" განხორციელება პროექტის არქეოლოგიური ბანაკი „გონიო აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში" განხორციელება	პროგრამებში ჩართულია 340 ახალგაზრდა														III			
D	საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიების გამართვა („მე მეგზური", „ჩემი ქვეყნის შემოდგომა, „დედა ენის დღე")	არანაკლებ 300 ბენეფიციარი														III			**
M	პროფესიული განათლების საფეხურზე კულტურული ცნობიერებისა და გამომხატველობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამებისა და დანერგვის მეთოდოლოგიის შემუშავება	შემუშავებულია კულტურული ცნობიერებისა და გამომხატველობის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები; შემუშავებულია კულტურული ცნობიერებისა და გამომხატველობის კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული ექსტრაკურიკულური აქტივობები და მათი დანერგვის გზამკვლევი																IV	***
B	კულტურული მრავალფეროვნების საკითხების ასახვა სხვადასხვა საგნის სასკოლო სახელმძღვანელოებში	სხვადასხვა საგნის სასკოლო სახელმძღვანელოებში ასახულია კულტურული მრავალფეროვნების საკითხები																IV	***
D	კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამების გაცნობის მიზნით შეხვედრების ჩატარება ქ. ბათუმში	არანაკლებ 2 საინფორმაციო შეხვედრა და ეთნიკური უმცირესობების არანაკლებ 20 წარმომადგენლის მონაწილეობა																IV	
D	დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურათაშორისი დიალოგის საკითხებზე	ჩატარებულია მინიმუმ 3 შეხვედრა																IV	***
D	ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურათაშორისი დიალოგის საკითხებზე	წლის განმავლობაში ჩატარებულია მინიმუმ 3 შეხვედრა																IV	***

აქტორის სტატუსი

წარმოადგენს ანგარიშს და პასუხისმგებელი შესრულებაზე

პასუხისმგებელი შესრულებაზე

წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციას

აქტივობის სტატუსი

*** შესრულებულია

** მეტწილად შესრულებულია

* ნაწილობრივ შესრულებულია

არ შესრულებულა

მეორე პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების რელევანტურობა

ამ პრიორიტეტის ფარგლებში უმნიშვნელოვანეს თემას წარმოადგენს სკოლამდელ და სასკოლო დონეზე ბილინგვური განათლების სისტემის დანერგვა და მისი ინტეგრირებისთვის კეთილსაიმედო გარემოსა და რესურსების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ რეგულარულად ატარებს შიდა კვლევებს პროგრამის მიმდინარე პროგრესისა და მონიტორინგის მიზნით, სკოლამდელ და სასკოლო დონეზე ბილინგვური განათლების ინტეგრაციის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, განხორციელებული აქტივობების რელევანტურობის შეფასება ამ ეტაპზე ნაადრევია, რადგანაც საჭიროა გარკვეული გამოცდილების დაგროვება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამთავროპო პროგრამა 2025-2028 ფარგლებში პრიორიტეტულადაა განხილული ადრეული და სკოლამდელი განათლება, რომელიც წარმოადგენს ბავშვის ჰოლისტური განვითარების საფუძველს და განსაზღვრავს მის მომავალ წარმატებას. ამ მიმართულებით დაგეგმილია ყოველწლიურად ხელმისაწვდომობისა და დაფინანსების გაზრდა, ქვეყნის მასშტაბით 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სერვისების გაფართოება და საქართველოში პირველად საბავშვო ბაღების ავტორიზაციის განხორციელება, რაც გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამებს, საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაციას და ინფრასტრუქტურას. ყველა არაქართულენოვან სახელმწიფო ბაღში დაინერგება ბილინგვური სწავლება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, დაინერგება სკოლამდელი განათლების დივერსიფიცირებული მოდელები და შეიქმნება ღირსეული ანაზღაურების სისტემა, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვის მექანიზმები და დასაქმებულთა უწყვეტი პროფესიული განვითარების პლატფორმა.[28]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ამოცანის აქტივობების დიდი ნაწილი ადრეული განათლების დაწესებულებებში სხვადასხვა მუნიციპალიტეტის (თეთრიწყარო, ბოლნისი, ახალქალაქი, ასპინძა) მიერ ბავშვების ტრანსპორტირების უზრუნველყოფას უკავშირდება. კვლევის შემდეგ ეტაპზე არსებითია ამ კომპონენტის საფუძვლიანი შეფასება (ეფექტიანობა, რელევანტურობა, მდგრადობა) და ადრეულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ალტერნატიული შესაძლებლობების ანალიზი. ყოველივე ზემოთქმულის

[28] საქართველოს მთავრობა. (2024, ნოემბერი). *სამთავრობო პროგრამა 2025-2028*. https://example.gov.ge/document

გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების როლის გაძლიერება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიღრმისეულად იყოს გააზრებული მუნიციპალიტეტების როლი სკოლამდელი ბილინგვური განათლების პოლიტიკის ფორმირებისა და დანერგვის პროცესში.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, გარდა უშუალოდ ბილინგვური განათლების პოლიტიკისა და პროცედურების შექმნისა (კლასტერი G), აქ ერთიანდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერაზე (კლასტერი A) და შესაბამისი რესურსების განვითარებაზე (კლასტერი B) ორიენტირებული ინტერვენციები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიზნის ქვეშ გაერთიანებული ამოცანებისა და აქტივობების დიდი ნაწილი შესრულებულია, უმცირესობებით დასახლებული სკოლების დირექტორებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებიდან რამდენიმე საყურადღებო გამოწვევაც იკვეთება.

- სასკოლო განათლების ჭრილში აზერბაიჯანულენოვანი სკოლის დირექტორებიც და მასწავლებლებიც მკაფიოდ აღნიშნავენ ბილინგვური განათლების უპირატესობას. მათი შეფასებით, მოსწავლეები, რომლებიც ბილინგვურ განათლებას იღებენ, უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, რადგან მშობლიურ ენაზე უფრო ადვილად ითვისებენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მასალას. დირექტორების შეფასებით, განსაკუთრებით ღირებულია ასეთი მოდელის არსებობა რთული თემების განხილვისას, როდესაც მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ მშობლიური ენა გამოიყენონ რთული კონსტრუქტების ახსნისას. ცალსახაა, რომ სკოლის ლიდერებისთვის და პედაგოგებისთვის მისაღებია ბილინგვური განათლების შემოთავაზებული მოდელი, თუმცა ხედავენ აღნიშნული მოდელის და მის დანერგვასთან დაკავშირებული პროცესების სრულყოფის აუცილებლობას.
- სკოლის დირექტორები და მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე. კერძოდ, სკოლის დირექტორებისთვის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური სასწავლო გარემოს მოწესრიგება, ხოლო მასწავლებლებისთვის - სასწავლო რესურსები და შესაბამისი აღჭურვილობა (მაგ. კომპიუტერი, პროექტორი, აუდიო გამაძლიერებელი).
- მნიშვნელოვანია, რომ ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საერთო გამოწვევა - მასწავლებელთა ძირითადი ნაწილის საპენსიო ასაკი და ახალგაზრდა კადრის სიმცირე - სხვადასხვაგვარად აღიქმება არაქართულენოვანი სკოლების დირექტორებისა და პედაგოგების მიერ. სკოლის დირექტორები მიუთითებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სკოლებში ახალგაზრდა პედაგოგების

წილის ზრდა შეიმჩნევა, მათი დიდი ნაწილი 2-3 წელიწადში ტოვებს პედაგოგის პროფესიას, ძირითადად, პროფესიული გადაწვის გამო. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი მექანიზმების გაძლიერება, რომლებიც ახალგაზრდა სპეციალისტების მხარდაჭერაზე და პროფესიაში შენარჩუნებაზე იქნება მიმართული. ამავდროულად, მასწავლებლების შეფასებით, ვაკანსიების არქონის გამო, ახალი თაობის სერტიფიცირებულ მასწავლებლებლებს უჭირთ სკოლაში დასაქმება. მასწავლებელთა შეფასებისა და პროფესიული ზრდის მოქმედი მექანიზმები არათანაბარ შესაძლებლობებს ქმნის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის, რის გამოც ეთნიკური უმცირესობების სკოლების მასწავლებლების კარიერული ზრდა არაა თანმიმდევრული.

- სომხურენოვანი სკოლების დირექტორებისა და პედაგოგების მსჯელობაში იკვეთება მოსწავლეთა მოტივაციის გამოწვევა. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მოზარდები ვერ ხედავენ განათლების მიღების პრაქტიკულ სარგებელს. რეგიონში დასაქმების შესაძლებლობების სიმწირე, ახალგაზრდების დემოტივაციის შესაძლო მიზეზია. სომხურენოვანი სკოლების დირექტორები სწორედ ამ გარემოებას მიიჩნევენ მთავარ შეზღუდვად. მათი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის პედაგოგების პროფესიული განვითარება და სასწავლო რესურსების სრულყოფა პრიორიტეტული საკითხებია, განათლების ხარისხის მთავარი განმაპირობებელი მათთვის მოსწავლისათვის მამოტივირებელი გარემოს (სკოლის შიდა და სკოლის მიღმა) შექმნაა. ამგვარი მამოტივირებელი გარემოს ერთ-ერთი კომპონენტი სკოლაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისების დანერგვაა - მნიშვნელოვანია მათი უკეთ ინფორმირება და დახმარება მომავალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და შემდეგი საფეხურის განათლებისა თუ კარიერის დაგეგმვის პროცესში.
- მასწავლებლები დადებითად აფასებენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლის პროგრამებს. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ამ მხრივ არაერთგვაროვანია - ერთი მხრივ მოითხოვს ქართული ენისა და საგნის საფუძვლიან ცოდნას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამარტივებს სასერტიფიკატო გამოცდებს იმ დონემდე, რომ ქრება მოტივაცია როგორც სახელმწიფო ენის სწავლის, ასევე კარიერული ზრდისათვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანულენოვან მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფში დიდ ნაწილს ახალგაზრდა პედაგოგები წარმოადგენდა. ისინი მიუთითებდნენ, რომ სკოლა ახალი მასწავლებლების მისაღებად ხშირად ღია არ არის, მაშინ როდესაც ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს.

- დამატებით, სკოლის დირექტორები და პედაგოგები საუბრობენ ქართულენოვან გარემოსთან მეტი ინტეგრაციის აუცილებლობაზე, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების აქტიურ ჩართვას სწავლისა და სოციალიზაციის პროცესში, სახელმწიფო ენის საფუძვლიან შესწავლას და ზოგადად, მაღალი ხარისხის განათლების მიღებას.

პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე ხარისხიანი განათლების ხელშეწყობისკენ მიმართული ინტერვენციები, ძირითადად, წარმოადგენენ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მხარდამჭერი რეგულაციების შექმნისკენ მიმართულ ქმედებებს (კლასტერი I) და სტუდენტთა/ზრდასრულთა არაფორმალური სწავლების გზით სწავლისათვის მოტივირების, ცნობიერების ამაღლებისა და სოციალურ კამპანიებს (კლასტერი M). რამდენადაც საანგარიშო პერიოდში პროფესიული განათლების სისტემის მართვის მოდელის ცვლილების გამო, სტრატეგიაში ასახულ კონცეფციაზე საბოლოო შეთანხმება მთავარ აქტორებს შორის გადავადდა, სტრატეგიის ამ ნაწილში ასახული ამოცანებიც ნაწილობრივ განხორციელდა. ამ მიმართულებით ჩატარებული ჩაღრმავებული კვლევა, რომელიც კვლევის შემდეგ ეტაპზე განხორციელდება, საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ, რა ალტერნატიული ნაბიჯების გადადგმაა მოაზრებული პროფესიული განათლების საფეხურზე და როგორ აფასებენ ამ ინტერვენციებს დაინტერესებული პირები.

შეფასების მომენტისთვის უმაღლესი განათლების მიმართულებით ყველაზე მასშტაბურ ინტერვენციას „1+4 პროგრამა“ წარმოადგენს. ბენეფიციართა ინფორმაციით, „1+4 პროგრამის“ შედეგები არაერთგვაროვანია ბენეფიციართა ქვეჯგუფების მიხედვით. შესაბამისად, დასახვეწია: ა) ინფორმაციის გავრცელების; ბ) პროგრამაზე მიღების და გ) პროგრამის სერვისების მიწოდების სტრატეგიები ბენეფიციართა სპეციფიური ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით. კერძოდ:

- არაქართულენოვან სკოლებში (განსაკუთრებით რთულად მისადგომ, სოფლის სკოლებში) დაბალია ინფორმირების ხარისხი პროგრამის შესახებ, ისევე როგორც, ზოგადად, უმაღლესი განათლების მნიშვნელოვნების და სარგებლის შესახებ, რაც ხელს უშლის სკოლის მოსწავლეებში ფორმალური განათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების მოტივაციის ჩამოყალიბებას. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ კონტექსტებში, სადაც ახალგაზრდებს უწევთ მშობლების მხრიდან „გარკვეული წინააღმდეგობის“ დაძლევა სწავლის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.
- რესპონდენტების და საკითხის მკვლევართა აზრით, ასევე, არასწორია პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის უნიფიცირებულად (ხუთ-ხუთი

პროცენტი) განსაზღვრა ყველა უნივერსიტეტში, რადგან ზოგიერთ უნივერსიტეტში ამ პროგრამაზე სწავლის უფრო მაღალი მოთხოვნაა.

- მათთვის, ვისაც რეალურად სჭირდება ქართული ენის კომპეტენციის გაუმჯობესება, პროგრამაზე ადგილების რაოდენობის ხელმისაწვდომობას ზღუდავს ისიც, რომ მოდელი არ გამორიცხავს პროგრამაზე ისეთი აბიტურიენტების ჩარიცხვას, რომლებმაც ისედაც კარგად იციან ქართული ენა. პროგრამაზე ჩაბარება უნივერსიტეტში მოხვედრის მარტივი გზა ან ჯარიდან თავის არიდების საშუალებაა.
- შეზღუდულია ეთნიკური უმცირესობებისთვის პროგრამების არჩევანი, რადგან იმ უნივერსიტეტებში, სადაც ხელმისაწვდომია სასურველი აკადემიური პროგრამა, შესაძლებელია ვერ ხერხდებოდეს ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხარისხიანად განხორციელება (სტუდენტთა მცირე რაოდენობის და, შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის შემოსავლის სიმცირის გამო), ან პირიქით, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა კონკრეტულ უნივერსიტეტში საინტერესო არჩევანს წარმოადგენდეს, თუმცა ამ უნივერსიტეტში არ იყოს კონკრეტული სტუდენტისთვის საინტერესო პროგრამა. ძირითადად, ამ ტიპის პრობლემები მონოპროფილური ტიპის უნივერსიტეტებში წარმოიქმნება – მაგალითად, ხელოვნების მიმართულებით.

ქართულ ენაში ბენეფიციართა კომპეტენციის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, რომ „1+4 პროგრამის“ ხანგრძლივობა და სტრუქტურა განსხვავებული იყოს ენობრივი კომპეტენციის სხვადასხვა საწყისი დონის მქონე სტუდენტებისთვის.

- ერთი წლის განმავლობაში ყველა ბენეფიციარი (საწყისი დონის გათვალისწინებით) ვერ ახერხებს ენობრივი კომპეტენციის იმგვარად განვითარებას, რომ შეუფერხებლად შეძლოს აკადემიურ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. პროგრამის სტანდარტიზებული ხანგრძლივობა (1 წელი) ვერ ერგება ბენეფიციართა განსხვავებულ საჭიროებებს ენის ათვისების მიმართულებით. ზოგიერთისთვის პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლა განსაკუთრებით რთულია, ხოლო ზოგიერთისთვის – ძალიან მარტივი.
- ენის სათანადო დონეზე არცოდნის პრობლემები განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს „ქართულ ენაში მომზადების პროგრამის“ დასრულების შემდეგ – აკადემიურ პროგრამებზე სწავლის პროცესში. კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან განხილვისას ჩანს, რომ აკადემიურ პროგრამებზე სწავლის გამოცდილება/სირთულე განსხვავებულია აკადემიური პროგრამის/ მიმართულების სპეციფიკის მიხედვით და განსხვავებულ ენობრივ კომპეტენციებს მოითხოვს, რაც, აგრეთვე, სათანადოდ არ არის

გათვალისწინებული ენის მოსამზადებელი პროგრამის სტრუქტურასა და ხანგრძლივობაში.

- ბოლო წლებში პროგრამაში შეტანილი იქნა დარგობრივი ენობრივი კომპეტენციების განმავითარებელი კურსები (სტუდენტების მიერ არჩეული აკადემიური პროგრამების მიხედვით), თუმცა, რესურსების ნაკლებობის გამო, უნივერსიტეტები ვერ ახერხებენ ყველა პროგრამის სპეციფიკასა და სტუდენტების საჭიროებას მორგებული კურსების მრავალფეროვანი სპექტრის შეთავაზებას, რაც შემდგომში სირთულეებს ქმნის აკადემიურ პროგრამებზე სწავლის პროცესში.

მიგნებები და რეკომენდაციები

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის კომპლექსურობას, პირველ რიგში, განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ აღნიშნულ სტრატეგიას მრავალი დაინტერესებული მხარე ჰყავს და მისი მიზნები და ამოცანები მრავალმხრივ საჭიროებებს უკავშირდება და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

შესაბამისად, ისეთი საკითხებისა და გამოწვევების მართვა, რომლებიც სცდება ცალკეული სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს და ეფუძნება სოციალური პარტნიორების სპექტრის ურთიერთქმედებასა და თანამშრომლობას, გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება.

როგორც სტრატეგიის ინსტიტუციური რუკიდან ჩანს, პირველი და მეორე პრიორიტეტის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევაში მრავალ აქტორს შეაქვს წვლილი, რომელთა გარკვეული ნაწილი განათლების სისტემის გარეთ ფუნქციონირებს.

შესაბამისად, ინტერვენციების წარმატება დამოკიდებულია აქტორებს შორის ეფექტურ დიალოგსა და თანხმობაზე. თავის მხრივ, აქტორებს შორის თანამშრომლობის საფუძველს წარმოადგენს ხედვასა და გრძელვადიან მიზნებზე შეთანხმება, ცვლილებების ორიენტირების განსაზღვრა და ამ ცვლილებების განხორციელების საზომების დაზუსტება, რაც სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის ორგანული ნაწილია.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად

ძირითადი მიგნებები

„1+4 პროგრამის“ გაუმჯობესების პოტენციალი

როგორც უკვე აღინიშნა, „1+4 პროგრამა“ ენობრივი ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი და ძალიან წარმატებული ინსტრუმენტია, თუმცა, დიდი მასშტაბიდან გამომდინარე, პროგრამის შედეგები არაერთგვაროვანია ბენეფიციართა ქვეჯგუფების მიხედვით. პროგრამის დახვეწის პოტენციალი შემდეგი მიმართულებებით იკვეთება:

ა) ცენტრიდან მოშორებულ და მოწყვლად ჯგუფებში დგას საჭიროება გაიზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობა უმაღლესი განათლების

მნიშვნელოვნების და სარგებლის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სკოლის მოსწავლეებში ფორმალური განათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების მოტივაციის ჩამოყალიბებას. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ კონტექსტებში, სადაც ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდების არჩევანს, სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლებლებში, მხარს არ უჭერენ მშობლები. აღნიშნული მიმართულების გაძლიერება გავლენას გავლენას მოახდენს „1+4 პროგრამაში" ჩართვის მაჩვენებლებზე.

ბ) შესაძლებელია პროგრამაზე მიღების პირობების ადაპტირება: რესპონდენტების და საკითხის მკვლევართა აზრით, შესაძლოა, სამართლიანი არ იყოს პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის უნიფიცირებულად განსაზღვრა ყველა უნივერსიტეტში, რადგან ზოგიერთ უნივერსიტეტში ამ პროგრამაზე სწავლის უფრო მაღალი მოთხოვნაა.

გ) გარკვეული გამოწვევები იკვეთება პროგრამის მიზნობრივი ხელმისაწვდომობის მიმარულებითაც. გასათვალისწინებელია, რომ პროგრამაზე ადგილების რაოდენობის ხელმისაწვდომობას ზღუდავს ის ფაქტორიც, რომ მოდელი არ გამორიცხავს პროგრამაზე ისეთი აბიტურიენტების ჩარიცხვას, რომლებმაც ისედაც კარგად იციან ქართული ენა. პროგრამაზე ჩაბარება ზოგჯერ უნივერსიტეტში მოხვედრის მარტივი გზა ან ჯარიდან თავის არიდების საშუალებაა. ამასთან, საჭიროა გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობებისთვის პროგრამების არჩევანი, რადგან იმ უნივერსიტეტებში, სადაც ხელმისაწვდომია სასურველი აკადემიური პროგრამა, შესაძლებელია ვერ ხერხდებოდეს ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხარისხიანად განხორციელება (სტუდენტთა მცირე რაოდენობის და, შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის შემოსავლის სიმცირის გამო), ან პირიქით, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა კონკრეტულ უნივერსიტეტში საინტერესო არჩევანს წარმოადგენდეს, თუმცა ამ უნივერსიტეტში არ იყოს კონკრეტული სტუდენტისთვის საინტერესო პროგრამა.

დ) უნდა არსებობდეს ენის ფლობის სხვადასხვა კომპეტენციების მქონე სტუდენტებისთვის განსხვავებული პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობები: ერთი წლის განმავლობაში ყველა ბენეფიციარი (საწყისი დონის გათვალისწინებით) ვერ ახერხებს ენობრივი კომპეტენციის იმგვარად განვითარებას, რომ შეუფერხებლად შეძლოს აკადემიურ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. პროგრამის სტანდარტიზებული ხანგრძლივობა (1 წელი) ვერ ერგება ბენეფიციართა განსხვავებულ საჭიროებებს ენის ათვისების მიმართულებით. ზოგიერთისთვის

პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლა განსაკუთრებით რთულია, ხოლო ზოგიერთისთვის – ძალიან მარტივი.

„1+4 პროგრამის“ ბენეფიციარების განათლების სისტემაში ჩაბრუნების პოლიტიკა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ფორმალური განათლების ადრეულ საფეხურებზე (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული) არსებული გამოწვევების საპასუხოდ შეიქმნა. კვლევის ფარგლებში გამოკვეთილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ იგი დღეისათვის პოზიციონირდება, როგორც რემედიალური ინსტრუმენტი (ენობრივი და გამჭოლი კომპეტენციების ნაკლებობის მაკომპენსირებელი მოკლევადიანი მექანიზმი), თუმცა შესაძლებელია მისი როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რესურსის გამოყენება განათლების სისტემაში – კერძოდ, არაქართულენოვან სექტორში ადამიანური რესურსების განვითარების გრძელვადიანი ამოცანისთვის. შეფასების ფარგლებში განხორციელებული თვისებრივი კვლევა იძლევა ინფორმაციას, რომ ადგილობრივი არაქართულენოვანი ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის გარკვეულწილად პრობლემურია არაქართულენოვან სკოლებში დასაქმება მაშინაც კი, როდესაც ამ სკოლებში აქტუალურია კომპეტენტური კადრების მოზიდვის საკითხი.

ქართული ენის ფლობის დონე 50+ ასაკის მოსახლეობაში

როგორც შეფასებიდან იკვეთება, საერთო ტენდენცია არაქართულენოვან მოსახლეობაში ქართული ენის ფლობის დონის ზრდასთან დაკავშირებით სტაბილურად მზარდია, თუმცა ეს მაჩვენებელი ახალგაზრდებში გაცილებით მაღალია, ვიდრე 50 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში, სადაც 60% არ ფლობს ქართულ ენას. ამასთან, ქართული ენის ცოდნის მხრივ კვლავ თვალსაჩინოა

განსხვავებები აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან თემს შორის - მაჩვენებლები უფრო დაბალია აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში (38% აღნიშნავს, რომ არ ფლობს ქართულ ენას მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი სომხურენოვან მოსახლეობაში 22% შეადგენს).

ენობრივი კომპეტენციის შეფასების ერთიანი სისტემის არსებობის აუცილებლობა

ქართული ენის სწავლების და პოპულარიზაცის მიმართულების შემდგომი განვითარების შესახებ გადაწყვეტილებები დიდწილად დამოკიდებულია წინმსწრები ინტერვენციების შედეგებზე. შესაბამისად, სტრატეგიის სრულფასოვანი მონიტორინგისთვის აუცილებელია არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეთა კომპეტენციების შესახებ (ქართულ ენა, გამჭოლი უნარები, საგნობრივი ცოდნა) სანდო მონაცემების არსებობა. არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის, ისევე როგორც სხვა გამჭოლი კომპეტენციების განვითარების მიმართულებით ინფორმაციის ძირითად წყაროს დაინტერესებული

მხარეების სუბიექტური შეფასებები (თვითშეფასებები) წარმოადგენს, რაც ვერ გვიჩვენებს სახელმწიფო ენის ფლობის რეალური მდგომარეობის ზუსტ და ობიექტურ სურათს.

არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეების გამჭოლი კომპეტენციების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას, აგრეთვე, გვაწვდის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA – Program for International Student Assessment). თუმცა, სამწუხაროდ, ამ კვლევის ფარგლებში ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეების შესახებ.

რეკომენდაციები

„1+4 პროგრამის“ ცნობადობის გაზრდა რთულად მისაწვდომ ლოკაციებზე: პროგრამის პოპულარობა მზარდია, თუმცა მნიშვნელოვანია გაგრძელდეს პროგრამის სისტემური მონიტორინგი, მიტოვებისა და დასრულების მაჩვენებლების ანალიზი და პროგრამის მოდიფიკაცია მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. მიუხედავად პროგრამის მაღალი ცნობადობისა, მნიშვნელოვანია ცენტრიდან მოშორებულ სოფლებსა და დასახლებებში მოსწავლეებისა და მშობლების პროგრამის უპირატესობების შესახებ ინფორმირება.

„1+4 პროგრამაზე“ მიღების პირობების ადაპტირება: უნივერსიტეტების მიხედვით უნდა მოხდეს ზღვრული კვოტების დიფერენცირება პროგრამაზე მოთხოვნისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

„1+4 პროგრამის“ კურსდამთავრებულთა განათლების სისტემაში დაბრუნების პოტენციალის გამოყენების მხარდაჭერა შემდგომი რეფორმების პროცესში მასწავლებლის მომზადების პროგრამების უფასოდ ხელმისაწვდომობა სტრატეგიული ინსტრუმენტია, რომელიც თავად განათლების სისტემას ორენოვანი კადრებით მოამარაგებს, მიზანშეწონილია არსებული მიდგომის გადახედვა. ქართულ ენაში მოსამზადებელი ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულთათვის მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამების, განსაკუთრებით მულტილინგვური განათლების პროგრამის[29] ხელმისაწვდომობის ამაღლება მნიშვნელოვნად აამაღლებს სკოლამდელი და სასკოლო განათლების ადამიანური კაპიტალის განვითარებას.

„1+4 პროგრამის“ კონცეპტუალური მოდელის რევიზიისთვის მონაცემების კონსოლიდაცია - სტრატეგიით გათვალისწინებულია, რომ ზოგადი განათლების სისტემის ფარგლებში განათლების ხარისხის გაუმჯობესების კვალდაკვალ, „1+4 პროგრამა“ სხვა, უფრო რელევანტური ინტერვენციებით უნდა ჩანაცვლდეს. თუმცა, დღეისათვის საქართველოში მწირია შესაბამისი ემპირიული მონაცემები (მტკიცებულებები) რევიზიის პროცესის ინფორმირებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს მონიტორინგისთვის საჭირო ინდიკატორების ნუსხა, მონაცემების შეგროვებისა და აგრეგირების სისტემა. მონაცემები უნდა შეგროვდეს არა მხოლოდ ზოგადი განათლების ფარგლებში, არამედ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერაც (სკოლისშემდგომ საფეხურებზე მოსწავლეების არა მხოლოდ რეგისტრაციისა და ჩარიცხვის, არამედ

[29] მულტილინგვური განათლება – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (თსუ-ს ბაზაზე არსებული)

ტრანზიციისა და მიტოვების ტენდენციების, ისევე როგორც დასაქმების მონაცემების ანალიზისათვის).

ზრდასრულთათვის ქართული ენის სწავლების დივერსიფიცირებული მოდელების საჭიროება: აუცილებელია სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამები მეტად მოერგოს ასაკობრივ საჭიროებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 50 წლის ზემოთ ასაკობრივი ჯგუფებისათვის ადაპტირებული მიდგომების და მოტივაციის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება. ამ ტიპის სისტემის შესაქმნელად არსებითია არა მხოლოდ ენის სწავლების დამნერგავი უწყებების, არამედ ზრდასრულთა განათლების მარეგულირებელი უწყებების როლიც. შუალედური შეფასების მიხედვით ასეთი ინტერვენციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები ქალებისა და სოციალურად მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის.

ენობრივი კომპეტენციის შეფასების ერთიანი სისტემის ამოქმედება და CEFR რეკომენდაციების დანერგვის მხარდაჭერა: მნიშვნელოვანია CEFR ჩარჩოს მიხედვით ენობრივი კომპეტენციის შეფასების უნიფიცირებული, სტანდარტიზებული ინსტრუმენტების დანერგვა. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ უკვე შემუშავებულია სახელმწიფო ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტები (A1 – A2 და B 1- B2 დონის), რომლებიც ენის ფლობის დონეს განსაზღვრავს ოთხივე ენობრივი კომპეტენციის მიხედვით. რეკომენდებულია, რომ აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელი იყოს როგორც სკოლის დამამთავრებელ საფეხურხზე ენის ფლობის დადგენისათვის, ასევე "1+4 პროგრამაზე" მიღებისა და მისი დასრულებისას, ასევე, საჯარო მოხელეების ენის ფლობის დონის განსაზღვრისათვის.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სახელმწიფო ენის მნიშნელოვნებასთან დაკავშირებით: მნიშვნელოვანია, რომ კიდევ უფრო გააქტიურდეს საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც გაზრდიან ცნობიერებას ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში სახელმწიფო ენის ფლობის მნიშვნელოვნებაზე. ამ მიმართულებით არსებითია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ძალისხმევა - საჯარო სექტორში სახელმწიფო ენის გამოყენების გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა და მათი დანერგვის კონტროლის მექანიზმების ფორმირება. ამასთან, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების და სათემო ორგანიზაციების წვლილის უკეთ კონცეპტუალიზაცია და სახელმწიფო ენის სწავლების და პოპულარიზაციის პროცესში მათი როლის დაზუსტება (მათ შორის მედია კამპანიებისა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზების გზით). დამატებით, მნიშვნელოვანია ენის სწავლების პროგრამების ადგილობრივ კონტექსტებზე უკეთ მორგება.

ემპირიული მონაცემების შეგროვების და გამოყენების სისტემის დახვეწა: მნიშვნელოვანია შეფასების ერთიანი სისტემის გამართვა სახელმწიფო ენის სწავლების შედეგების მონიტორინგის კოჰერენტულობისა და მდგრადობისთვის. კონტექსტუალური მონაცემების პერიოდული შეგროვება და გაანალიზება პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებას უზრუნველყოფს. ამ მიმართულებით არსებითია როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის (სტრატეგიის დანერგვისა და განხორციელების მაკოორდინირებელი უწყების) როლი, ასევე სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს, როგორც კონსტრუქციულ რეკომენდაციებზე პასუხსმგებელი მხარის როლი. ასევე, საჭიროა გაძლიერდეს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ წერილობითი ანგარიშების წარდგენით, არამედ შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო სტრატეგიის დანერგვაში ჩართულ ყველა მხარეს, საჭიროებების მიხედვით თემატური მიმართულებებით განიხილონ ის აქტუალური საკითხები, რაც უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების მდგრადობას და ხელს შეუწყობს სისტემურ განვითარებას.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა

ძირითადი მიგნებები

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განათლების მაღალი ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯების საჭიროება იკვეთება, რომელთა უმეტესობა თანხვედრაშია, ზოგადად, საქართველოს განათლების სისტემაში არსებულ სტრატეგიულ და ოპერაციულ საკითხებთან.

ბილინგვური განათლების მიმართულების კომპლექსურობა

ბილინგვური განათლების პროგრამა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ისევე როგორც ბოლო პერიოდში განხორციელებლ შეფასებებში, ბენეფიციარები აღნიშნულ პროგრამას პოზიტიურად აფასებენ, ამავდროულად იმასაც აღნიშნავენ, რომ *„რეფორმის ეს მიმართულება ძალიან კომპლექსურია და მოითხოვს ადამიანური და ფინანსური რესურსების დიდ ინვესტიციას“.* მიუხედავად თანმიმდევრული სახელმწიფო მხარდაჭერისა, საკმარისი რაოდენობით მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსები

(მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი და მხარდამჭერი სპეციალისტები) ჯერ-ჯერობით არ არის ხელმისაწვდომი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისად დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. ასევე იკვეთება, რომ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სასწავლო მასალების და ინფრასტრუქტურის მუდმივი განვითარება და სამიზნე სკოლების ნაწილში რეფორმისადმი მზაობის განმტკიცება (გარკვეულ სირთულეს ქმნის ზოგიერთი მასწავლებლის მიჯაჭვულობა ჩვეული მუშაობის მეთოდებისადმი, ცვლილებებისადმი სიფრთხილე და ახალი მიდგომების მიმართ ზოგჯერ კრიტიკული დამოკიდებულება). ამ ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების მედიაციას გრძელვადიანი და ეტაპობრივი მიდგომა სჭირდება. მიზნობრივი ჯგუფების შეფასებითაც, მოდელის დანერგვის ტემპის დაჩქარება მიზანშეწონილი არ არის, რადგან სკოლების დონეზე მიმდინარე ცვლილებები ძალიან კომპლექსურია, შესაბამისად თანამიმდევრულად უნდა განვითარდეს.

არაქართულენოვან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების მოდალობების გაფართოების აუცილებლობა

2021–2024 წლებში მოქმედი მასწავლებლების დაახლოებით 70%-მა (3,252 მასწავლებელმა) გაიარა სახელმწიფო ენის სწავლების კურსი, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა. თუმცა 2024 წელს პროფესიული განვითარების ტრენინგებზე მოთხოვნა შემცირდა, რის გამოც ვერ შესრულდა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ წინა წლებში უკვე ჩაერთნენ ყველაზე მოტივირებული მასწავლებლები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ძალისხმევა მიემართოს მათი ჩართულობის შენარჩუნებაზე პროფესიული განვითარების პროგრამების მოდალობების გაფართოებით და ახალი საჭიროებების უკეთ გათვალისწინებით.

უმაღლესი განათლების პროგრამების სრულყოფის შესაძლებლობები

ბილინგვური განათლების ერთადერთი საუნივერსიტეტო პროგრამა საქართველოში წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნაბიჯს, თუმცა ამ ეტაპზე მისი წარმადობა არასაკმარისია სისტემისთვის საჭირო ადამიანური რესურსების უზრუნველსაყოფად. პროგრამა საჭიროებს გრძელვადიანი ადამიანური რესურსების განვითარების გეგმის შემუშავებას, სათანადო ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერასთან ერთად, უნდა გაძლიერდეს კოორდინაცია განათლების სამინისტროსთან და მასწავლებლის მომზადების სხვა პროგრამებთან.

რეკომენდაციები

1.ბილინგვური განათლების პროგრამის სამიზნე ნიშნულების დაზუსტება:

ბილინგვური განათლების პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანია მიღწევის ნიშნულების დაზუსტება როგორც სკოლამდელ, ისე ზოგად განათლებაში. მოქმედი სამიზნეები, ზოგ შემთხვევაში, ზედმეტად ამბიციურია (მაგ., 100%-იანი მონაწილეობის ან შედეგის მაჩვენებლები) და საფრთხეს უქმნის პროგრამის თანმიმდევრულ და მდგრად განხორციელებას, რადგან ზედმეტად მაღალი მოლოდინები ართულებს პროგრესის ეტაპობრივ მონიტორინგს და რეალური საჭიროებების გათვალისწინებას.
შესაბამისად, რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულების გადახედვა, რომ მოხდეს სამიზნე ჯგუფების მზაობის განმტკიცება და უზრუნველყოფილი იქნას ბილინგვური განათლების რეფორმის მდგრადობა.

2. ბილინგვური განათლებისთვის ადამიანური რესურსების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის დახვეწა: საჭიროა ბილინგვური განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის დაზუსტება, შუალედური მიზნებითა და პროგრესის ნიშნულებით. ასევე, აუცილებელია რესურსების გამოყოფა საუნივერსიტეტო სივრცეში პროგრამის გაფართოებისა და ხარისხის ასამაღლებლად. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კოორდინაციის გაძლიერებას უნივერსიტეტსა და სამინისტროს შორის, ასევე ბილინგვური განათლების საუნივერსიტეტო პროგრამის ინტეგრირებას მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებთან, რათა შეიქმნას თანმიმდევრული და მდგრადი სისტემა ორენოვან მასწავლებელთა მომზადებისთვის.

სკოლამდელი განათლების სისტემის მხარდაჭერა: მნიშვნელოვანია არსებობდეს სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეფასებისათვის აუცილებელი მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის უნიფიცირებული და მდგრადი სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მონაცემთა შეგროვება ხორციელდებოდა მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) ფარგლებში, რომელსაც გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით უზრუნველყოფდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ბოლო შეფასება განხორციელდა 2018 წელს). შესაბამისად, სასურველია საქართველოს მონაწილეობა შემდეგ ციკლში ან მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას მონაცემთა შეგროვებისა და კონსოლიდაციის მსგავსი სისტემა. ამასთან არსებითია, ჩამოყალიბდეს და დაინერგოს ერთიანი გრძელვადიანი კონცეფცია აღმზრდელთა პროფესიული მომზადებისთვის უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ასევე, რეკომენდებულია გაძლიერდეს მუნიციპალიტეტების როლი მონაცემების შეგროვებისა და მათზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებით (მაგ. სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა დაბალი ჩართულობის მქონე რეგიონებში).

ზოგადი განათლების მხარდაჭერა: ხარისხიანი განათლების ხელისაწვდომობის კვლევისათვის არსებითია ინფორმაციის შეგროვება ყველა ეთნიკურ ჯგუფში. შესაბამისად, საგანმანათლებლო შეფასებების ფარგლებში (მაგ. PISA, TIMSS, PIRLS) სამომავლოდ ჩართული უნდა იყოს არა მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანი, არამედ სომხურენოვანი სეგმენტიც (განმახორციელებელი: სსიპ საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი). ამ მიმართულებით, ასევე, სასურველია ისეთი ინიციატივების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების ქართულენოვან გარემოში ინტეგრირებას (მაგ. მოსწავლეთა ბანაკები, ადგილობრივი სტუდენტების მიერ სკოლის მოსწავლეებისათვის არაფორმალური განათლების აქტივობების ქართულ ენაზე ჩატარება და ა.შ).

პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ამაღლება: მნიშვნელოვანია, რომ დაინერგოს ბენეფიციართა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული ინფორმირების, სისტემაში ჩართვის/ინტეგრაციის და მხარდაჭერის სტრატეგიები. კერძოდ, სასურველია, უნივერსიტეტებში გაძლიერდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა ინტეგრაციის ხელშემწყობაზე მიმართული აქტივობები და წახალისდეს მათი თანაბარი და ეფექტინი არა მხოლოდ მონაწილეობა სასწავლო პროცესში, არამედ შესაბამისი ინსტიტუციის სოციალურ ცხოვრებაში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ინტეგრაციის პოლიტიკამ გადაინაცვლოს უფლებრივი ჩარჩოდან მრავალფეროვნების კომპონენტზე, რაც ხელს შეუწყობს ორმხრივად სასარგებლო გარემოს შექმნას უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ჭრილში პროგრამების მოდალობების დივერსიფიცირება, განსაკუთრებით ზრდასრული მოსახლეობის საჭიროებებზე ადაპტირება და მრავალფეროვანი მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება და შეთავაზება.

პროფესიული და უმაღლესი განათლების მხარდაჭერა: მნიშვნელოვანია ბენეფიციართა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული ინფორმირების, საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვისა და ინტეგრაციის, ასევე შემდგომი მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება. პროფესიული განათლების პროგრამების მზარდი დივერსიფიკაციისა და შესაძლებლობების გაფართოების მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობებისა და განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის კვლავ გამოწვევად რჩება არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მიზნობრივი საინფორმაციო და მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ ჯგუფების პროფესიულ განათლებაში ჩართულობის ზრდას.

უმაღლესი განათლების დონეზე სასურველია გაძლიერდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრაციის ხელშემწყობი

მექანიზმები და წახალისდეს მათი მონაწილეობა საუნივერსიტეტო სოციალურ ცხოვრებაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ ინტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში, სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს განმტკიცების მიზნით, მეტად გაძლიერდეს ეთნიკური მრავალფეროვნების გათვალისწინება, რაც ხელს ურთიერთსასარგებლო გარემოს ჩამოყალიბებას როგორც უმცირესობის, ისე უმრავლესობის წარმომადგენლებისთვის.

პროფესიული განათლების მიმართულებით, პროგრამების მრავალფეროვნების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვანია ზრდასრული მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული შესაძლებლობების განვითარება. ფორმალური განათლების სისტემიდან ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ დაბრუნებული პირებისთვის სწავლის განახლება და შესაბამისი მოტივაციის შენარჩუნება დამატებით გამოწვევებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რაც მოქნილ და მიზნობრივ მხარდაჭერას საჭიროებს. არსებული რეგულაციური ჩარჩო იძლევა მრავალფეროვანი მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და შეთავაზების შესაძლებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება, ზრდასრული მოსახლეობის საჭიროებების რეგულარული იდენტიფიცირება და მათზე მორგებული პროგრამების განხორციელების მოდალობების შემდგომი განვითარება.

სახელმწიფო სტრატეგიის მიზანი 4-ის გავლენის ინდიკატორის დაზუსტება: აღნიშნული მიზნის ფარგლებში გათვალისწინებული ინტერვენციების უკეთ დაგეგვისა და ეფექტის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია გავლენის ინდიკატორების კონტექსტუალიზაცია, რათა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის თვალსაჩინო იყოს და მკაფიოდ გამოჩნდეს, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს განათლების სახელმწიფო პოლიტიკა ტოლერანტული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად.

გამოყენებული წყაროები

ადეიშვილი გ., საღარეიშვილი მ., ჟამურაშვილი ლ. (2022). განათლების სექტორის მიმოხილვა, ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების იდენტიფიცირება, IDFI

გორგაძე, ნ. ტაბატაძე, შ. და გაბუნია კ. (2024). გამოუქვეყნებელი კვლევის ანგარიში. ბილინგვური განათლების რეფორმა საქართველოში განათლების პოლიტიკის კონტექსტში. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. თბილისი. საქართველო

გორგაძე, ნ., ტაბატაძე, შ. (2019). 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე". სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR)

დალაქიშვილი მ., ირემაშვილი ნ. (2020). ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში (2022). ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლა, NDI, UKAID

ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ., (2016), ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR)

ტაბატაძე, შ., გორგაძე, ნ. (2017), ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და დასაქმების შესაძლებლობები და პერსპექტივები, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR), USAID, UNAG

ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., გაბუნია კ. (2020), საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში 2010-2019 წლების ჭრილში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი, USAID, UNAG

ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., გაბუნია კ. (2023). კვოტირების სისტემა განათლების პოლიტიკის ჭრილში, პოლიტიკის დოკუმენტი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი, USAID, UNAG

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2024). სახელმწიფო ენის ფლობისა და შესწავლის მოტივაციის კვლევა აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსახლეობაში.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (2018). სახელმწიფო შეფასება ქართულში, როგორც მეორე ენაში

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (2022). მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2022. ეროვნული ანგარიში

ხარატიანი ქ., ნაჭყებია ხ. (2018), ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), ანგარიში მომზადებულია პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" (PITA)-ს ფარგლებში, USAID, UNAG

ALTE (2001). *Manual for language test development and examining.* Council of Europe

Bachman, L. F., & Palmer, A. S. (1996). *Language testing in practice: Designing and developing useful language tests*. Oxford: Oxford University Press.

Bachman, L.F. (1990). *Fundamental considerations in language testing.* Oxford: Oxford University Press

Bachman, L.F. (2008) What does language testing has to offer. *TESOL Quarterly,* 25(4)

Bachman, L.F. (2008). Language Assessment: Opportunities and Challenges.

Beißert, H., Bayer, S. L., Gönültaş, S., & Mulvey, K. L. (2022). Language as a Precondition for Social Integration of Migrants in the Educational Context. In *BRILL eBooks* (pp. 154–178). https://doi.org/10.1163/9789004525658_007

Bronfenbrenner, U. (1976). The Experimental Ecology of Education. Teachers College Record, 78(2), 157 – 204.

Bronfenbrenner, U. (1974). Developmental Research, Public Policy, and the Ecology of Childhood. Child Development, 45(1), 1-5.

Buchmann, C. (2002). Getting Ahead in Kenya: Social Capital, Shadow Education and Achievement. In B. Fuller and E. Hannum (Eds.), Schooling and Social Capital in Diverse Cultures (pp. 133-159). Amsterdam: JAI Press.

Canale, M., Swain, M. (1980). Theoretical Bases of Communicative Approaches toSecond Language Teaching and Testing . *Applied Linguistics,* 1

Council of Europe (2009). *Relating Language Examinations to the Common European Framework of Reference for Languages: Learning, Teaching, Assessment (CEFR).* Stasbourg: CoE. Language Policy Devision

Fulcher, G., Davidson, F. (2007). *Language Testing and Assessment: An advanced resource Book.* NY: Routledge

Gu, L. (2011) "At the interface between language testing and second language acquisition: communicative language ability and test-taker characteristics." PhD (Doctor of Philosophy) thesis, University of Iowa.

Hymes, D. H. (1967). Models of interaction of language and social setting. *Journal of Social Issues*, 33

Izatullah, S., Nasir, R. & Gul, F. (2022). A Study to Examine the Relationship between English Language Proficiency and Academic Achievement of Students in Higher Education Institutions. Global Educational Studies Review. VII. 164-171. 10.31703/gesr.2022(VII-I).17

Krashen, S. (2013). *Second language acquisition: Theory, implications and some conjectures.* Cambridge University Press

Nakhaie, R. (2020). Language proficiency and sociocultural integration of Canadian newcomers. *Applied Psycholinguistics*, *41*(6), 1437–1464. https://doi.org/10.1017/s0142716420000375
Oller, J. W. Jr. (1983): A consensus for the eighties? In J. W. Oller, Jr. (Ed.), *Issues in language testing research*

Phan, S. (2008). Communicative language testing. TESOL Working Paper Series. 6(1).

Pillar, G. (2011) A framework for testing communicative competence. ELLE International Conference, Partium Christian University, Romania

Shoma, T. Z. (2021). Language as a tool for Social Integration. *ResearchGate*.

https://doi.org/10.13140/RG.2.2.21823.23203

Wesche, M. B. (1983). Communicative testing in a second language. *The Modern Language Journal*, *67*

Yılmaz, O., & Sahan, G. (2023). A Study on the Motivation Levels and Problems in the Language Learning for the Higher Education Learners. *World Journal of Education*, *13*(1), 1. https://doi.org/10.5430/wje.v13n1p1

დანართი 1: თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია და მონაწილეები

კვლევის დიზაინი

წინამდებარე კვლევა ჩატარდა კომპლექსური მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც გულისხმობს თვისებრივი მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. თვისებრივი კვლევის ძირითადი მიზანი იყო სამაგიდე კვლევითა რაოდენობრივი კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების სიღრმისეული გაანალიზება და სტრატეგიის ორივე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში დაგეგმილი ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების ეფექტურობის შეფასება.

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევაში გამოყენებული იქნა ორი ძირითადი თვისებრივი კვლევის მეთოდი:

- **სიღრმისეული ინტერვიუები** - ინსტიტუციური დონის ექსპერტებთან
- **ფოკუს ჯგუფები** - თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის ცალ-ცალკე

სიღრმისეული ინტერვიუების მონაწილეები

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები შემდეგ ინსტიტუციურ წარმომადგენლებთან:

1. განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

- მონაწილეები: ბილინგვური სწავლების ექსპერტები
- მიზანი: პოლიტიკის დონეზე პროგრამის კონცეფციის, მიზნებისა და იმპლემენტაციის სტრატეგიების გაანალიზება

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

- მონაწილეები: არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის ქვეპროგრამის მენეჯერი
- მიზანი: მასწავლებლების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესების ანალიზი

3. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

- მონაწილეები: ცენტრის დირექტორი
- მიზანი: სახელმწიფო ენის შეფასების ტესტის ფორმირების პროცესი, პროგრამის შეფასების მექანიზმებისა და შედეგების ანალიზი

4. პროფესიული უნარების სააგენტო

- მონაწილეები: სააგენტოს წარმომადგენლები
- მიზანი: პროფესიული სტანდარტებისა და კომპეტენციების შესაბამისობის შეფასება

5.ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

- მონაწილეები: პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელი
- მიზანი: საჯარო მოხელეებისა და ზრდასრულთა განათლების პროგრამებისა და კურსების ეფექტურობის შეფასება

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები

ფოკუს ჯგუფები ორგანიზებული იქნა ენობრივი ჯგუფების მიხედვით - აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი კვლევის მონაწილეებისთვის. თვისებრივ კვლევას კოორდინაციას უწევდნენ აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მკვლევრები. შესაბამისად, კვლევის მონაცემები შეგროვდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მშობლიურ ენებზე.

აზერბაიჯანულენოვანი ფოკუს ჯგუფები

#	ჯგუფი	მონაწილეთა კატეგორია	მიზანი
1	სკოლის ადმინისტრაცია	სკოლის დირექტორები	ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და ორგანიზაციული გამოწვევების ანალიზი

2	ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლების მასწავლებლები	საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები (არა ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებლები)	ტრადიციული სწავლების მეთოდების გამოცდილებისა და ახალ მიდგომებთან ადაპტაციის პროცესის შესწავლა
3	მოსწავლეების მშობლები	საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლები	სწავლების შედეგებისა და მოლოდინების შეფასება
4	მოსწავლეები	საშუალო საფეხურის მოსწავლეები	მოსწავლეების პერსპექტივისა და გამოცდილების ანალიზი
5	ბილინგვური მასწავლებლები	ბილინგვური მეთოდის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები	ბილინგვური მეთოდის პრაქტიკული იმპლემენტაციისა და გამოწვევების ანალიზი
6	დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლები	ბილინგვური მეთოდის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლები	ბილინგვური განათლების შედეგებისა და მოლოდინების შეფასება
7	საბავშვო ბაღის აღმზრდელები	ბილინგვური მეთოდის განმახორციელებელი ბაღის აღმზრდელები	ადრეული ბავშვობის ბილინგვური განათლების პრაქტიკისა და მეთოდების ანალიზი
8	საბავშვო ბაღის ბავშვების მშობლები	საბავშვო ბაღის ბავშვების მშობლები	ადრეული ბავშვობის ბილინგვური განათლების შედეგებისა და მოლოდინების შეფასება

სომხურენოვანი ფოკუს ჯგუფები

#	ჯგუფი	მონაწილეთა კატეგორია	მიზანი
1	სკოლის დირექცია	სკოლის დირექტორები	ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და ორგანიზაციული გამოწვევების ანალიზი
2	ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლების მასწავლებლები	საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები	ტრადიციული სწავლების მეთოდების გამოცდილებისა და ახალ მიდგომებთან ადაპტაციის პროცესის შესწავლა
3	მოსწავლეების მშობლები	საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლები	სწავლების შედეგებისა და მოლოდინების შეფასება
4	მოსწავლეები	საშუალო საფეხურის მოსწავლეები	მოსწავლეების პერსპექტივისა და გამოცდილების ანალიზი

5	ბილინგვური მასწავლებლები	ბილინგვური მეთოდის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები	ბილინგვური მეთოდის პრაქტიკული იმპლემენტაციისა და გამოწვევების ანალიზი
6	დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლები	ბილინგვური მეთოდის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მშობლები	ბილინგვური განათლების შედეგებისა და მოლოდინების შეფასება
7	საბავშვო ბაღის ბავშვების მშობლები	საბავშვო ბაღის ბავშვების მშობლები	ადრეული ბავშვობის ბილინგვური განათლების შედეგებისა და მოლოდინების შეფასება

უმაღლესი განათლების საფეხურის აქტორები

#	ჯგუფი	მონაწილეთა კატეგორია	მიზანი
1	საუნივერსიტეტო პროგრამის სტუდენტები	1+4 პროგრამის სტუდენტები	ქართული ენის სწავლების პროგრამის უპირატესობებისა და გამოწვევების ანალიზი
2	უმაღლესი საფეხურის ქართული ენის მასწავლებლები	1+4 პროგრამის მასწავლებლები	ქართული ენის სწავლების პროგრამის უპირატესობებისა და გამოწვევების ანალიზი

ფოკუს ჯგუფების სტრუქტურა და მიზნები

ინსტიტუციური დონე

- სკოლის დირექტორები: ადმინისტრაციული პოლიტიკის, რესურსების განაწილებისა და ორგანიზაციული საკითხების ანალიზი
- მასწავლებლები: პედაგოგიური პრაქტიკის, მეთოდოლოგიური გამოწვევებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების შესწავლა

სასკოლო თემის დონე

- მშობლები: პროგრამის შედეგებისა და ეფექტურობის შეფასება, მოლოდინებისა და გამოწვევების ანალიზი
- მოსწავლეები: უშუალო ბენეფიციარების გამოცდილებისა და აღქმის შესწავლა

განათლების საფეხურები

- ბაღის დონე: ადრეული ბავშვობის ბილინგვური განათლების ეფექტურობის შეფასება
- დაწყებითი საფეხური: ბილინგვური მეთოდის პირდაპირი იმპლემენტაციისა და შედეგების ანალიზი
- საბაზო-საშუალო საფეხური: სახელმწიფო ენისა და ზოგადად სწავლების მეთოდების შედეგებისა და გამოწვევების შესწავლა

- უმაღლესი საფეხური: „1+4 პროგრამის“ ბენეფიციარების დამოკიდებულებების კვლევა

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდოლოგია

კვლევის თითოეული ეტაპი წარმოებდა სტრუქტურირებული მიდგომით, რომელიც უზრუნველყოფდა მონაცემთა სისტემურ შეგროვებას და შედარებით ანალიზს. ყველა ფოკუს ჯგუფი და ინტერვიუ ჩატარდა თანმიმდევრული მეთოდოლოგიით, რამაც შესაძლებელი გახადა სხვადასხვა ჯგუფების მოსაზრებების სისტემური შედარება და ანალიზი.

თვისებრივ კვლევაზე დამატებით, რაოდენობრივი ინსტრუმენტების საშუალებით გაანალიზდა შემდეგი მონაცემები:

- **მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის PISA (2022) მონაცემთა ბაზა:** არაქართულენოვანი სკოლის/სექტორების უფროსკლასელთა აკადემიური მიღწევების შეფასებისათვის;
- **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული მონაცემთა ბაზები:** არაქართულენოვანი სკოლების სექტორების მოსწავლეების აღმავალ მობილობაზე (ფორმალური განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე პირდაპირი გადასვლის მაჩვენებლები, „1+4 პროგრამის“ დასრულების და მიტოვების მაჩვენებლები, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ტრანზიციის და დამთავრების მაჩვენებლები) მაჩვენებლების ანალიზისათვის;
- **სახელმწიფო შეფასება ქართული, როგორც მეორე ენის მიმართულებით (მე-7 კლასი):** დაწყებითი საფხურის ბოლოს არაქართულენოვანი მოსწავლეების მიერ სახელმწიფო ენის ფლობის დონის დიაგნოსტირებისათვის და მიღწევებზე კონცეპტუალური ფაქტორების გავლენის შეფასებისათვის;
- **კითხვარი მე-12 კლასელი მოსწავლეებისათვის:** დამამთავრებელი კლასის არაქართულენოვანი მოსწავლეების მიერ ენის ფლობის თვით-დიაგნოსტირებისა და სწავლის გაგრძელების გეგმების კვლევისათვის

ეთიკური მოსაზრებები

კვლევის ყველა ეტაპზე დაცული იყო კვლევის ეთიკური სტანდარტები, მონაწილეთა კონფიდენციალურობა და ინფორმირებული თანხმობის პრინციპი.